

კობა ლომიძე

ანგლიციზმების აღსატაციის თავისებურებები
და ბავრცელების სწეროები
(ქართული ენის მასალაზე)

წარმოდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო

საავტორო უფლება © 2008, კობა ლომიძე, 2008

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავეცანით კობა ლომიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: "ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები და გავრცელების სფეროები" და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: -----

რეცენზენტი:-----

რეცენზენტი:-----

რეცენზენტი:-----

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2008 წელი

ავტორი: კობა ლომიძე
დასახელება: ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები და
გავრცელების სფეროები
ფაკულტეტი : ჰუმანიტარულ- სოციალური
ხარისხი: დოქტორი
სხდომა ჩატარდა:

ინდივიდუალური პიროვნების ან ინსტიტუტების მიერ შემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომის თემას წარმოადგენს ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვების – ანგლიციზმების შემოსვლა და მათი ადაპტირება ქართული ენაში. ანგლიციზმების ადაპტაციის პროცესი გაანალიზებულია ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეზე. ანგლიციზმების კლასიფიკაცია ხდება ადაპტაციის ტიპის მიხედვით. ნაშრომის მიზანია ანგლიციზმების სესხებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოკვლევა. სესხების ლინგვისტურ ფაქტორებთან ერთად ნაშრომში განხილულია ის ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომელთა გამოც აუცილებელი ხდება ანგლიციზმების სესხება. ერთერთი ასეთი ფაქტორია გლობალიზაციის პროცესი, რომლის გავლენა საქართველოში ნათლად შეინიშნება მრავალ სფეროში.

ქართულ ენაში ინგლისური სიტყვების სესხების ინტენსიფიკაცია საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხდა, როცა გაიხსნა ადრე არსებული საზღვრები. ამ პროცესს ხელი შეუწყო როგორც საქართველოს სახელმწიფოს დასავლეთისკენ აღებულმა კურსმა, ისე ბიზნესის, ტურიზმისა და სხვა ისეთი სფეროების განვითარებამ, რომელთათვისაც ინგლისური ენას გააჩნია დიდი როლი კომუნიკაციური ფუნქციის თვალსაზრისით.

კვლევა მოიცავს როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებას. დისერტაციაში მოყვანილია ნაწყვეტები ოცი წლის პერიოდის სხვაობით გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიებიდან, რომლებიც ერთსა და იმავე თემას ეხება, რის საფუძველზეც ხდება ანგლიციზმების რაოდენობის მკვეთრი ზრდის დადასტურება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა სპორტი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიზნესი და მეწარმეობა.

დისერტაციაში მოხდა ანგლიციზმების ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ინტეგრაციისას მიმდინარე ენობრივი პროცესების აღწერა. ფონოლოგიურ ასპექტში გამოკვლეულია ყველა კონკრეტული ინგლისური ფონემის შესაძლო ტრანსფორმაცია და მოცემულია მარტივი ფონემებისა და დიფტონგების შესაძლო ვარიანტები ადაპტირებულ ანგლიციზმში. საინტერესოა, რომ უკანასკნელ წლებში სიტყვების ადაპტირება ხდება უფრო მეტად ფონეტიკურ გამოსახულებაზე მიმსგავსებით, ვიდრე მათ ორთოგრაფიულ გამოსახულებაზე, როგორც ეს ადრეულ ეტაპზე შემოსულ ანგლიციზმებს ახასიათებთ. ადაპტაციისას სირთულეს წარმოადგენს ინგლისური /T/ და /Δ/ ფონემების შემცველი სიტყვები, ვინაიდან ამ ფონემების მსგავსი ქართულში არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე მათი გამოხატულება ვარიაციულობით გამოირჩევა და ამ ფონემების შესატყვისად ანგლიციზმებში შეიძლება შეგვხვდეს ქართული ტ, დ, ზ, ს ასო-ბგერები.

ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ინტეგრირების საწყის ეტაპზე სირთულეს წარმოადგენს ანგლიციზმების ადაპტირება ქართული ენის ფლექსიურ სისტემასთან, რის გამოც ამ ნეოლოგიზმებს აქვთ უფლექსიო სტადია ან ზოგჯერ ორმაგი ფორმები და ეს პერიოდი შესაძლოა გაგრძელდეს საკმაოდ ხანგრძლივად. ქართულ ენაში დამკვიდრებული ანგლიციზმების აბსოლუტური უმეტესობა არის არსებითი სახელი, თუმცა მათ საფუძველზე ქართული სუფიქსების გამოყენებით შესაძლოა მოხდეს მეტყველების სხვა ნაწილის წარმოება. დისერტაციაში გამოთქმული ვარაუდი, რომ ზოგიერთი ინგლისური მორფემა ნასესხები იქნა ქართული ენის მიერ და მიუხედავად იმისა რომ ეს ტენდენცია არც თუ ისე ძლიერია, მაინც გვაქვს მაგალითები, როცა ახალი სიტყვები ინგლისური წარმოშობის მქონე მორფემებით იწარმოება.

დისერტაციაში შესწავლილია ანგლიციზმების გავრცელების სხვადასხვა სფერო, სადაც განსაკუთრებით ინტენსიურად ხდება ანგლიციზმების შემოსვლა. მოყვანილია ცხრილი კონკრეტული მაგალითებით. დიდი ადგილი ეთმობა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებულ ანგლიციზმებს, რადგან ეს ცხოვრების ერთერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი სექტორია, რაც მასთან შეხების მქონე ადამიანების მიერ ანგლიციზმების აქტიური გამოყენების მიზეზი ხდება. ვებ-გვერდის სანავიგაციო სტრუქტურის საფუძველზე ნაშრომში განხილულია ქართული ინტერნეტ საიტების ლინგვოკულტურული თავისებურებები. სხვა სფეროებიდან, სადაც ანგლიციზმები საკმაოდ ინტენსიურად გამოიყენება აღსანიშნავია სპორტი.

კვლევის ემპირიულ მასალად გამოყენებულია ის ათასამდე ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმი, რომელიც ქართულ ენაში მეოცე საუკუნის დასასრულიდან დღემდე შემოვიდა. ავტორი ასაბუთებს აზრს, რომ ანგლიციზმების ყველაზე ფართო მომხმარებლები ახალგაზრდა თაობის ადამიანები არიან. თუმცა ამავე დროს ანგლიციზმების გამოყენების სიხშირე დამახასიათებელია ისეთ სფეროებში დასაქმებული ადამიანებისათვისაც როგორცაა ჟურნალისტიკა, პოლიტიკა, ტურიზმი, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ბიზნესი და სხვა.

ენობრივი კონტაქტების შედეგად სხვადასხვა ენის მიერ სიტყვების ლექსიკური შესახება არის ჩვეულებრივი მოვლენა და მათ განვითარებაში ერთერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. თეორიულად ნასესხები სიტყვები კონკრეტულ ენაში შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დადებით წვლილად ისე საფრთხედ ამ ენის განვითარებისათვის. პრაქტიკულ დონეზე ანგლიციზმები ხშირად წარმოადგენენ დილემას მთარგმნელებისათვის, რადგანაც მათი გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული სტილისა და ჟანრის პრობლემებთან. არ არსებობს მსოფლიოში ენა, რომელსაც სხვა ენების ლექსიკური რესურსებიდან ნასესხები სიტყვები არ ჰქონდეს ათვისებული. ეს პროცესი არ უნდა იქნეს აღქმული ცალსახად უარყოფით მოვლენად, რადგან ენის ევოლუცია შეუძლებელია უცხოური ნეოლოგიზმებით გამდიდრების გარეშე.

Abstract

The dissertation deals with the borrowing and adaptation of English words – the anglicisms in the Georgian language. The process of adaptation of anglicisms is analyzed in phonological, morphological and semantic respect. The anglicisms are classified according to the type of adaptation. The purpose of the work is to research the characteristics related to the process of borrowing of anglicisms. Together with linguistic factors the paper discusses those extra-linguistic factors because of which it becomes necessary to borrow anglicisms. One of the factors of this kind is the globalization process the influence of which can vividly be noticed in Georgia in various spheres.

The process of integration English words into the Georgian language was intensified after Georgia regained its independence and when the existing borders were opened. This process was stimulated by the political course of the Georgian state towards the west as well as the development of business, tourism and other spheres where English plays a big role fulfilling a communicative function.

The research encompasses the written as well as oral speech. Extracts of the newspaper articles dealing with one and the same theme and published in twenty years period difference are given. Based on their analysis the quick growth in the numbers of anglicisms during the period from 1986 to 2006 is proved in spheres like sports, computer technologies, business and industry.

The dissertation is an attempt to describe the linguistic processes taking place when anglicisms integrate phonologically, morphologically and semantically. In phonological respect the possible transformations of all concrete English phonemes are identified and the possible variants of simple phonemes as well as diphthongs in the adapted anglicisms are presented. It is interesting that in recent years the adaptation of words is based more on phonetic expression than its orthographic image as it was typical to the anglicisms borrowed at an early stage of influx. The difficulties arise when borrowing words which include English phonemes /T/ and /Δ/ because there are no similar phonemes in the Georgian language. As a result their expression is characterized with variation and Georgian letters t, d, z, s can be corresponding to these English letters in the transformed anglicism.

The paper says that at an early stage of integration the adaptation of anglicisms to the flexion system of the Georgian language constitutes a difficulty. Therefore there is a stage when these neologisms do not have flexion or sometimes have double forms and this period can continue for quite a long time. The absolute majority of the anglicisms borrowed by the Georgian language are nouns. However we can see the formation of other parts of speech based on these anglicisms using Georgian suffixes. The dissertation presents a hypothesis that some English morphemes are borrowed by the Georgian language. This trend is not very strong. However there are examples when new words are formed using English morphemes.

The dissertation studies the different spheres of expansion of anglicisms where English words are borrowed with highest intensity. A table is given illustrating concrete examples. A certain space is devoted to the anglicisms used in the sphere of computer technologies, because this is one of the fastest developing sectors of modern life, which becomes a reason for the people having any connection with it to be the active users of anglicisms. Based on the navigation structure of a website the paper discusses linguistic and cultural peculiarities of Georgian websites. From other spheres where anglicisms are used quite intensively sports should be noted.

As an empirical material for the research approximately thousands of English neologisms are used. They integrated into the Georgian language from the end of the twentieth century up to today. The author substantiates the idea that the biggest users of anglicisms are younger generation. However at the same time people employed in such spheres as journalism, politics, tourism, computer technologies, business are also characterized with frequent use of anglicisms.

As a result of language contacts the lexical borrowing of words by different languages is an ordinary event and it plays an essential role in their development. Theoretically the borrowed words can be considered a positive contribution to the specific language as well as a threat for the development of this language. On the practical level anglicisms often constitute a dilemma for translators, because the use of anglicisms is often closely related to the problems of style and genre. There is no language in the world which has not borrowed and integrated words from lexical resources of other languages. This process must not be conceived as unilaterally negative event, because the evolution of the language is impossible without enriching it with foreign neologisms.

სარჩევი

შესავალი.....	10
I. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში.....	15
1.1 ანგლიციზმების სესხების ძირითადი მიზეზები.....	20
1.2 ენის სიწმინდე და მედიატორი ენების როლი	26
1.3 ენობრივი სესხების ფორმები	31
II. ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში	35
2.1 ანგლიციზმების წარმოთქმა და ორთოგრაფია	40
2.2 ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაცია	59
2.3 ანგლიციზმების სემანტიკური ადაპტაცია	68
III. ანგლიციზმების გავრცელების სფეროები და მათი ინტენსივობა.....	72
3.1 ანგლიციზმების რაოდენობრივი ზრდა ბოლო 20 წლის განმავლობაში	75
3.2 კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი	84
3.3 ვებსაიტის ნავიგაცია: ლინგვოკულტურული თავისებურებები.....	92
3.4 სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი	100
ზოგადი დასკვნა	109
გამოყენებული ლიტერატურა.....	113
დანართი ა. ფართოდ გავრცელებული ანგლიციზმები.....	122
დანართი ბ. ინტერნაციონალიზმები	126
დანართი გ. კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები	128
დანართი დ. სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები	130
დანართი ე. მუსიკისა და კულტურის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები	131

ცხრილების ნუსხა

ცხრილი 1. ქართული და ინგლისური ენების თანხმონები.....	46
ცხრილი 2. თანხმონი ბგერების ჩანაცვლება.....	48
ცხრილი 3. ხმოვნების ჩანაცვლება.....	52
ცხრილი 4. დიფტონგების ჩანაცვლება.....	53
ცხრილი 5. ანგლიციზმებში შემაჯავლი ინგლისური აფიქსები.....	66
ცხრილი 6. ანგლიციზმების თემატური ჯგუფები ქართულ ენაში.....	73

ნახაზების ნუსხა

ნახაზი 1. ქართული ხმოვანი ფონემების სამკუთხედი	52
ნახაზი 2. Posta.ge-ს ინტერფეისი.....	96

შესავალი

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა ბუნებრივი ენისადმი, როგორც ადაპტირებადი სისტემისადმი, დამოკიდებულების ფორმირება. ენა იცვლება თავისი ფუნქციის შესრულების მიზნით, პირველ რიგში კი ადექვატური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. ენის თვითადაპტირება ხდება სტიქიურად, ბუნებრივი გამორჩევის პროცესში. მოცემულ ენაზე მოსაუბრეები გაუცნობიერებლად ამჯობინებენ ერთ ენობრივ ფორმას სხვას. ენის თვითადაპტირების პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტი მისადაბი წაყენებული ფუნქციური მოთხოვნების შესაბამისად არის ამა თუ იმ ენობრივი პროცესის აქტივაცია ან პირიქით, შეჩერება. ენობრივ სისტემას აქვს თვითრეგულირებისა და თვითორგანიზების კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ცვლიან ენას ოპტიმალური, მდგრადი მდგომარეობისა და მისი გარემოცვისადმი ოპტიმალური ადაპტაციის მიმართულებით. ენის გარემოცვა პირველ რიგში არის სოციალური და კულტურული სისტემები, რომლებიც ამ ენას იყენებენ.

ამგვარად, ლინგვისტიკისადმი სისტემურ-ფუნქციური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი ხდება, აიხსნას ენის თვისებებისა და ენობრივი განვითარების პროცესების არაშემთხვევითობა. შესაბამისად, მექანიზმებისა და ენობრივი სისტემის განვითარების ტენდენციების გამოსავლენად მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ ენობრივ პროცესებს, რომლებიც ხდება ენობრივი გარემოცვის, კერძოდ, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ა.შ. პირობების ცვლილების ყველაზე ინტენსიურ პერიოდებში. ენის სისტემაში ცვლილებებზე დაკვირვება, კერძოდ მიმდინარე ენობრივი პროცესების აქტივიზაციაზე ან ჩაქრობაზე, შედგომ კი იმაზე დაკვირვება, რომელი მოვლენები შენარჩუნდება ენაში და რომელი ვერ უძლებს დროის გამოცდას საშუალებას იძლევა გავაკეთოთ დასკვნები ზოგადენობრივი ტენდენციების შესახებ.

ბევრი ლექსიკოლოგი იკვლევს მრავალი ლექსიკური ტენდენციის ინტენსიფიკაციას თანამედროვე ქართულ ენაში, კერძოდ, სემანტიკურ, სიტყვათწარმოების, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სხვა სახის პროცესებს, რომლებიც ქართული ლექსიკის ხასიათს ცვლიან.

ბოლო ორი ათწლეული აქტიური პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებებით ხასიათდება საქართველოში. საბჭოთა კავშირისა და არსებული პოლიტიკური სისტემის დაშლას მოჰყვა ადრე მკაცრად დაცული საზღვრების გახსნა უცხოური გავლენისათვის, რამაც ქართველებისათვისაც ხელმისაწვდომი გახდა მსოფლიო კულტურა და ეკონომიკა.

ლინგვისტები სხვადასხვაგვარად აფასებენ ენობრივი სესხების პროცესს და ახალი ანგლიციზმების ქართულ ენაში შეღწევის მასშტაბებს. ეს ტენდენცია ობიექტურია და ამ პროცესის გააქტიურება ისტორიული და ენობრივი ფაქტორებითაა გამოწვეული. შესაბამისად მხოლოდ ქართული ენის მომავალ განვითარებას შეუძლია გვიჩვენოს, თანდათან შენელება თუ არა ეს პროცესი, რომელი ნასესხები ერთეული იქნება ათვისებული ენობრივი საშუალებით და შევა ენობრივ სისტემაში და რომელი ამოვარდება ჯერ კიდევ სესხების საწყის სტადიაზე.

ენობრივ სისტემას აქვს უნარი ადაპტირდეს გარემოცვის ფუნქციურ მოთხოვნებთან, იგი უაღრესად მოქნილია. სესხება – ეს არის ენობრივი სისტემის თავის ფუნქციასთან შესაბამისობის ხერხი და თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში, რომელშიც პოლიტიკურმა, იდეოლოგიურმა გახსნილობამ გარეშე ზეგავლენის მიმართ ენის გახსნილობასთან მიგვიყვანა, ამ პროცესის აქტივაცია სავსებით კანონზომიერია.

ენისა და კულტურის, ენისა და საზოგადოების კავშირი, თავისთავად იგულისხმება ენობრივ გარემოცვასთან ენობრივი სისტემის ადაპტაციის თესიზში. საზოგადოებრივი გარდატეხისა და გარდაქმნის დრო საზოგადოებაში იმავდროულად ენობრივი სისტემის გარდაქმნის დროცაა. ლექსიკა არის საზოგადოებრივი ცვლილებებისა და ენობრივი კოლექტივის წევრთა მიდრეკილებათა „ბარომეტრი“. ერთის მხრივ, ლექსიკაში აისახება საზოგადოებრივი ცნობიერება, ხოლო, მეორეს მხრივ, ლექსიკა და ენა მთლიანობაში ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომაც ლინგვისტებისათვის ასე მნიშვნელოვანი ენობრივი და პირველ რიგში, ლექსიკური ცვლილებების ტენდენციების განჭვრეტა ენობრივი კოლექტივის ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში.

სწორედ ამიტომ გახდა ჩვენი **კვლევის ობიექტი** ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ქართულ ენაში ბოლო 20 წელია მიმდინარეობს. ყველაზე ინტენსიური ცვლილებები ლექსიკურ დონეზეა იმდენად, რამდენადაც სწორედ ლექსიკა არის ყველაზე მოძრავი ქვესისტემა, რომელიც უშუალოდ რეაგირებს ენობრივი გარემოცვის ცვლილებაზე.

კვლევის მასალად აღებულია ათასამდე ანგლიციზმი, რომელიც შემოვიდა და მეტნაკლები ხარისხით დამკვიდრდა ქართულ ენაში.

ნაშრომის აქტუალობა შემდეგმა გარემოებებმა განაპირობა:

1. ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდამ თანამედროვე მსოფლიოში.
2. ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვების შემოდინების გააქტიურებამ.
3. ანგლიციზმების ადაპტაციის მეცნიერული შესწავლის აუცილებლობამ.
4. სესხების საწყის ეტაპზე ანგლიციზმების ფორმის ვარიაციულობამ.

ნაშრომის ძირითადი მიზანია ანგლიციზმების სესხების თავისებურებების გამოკვლევა თანამედროვე ქართულ ენაში, მათი ფონოლოგიური, მორფოლოგიური, სემანტიკური ადაპტაციის მექანიზმების განხილვა, ლინგვოკულტურული თვალსაზრისით ადამიანის ყოფის იმ სფეროების შესწავლა, სადაც ინტენსიურად ხდება ანგლიციზმების შემოსვლა (კომპიუტერული ტექნოლოგიები, კომერცია, ტექნიკა, მეცნიერება, სპორტი). აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროდ მიგვაჩნია გადავიჭრას შემდეგი კონკრეტული **ამოცანები**:

1. დადგინდეს ანგლიციზმების აქტიური სესხების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები.
2. შემუშავდეს ანგლიციზმების ადაპტაციის სტანდარტული ნორმების რეკომენდაციები ორმაგი სტანდარტის გამოსარიცხად.
3. მოხდეს ანგლიციზმების კლასიფიკაცია ადაპტაციის ტიპებად ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეზე.
4. გაანალიზდეს სოციოლინგვისტური ფონი, რომელზეც მიმდინარეობს ანგლიციზმების ინტეგრაცია (მომხმარებელთა პროფესია, განათლების დონე, ინგლისური ენის ცოდნა).

დისერტაციის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

- ა. გამოკვლეულია ანგლიციზმების არსი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კუთხით. დაზუსტებულია ის ლექსიკოლოგიური

პროცესები, რომელსაც ქართულში ანგლიციზმების ადაპტაციისას აქვს ადგილი. შეფასებულია არსებული ტენდენციები ანგლიციზმების სესხების კუთხით.

- ბ. შესწავლილია ანგლიციზმების ადაპტაციისას ფონემური სუბსტიტუციის პრობლემა ფონოლოგიური ანალიზის საფუძველზე, გამოიყენება ქართულ ენაზე ტრანსლიტერაციისა და ტრანსკრიპციის ნიმუშები.
- გ. დადგენილია ის გზები (ზეპირი, წერიტი, შუამავალი ენის გავლით, მასმედია), რომელთა საშუალებითაც შემოდის ანგლიციზმები, და რომლებიც თავისებურად შემოქმედებენ მათი საბოლოო სახის ჩამოყალიბებაზე.
- დ. შესწავლილია ანგლიციზმების ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაციის პროცესი.
- ე. წარმოდგენილია რეკომენდაციები ანგლიციზმების სწორი მართლწერისა და წარმოთქმისათვის.

აღნიშნული ემპირიული კვლევისათვის ჩვენ გამოვიყენეთ როგორც **დესკრიპციული მეთოდი**, ისე ამ ორი ენის – ინგლისურისა და ქართულის **შეპირისპირებითი (კონტრასტული) კვლევა**.

ნაშრომის სტრუქტურა შედგება შესავლის, სამი თავის, ქვეთავების, ზოგადი დასკვნისაგან. თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართები.

თავი I – ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში.

თავი II – ანგლიციზმების ადაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში.

თავი III – ანგლიციზმების გავრცელების სფეროები და მათი ინტენსივობა.

ზოგადი დასკვნა.

დისერტაციის თეორიული მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში:

1. ნაწარმოებია ანგლიციზმების სესხების კვლევა უნივერსალური თვალსაზრისით.
2. ხაზგასმულია ინგლისური ენის ქართული ენის სისტემაზე შემოქმედება და გამოთქმულია ვარაუდი, რომ იგი მხოლოდ ენის ლექსიკური დონით არ შემოიფარგლება.

სადისერტაციო ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს შემდეგში: იგი დიდ დახმარებას გაუწევს მთარგმნელობითი საქმით დაკავებულ სპეციალისტებს, რადგან ანგლიციზმები ხშირად დილემაა მთარგმნელებისათვის, ვინაიდან მათი გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული სტილისა და ჟანრის პრობლემებთან. სადისერტაციო ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები სასარგებლო იქნება აგრეთვე ჟურნალისტებისათვის. ამასთანავე ეს ნაშრომი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ლექსიკოგრაფებს ანგლიციზმების სრულფასოვანი ქართული ლექსიკონის შედგენის საქმეში.

I. ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები ენობრივი სესხების პროცესში

მეოცე საუკუნის დასასრულს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, შესაბამისად ქართულ ენაში უცხოური სიტყვების, მეტწილად კი ანგლიციზმების (იხ. დანართი ა), შემოსვლა აქტიურ ფაზაში შევიდა. დღეს როგორც არასდროს იმდენი ნასესხები სიტყვა შემოდის ქართულ ენაში. ამ პროცესმა მოიცვა არა მარტო ბიზნესი, პოლიტიკა და პრესა, არამედ საშუალო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება.

ღონორი ენის და ენა-რეციპიენტის სისტემების გავლენა ნასესხებ სიტყვებზე აისახება იმ ცვლილებებში, რომელსაც სიტყვა განიცდის შემოსვლის პროცესის დასაწყისში და მისი შემოსვლიდან გარკვეული ხნის შემდეგ. ნასესხები სიტყვების ევოლუცია ამგვარად თვალსაჩინო შესაძლოა იყოს მხოლოდ მათი ისტორიულ პლანში შესწავლის დროს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით.

ანგლიციზმის ენა-რეციპიენტის საშუალებებით ფონემურ-გრაფიკული გაფორმების დროს ჩნდება გარკვეული მერყეობა სიტყვების ორთოგრაფიაში, წარმოთქმასა და აქცენტირებაში, რომლის მიზეზები აუცილებელია ვეძებოთ ორი მოკონტაქტე ენის სისტემების თავისებურებებში, მაგალითად (ჩატი – ჩეთი – chat). უცხოური სიტყვის შეღწევის პერიოდის ხანგრძლივობა სხვადასხვა სიტყვისთვის განსხვავებულია, თუმცა სიტყვის ენაში შეღწევა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის სესხებას.

სიტყვის თანდათან ათვისების პროცესში და მის წერით და ზეპირ მეტყველებაში გამოყენების გაფართოვებასთან ერთად მისი ფორმა სტაბილურდება, უახლოვდება მსესხებელი ენის ნორმებს და უფრო მეტად სცილდება თავის ინგლისურ ეტიმონს. სესხების მეორე ეტაპზე ძლიერდება მსესხებელი ენის სემანტიკური გავლენა ნასესხებ სიტყვაზე [38].

საკუთრივ ინგლისური წარმოშობის მქონე სიტყვების ქართული ენის ლექსიკურ შემადგენლობაში გამორჩევის პროცესმა წარმოშვა მნიშვნელოვანი სიძნელეები, რაც დაკავშირებულია თეორიული, ისტორიული, ეტიმოლოგიური და მეთოდოლოგიური ხასიათის ფაქტორებთან. თვით ინგლისური ლექსიკის

ეტიმოლოგიური შემადგენლობა ძირითადად წარმოდგენილია სხვადასხვა ენიდან სხვადასხვა პერიოდში ნასესხები სიტყვებით (დაახლოებით 75%), ხოლო ჭეშმარიტად ინგლისურ ლექსიკას უმეტეს შემთხვევაში სხვა გერმანიკულ ენებში პარალელი აქვს.

ინგლისური ენის სიტყვების ძირითადი მასა, რომელიც ნასესხებია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ლათინურიდან, ბერძნულიდან, სკანდინავიურიდან, ფრანგულიდან და სხვა ენებიდან, ინგლისურ ნიადაგზე ახალ მნიშვნელობას იძენდა და ამ მნიშვნელობებით შედიოდა სხვა ენებში, მათ შორის ქართულშიც. აქედან გამომდინარე რეციპიენტი ენებისათვის სესხების წყაროდ ინგლისური უნდა ჩავთვალოთ [39].

ინგლისური ამასთანავე შემდგომში ფართოდ გავრცელებული მრავალი სიტყვის წყაროა, რომლებიც წარმოიქმნა ბერძნულ-ლათინური მორფემების მეშვეობით, მაგრამ არ იყო ბერძნულ ან ლათინურ ენებში.

შეუძლებელია ამერიკული ინგლისურის (AmE) და ბრიტანული ინგლისურის (BrE) წყაროების რაიმე ხერხით გარჩევა, როცა ევროპულ ენებში ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებზე ვსაუბრობთ. ამას აქვს რამდენიმე მიზეზი: ნასესხები სიტყვები ადაპტირდება სესხების პროცესში, ამით კი იშლება განმასხვავებელი ნიშნები იმ სიტყვებში, რომლებსაც ინგლისური ენის ამ ორ ვარიანტში მართლწერისა და/ან წარმოთქმის განსხვავებული ფორმები აქვთ. რაც მთავარია, „ამერიკანიზმების“ გადასვლა სხვა ენებში უმეტეს შემთხვევაში ხდება ბრიტანული ინგლისურის (BrE) გავლით, ან ავტომატურად ადაპტირდება ბრიტანული ვარიანტით, რადგან ეს უკანასკნელი ინგლისური ენის სწავლებისას ითვლება ორიენტირად და გაბატონებულ მოდელად. ერთადერთი კრიტერიუმი, სიტყვა რომ ბრიტანულ ან ამერიკულ ვარიანტს მივაწეროთ, ენციკლოპედიურია, ე.ი. ახსნა შესაძლოა მოგვცეს სიტყვების შემოსვლამ ახალ გამოგონებებთან, ცნებებთან, საქონელთან ერთად, რომლებიც იმპორტირებულია ამერიკიდან, თუმცა ასეთი მინიშნებები ყოველთვის დამაჯერებელი არაა.

რადგანაც ინგლისური ზეპირი მეტყველება უფრო ადვილად ხელმისაწვდომი გახდა, ნასესხები სიტყვები ახლა გაცილებით ხშირად წარმოითქმის იმდაგვარად, როგორადაც მათი ეტიმონი. ეს განსაკუთრებით ეხება ახალ ნასესხებ სიტყვებს [160].

უცხოური სიტყვების პირდაპირი თარგმანი ანუ კალკირება შედარებით იშვიათია, თვით ენობრივი სესხებისადმი ყველაზე უარყოფითად განწყობილი საზოგადოებათა ენებშიც კი, რომლებშიც კალკების პროპორცია, ტრანსლიტერაციასთან შედარებით, როგორც წესი, უფრო დიდია, ვიდრე „ლია ენებში“ [158].

ქართულმა ენამ თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მრავალი ენის გავლენა განიცადა. ბერძნული, სპარსული, არაბული, თურქული, რუსული – ის ენებია, რომლებმაც ქართული ენა ახალი სიტყვების შემოტანით გაამდიდრეს.

აღსანიშნავია, რომ ქართულის მიერ ნასესხებ სიტყვათაგან ყველამ როდი მოაღწია ჩვენს დრომდე. ბევრი მათგანი აღარ გამოიყენება და მხოლოდ საუკუნეების წინ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებთა ტექსტებში თუ ვხვდებით. ზოგი სავარაუდოა, ისე მიეცა დავიწყებას, რომ კერცერთ ინფორმაციის მატარებელ მასალაზე ვერ ჰპოვა ასახვა. დროთა ვითარებაში ბევრი ნასესხები სიტყვა იმდენად შეუსისხლხორცდა ქართულს, რომ მათი უცხო წარმომავლობა აღარ იგრძნობა.

XX საუკუნეში ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკურად განვითარებამ და სუპერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებამ განაპირობა ის, რომ ინგლისური ენა, რომელიც ამერიკელთა სახელმწიფო ენაა, მსოფლიოში საერთაშორისო ენა გახდა. გარდა იმისა, რომ მისი მეშვეობით მსოფლიოში მილიონობით სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე ამყარებს ურთიერთშორის კონტაქტს, ინგლისური ენა მრავალი სფეროსათვის, მაგალითად როგორცაა ავიააცია, არსებითია [113].

კიდევ ერთი მიზეზი, რაც ინგლისური ენის ფართოდ გავრცელებას უწყობს ხელს კომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აშშ ზემოთ ჩამოთვლილ დარგებში ლიდერია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომ არის ინგლისური ენის საკითხი ასე აქტუალური.

ინგლისურ ენაზე ასეთი მოთხოვნილება და მისი გავრცელება სხვადასხვა სფეროში, კერძოდ ის, რომ უახლესი სამეცნიერო, კულტურული, თუ საყოფაცხოვრებო ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ინგლისურ ენაზეა ხელმისაწვდომი, თავისთავად ზეგავლენას ახდენს არა მარტო ქართულ ენაზე,

რომელზეც მოსაუბრეთა რაოდენობა როგორც საქართველოს შიგნით ასე მის გარეთ 10 000-ს ვერ გადააჭარბებს, არამედ ისეთი გიგანტი სახელმწიფოების ენაზეც როგორებიცაა რუსეთი, ჩინეთი.

საბჭოთა კავშირის დაშლას და იმ წინააღმდეგობების ნგრევას, რაც დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობას ელგა წინ მოყვა საქმიანი, სამეცნიერო, სავაჭრო, კულტურული კავშირების გააქტიურება. განვითარება დაიწყო უცხოურმა ტურიზმმა, ჩვეულებრივი ამბავია ხანგრძლივი დროით სპეციალისტებისა და სტუდენტების გაგზავნა სამუშაოდ და/ან სასწავლებლად საზღვარგარეთის ქვეყნების დაწესებულებებში. საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწეობს ერთობლივი ქართულ-უცხოური კომპანიები. გაიზარდა ინტენსიური საუბრის საჭიროება იმ ადამიანებთან, რომლებიც იყენებენ სხვა უხოურ ენებს. ეს კი მნიშვნელოვანი პირობაა არა მარტო ლექსიკის შესხებისათვის უშუალოდ ამ ენებიდან, არამედ ქართულ ენაზე მოსაუბრეთა გაცნობისათვის საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სისტემებთან (რომელიც ხშირად ინგლისურს ეფუძნება) ისეთ სფეროებში, როგორიცაა ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეკონომიკა და ფინანსები, ვაჭრობა, სპორტი, მოდა, ჟურნალისტიკა და სხვა.

პოსტ-საბჭოთა პერიოდში სამთავრობო დაწესებულებებმა და სტუქტურებმა სწრაფად შეიცვალეს სახელწოდებები. *უზენაესი საბჭო* იქცა *პარლამენტად*, რომელსაც ჰყავს *სპიკერი*; *მინისტრთა საბჭო* იქცა *მინისტრთა კაბინეტად*, მისი *თავმჯდომარე* კი *პრემიერ მინისტრად* (ან უბრალოდ *პრემიერად*), მისი *მოდგელები* *ვიცე-პრემიერებად*. ქალაქებს ჰყავთ *მერები*, *ვიცე-მერები*, *პრეფექტები*, რომლებიც მუშაობენ რეგიონალურ *ადმინისტრაციებში*. ადმინისტრაციის ხელმძღვანელებს ჰყავთ *პრეს-მდივნები* ან *პრეს-ატაშეები*, რომლებიც რეგულარულად გამოდიან *პრეს-კონფერენციებზე*, და აგზავნიან *პრეს-რელიზებს*, აწვობენ *ბრიფინგებს* და თავიანთი *შეფების ექსკლუზიურ ინტერვიუებს*.

ინგლისური ენა, რომელიც თავის დროზე მრავალი ენის ზეგავლენის პროცესში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა ენიდან მოახდინა ლექსიკური ერთეულების იმპორტი, მეოცე საუკუნეში თავად გახდა მსოფლიოს უდიდესი ლექსიკური ექსპორტიორი და ეს ექსპორტი იზრდება XXI საუკუნეში, როცა ინგლისური ბატონობს სხვადასხვა სფეროში, დაწყებული პოპულარული მუსიკით და დამთავრებული ელექტრონული კომუნიკაციებით.

მაგრამ ვითარება არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, რომ თითქოს ინგლისური აღარ განიცდის სხვა ენების გავლენას. დღესდღეობით ინგლისური ენის ლექსიკაც ივსება ბევრი ნეოლოგიზმით. დიდ ბრიტანეთში ახლახანს გამოვიდა ოქსფორდის ლექსიკონის ახალი გამოცემა, რომელშიც ჩართულია 3000-ზე მეტი ახალი სიტყვა და გამოთქმა. თანამედროვე ინგლისური ენის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. ამოტომაც ლექსიკონში ადგილი დაიპყვიდა ჩინურმა, ინდურმა, იაპონურმა სიტყვებმა. ასევე ბევრია ნასესხები სიტყვები ივრითიდან და იდიშ (ანუ ახალბრაული) ენიდან. მიუხედავად ყველაფრისა ინგლისური, რომლის ლექსიკონის ნახევარი ნასესხები ლექსიკისგან შედგება, დედამიწის მთავარი ენაა [48].

იმპორტირების პროცესში სიტყვამ შესაძლოა შეიცვალოს ფორმა ან ფუნქცია. ეს ზოგჯერ აშკარაა, ზოგჯერ კი შეუმჩნეველი. ამა თუ იმ ანგლიციზმს სხვადასხვა ენაში და მათ შორის ქართულშიც, გააჩნია თავისი გავრცელების ისტორია, შემოსვლის მარშრუტი იმ შემთხვევაში, როცა არა პირდაპირ ინგლისურიდანაა ნასესხები. ერთ ანგლიციზმს შემოსვლის საწყის ეტაპზე ენაში შესაძლოა ჰქონდეს ორთოგრაფიის, წარმოთქმის რამდენიმე ვარიანტი და მნიშვნელობაც კი. ისინი შესაძლოა განვასხვაოთ ინტეგრირების ხარისხის და გამოყენების შეზღუდვების მიხედვით, ანგლიციზმებს ასევე შესაძლოა ჰქონდეთ თავიანთი ადგილობრივი ექვივალენტები და ნაწარმოები სიტყვები (დერივატები) [139].

იქმნება საფრთხე ქართული ენისათვის, ქართული კულტურისთვის ესოდენ მრავალრიცხოვანი ანგლიციზმებისგან?

ენათმეცნიერები თვლიან, რომ ახალი სიტყვების შემოჭრა ენისათვის ერთგვარ ვაქცინაციას წარმოადგენს და მის ბრძოლისუნარიანობას აძლიერებს, რომ ენა თავადვე აწესრიგებს ლექსიკურ საცავს და რაც ფასეულია – იტოვებს, ზომიერების დაცვით [177].

ნასესხები სიტყვების ქონა, არც ერთი ერისათვის არ არის უცხო და ეს ტრაგედიას არ წარმოადგენს. ხოლო ის ფაქტი, რომ ქართულ ენას ბევრი რამ აქვს ნასესხები არაბულისა და სპარსულისაგან, ეროვნული განგაშის მიზეზი ისტორიულად არასდროს გამხდარა და ქვეყანა ამით არც დღეს იქცევა. არაბული სიტყვებია „აღყა“, „თაღლითი“, „თარსი“, „რაფა“ და სხვა მრავალი, მაგრამ განა

ხელს უშლის რაიმეს? ლათინურია „რეალიზმი“, ესპანურია „ტომატი“, ფრანგული სიტყვაა „როიალი“.

თვალს თუ გადავაკვლებთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს, ვნახავთ, რომ ასი ერთმანეთს მიყოლებული სიტყვიდან ძალიან ცოტაა „ნამდვილად ქართული“. შესაძლოა სპარსული და თურქული სიტყვა უფრო ხშირად შევხვდეს, ვიდრე „ჩვენებური“.

უცხოური სიტყვების გარეშე ენის არსებობა შეუძლებელია, რადგან ეს იქნებოდა თვალის დახუჭვა იმაზე, რა ხდება სამყაროში. ენა ფხიზლად რეაგირებს იზოლაციონიზმზე და ხშირად შურსაც იძიებს. ანგლიციზმების „ზვავი“, რომელიც თავს დაატყდა ქართულ ენას XX საუკუნის 90-იან წლებში არის საფასური საბჭოთა იზოლაციონიზმისათვის, რომლის უკან არავითარი რეალური მიღწევა არ იდგა.

1.1. ანგლიციზმების სესხების ძირითადი მიზეზები

ლათინურის მსგავსად, რომელიც შუა საუკუნეების ევროპაში დიდი ხნის მანძილზე განათლების ენა იყო, ან ფრანგულის მსგავსად, რომელიც საერთაშორისო დიპლომატიის ენა იყო მე-17-დან მე-20 საუკუნემდე, ინგლისური დღეს გლობალური ენაა.

ინგლისურ ენას ძლიერი გავლენა აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ენის ლექსიკაზე, მათ შორის ქართულზეც, რისი ნათელი დასტურია ანგლიციზმების ინტენსიური შემოსვლა ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ ენათმეცნიერებში გამოიწვია დიდი ინტერესი, რასაც მოჰყვა მეცნიერული კვლევები იმის დასადგენად თუ რამდენად დიდია და რა დადებითი თუ უარყოფითი შედეგები აქვს ინგლისურის გავლენას სხვა ენებზე [200]. დავაკვირდეთ იმ არცუ ისე მცირე რაოდენობას ინგლისურ სიტყვებს, რომლებიც მიღებულ იქნა ქართული ენის მიერ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და განვიხილოთ ის გზები, რომლითაც მოხდა მათი მნიშვნელობის ტრასფორმირება ან მოდიფიცირება. საზოგადოების მხრიდან არაერთგვაროვანი რეაქციაა ანგლიციზმების შემოდინებაზე როგორც ქართულ ისე სხვა, ბევრად უფრო გავრცელებულ ენებში.

ანგლიციზმების გამოყენება სოციოლინგვისტური თვალსაზრისით შესაძლოა დაიყოს შრეებად, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით როგორცაა ასაკი, სქესი, განათლების დონე, და სოციალური ჩვევები. თავისთავად ცხადია, რომ სხვადასხვა ჯგუფების მიერ ინგლისური ენიდან სიტყვების სესხება განსხვავებული თემატური სფეროებიდან ხდება. ანგლიციზმების დამკვიდრებაში თავისი განსაკუთრებული როლი აქვს მასმედიას (პერიოდულ გამოცემებს, რადიო-ტელევიზიას, და ა.შ.). ინგლისური ენიდან სიტყვების სესხება, ალბათ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო გავლენის (მათ შორის კულტურულის) ყველაზე კონკრეტული და ინტენსიური გამოვლინებაა. თეორიულად, ნასესხები სიტყვები შეიძლება მივიჩნიოთ როგორც დადებით წვლილად კონკრეტულ ენაში ისე საფრთხედ ამ ენის განვითარებისათვის. პრაქტიკულ დონეზე ანგლიციზმები ხშირად წარმოადგენენ დილემას მთარგმნელებისათვის, რადგანაც მათი გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული სტილისა და ჟანრის პრობლემებთან.

კითხვა, რომელიც უნდა დაისვას არის ის, თუ რატომ სესხულობს ენა სიტყვებს. ლექსიკური სესხება დღეს არის შედეგი საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთგაცვლისა. მეცნიერება, სპორტი, ტექნოლოგია, მასმედია და სხვა კიდევ ბევრი საქმიანობა, რომელთაც ადამიანები მისდევენ არის ლექსიკური სესხების განმსაზღვრელი ფაქტორები [173].

ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ მოქმედებს „ნაკლები ძალისხმევის კანონი“ ანუ მოსაუბრეები უპირატესობას ანიჭებენ ანგლიციზმებს, ვინაიდან ისინი მოკლეა, წარმოსათქმელად ცოტა დრო სჭირდება და უკეთ არიან ადაპტირებული დღევანდელი მოუსვენარი ცხოვრების სტილის მიმართ. თუმცა „ნაკლები ძალისხმევის კანონში“ არის სიმართლის ელემენტი, ის რომ კატეგორიულად მივაწეროთ სესხება ზემოთაღნიშნულს იქნებოდა არა სწორი. გასათვალისწინებელია ფსიქო-სოციალური ფაქტორები. ნაწილობრივ ამის ანსნა შეიძლება მოინახოს სოსიურის „ზოგადი ლინგვისტიკის კურსში“, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ არ არსებობს წმინდა სინონიმია, რომ ყველა სიტყვა, რომელიც მსგავს აზრს გამოხატავს ერთმანეთს ზღუდავს. სინონიმებს აქვთ საკუთარი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციის გამო; თუ ერთი მათგანი არ იარსებებს, მაშინ მისი შინაარსი მეტოქე სინონიმის შინაარსში გადავა [147]. იმის თქმა, რომ შეიძლება შევცვალოთ *შოპინგი* (shopping) *საყიდლებზე წასვლით* აქედან

გამომდინარე არა სწორია, ვინაიდან თავად ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა არის უცხოური ცვლის მის სემანტიკურ მნიშვნელობას.

იმ მიზეზთა შორის, რომლებიც ხელს უწყობენ უცხოური ნეოლოგიზმების მასიურ და იოლ შეღწევას ენაში, გარკვეული ადგილი უკავია სოციალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ბევრი ჩვენთაგანი თვლის, რომ უცხოური სიტყვა უფრო პრესტიჟულია შესაბამის ქართულ სიტყვასთან შედარებით: *პრეზენტაცია* უფრო მიმზიდველი ჩანს ვიდრე ჩვეული *წარდგენა*, *კომფორტული* უფრო კარგად ჟღერს, ვიდრე *მოხერხებული*, *დეპარტამენტი* არ არის იგივე, რაც *განყოფილება*, *ტოპ-მოდელი* უფრო „მაგარია“, ვიდრე *საუკეთესო მოდელი*. თუმცა უნდა ითქვას, რომ აღინიშნება გარკვეული აზრობრივი გამიჯვნა საკუთარი და უცხოური სიტყვების, *პრეზენტაცია* არის საზეიმო წარდგენა წიგნის, თემის და ა.შ. *ექსკლუზიური* ყველაზე ხშირად შეიძლება იყოს ინტერვიუ, ან უფლება.

უფროსი თაობის ადამიანები საშუალოდ უფრო ნაკლებად ტოლერატულები არიან უცხოური ლექსიკისდმი, ვიდრე ახალგაზრდობა. აგრეთვე ჰუმანიტარულთან შედარებით ტექნიკური მეცნიერებების წარმომადგენლები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმას თუ რა სიტყვას ხედავენ ან ისმენენ ისინი ქართულს თუ უცხოურს.

ინგლისური დღესდღეობით უფრო მოღურია ვიდრე ოდესმე ყოფილა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ინგლისური ლექსიკის ესოდენ შემოჭრა ქართულ ენაში ამის ერთერთი შედეგია. ალბათ ცოტა ვინმე თუ შეედავება იმ აზრს, რომ საშუალო მოზარდი იყენებს უფრო მეტი რაოდენობის ანგლიციზმს ვიდრე საშუალო ზრდასრული. ეს ააშკარავებს კავშირს ინგლისური სიტყვების გამოყენებასა და სოციალურ აღქმას შორის. სწორედ ახალგაზრდები არიან ის ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც სესხულობს სასაუბრო ანგლიციზმების უმეტეს ნაწილს. თანდათანობით ეს სიტყვები ასიმილირდება *თინეიჯერთა* ენაში. ასეთმა სიტყვებმა შესაძლებელია სემანტიკური ცვლილებაც განიცადოს [187].

ახალი არ არის ის ფაქტი, რომ ამერიკული მასობრივი კულტურის გავლენა მსოფლიოში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული სულ უფრო იზრდება. ძირითადი პროდუქტი ამ მხრივ ჰოლივუდის ფილმები და თანამედროვე ამერიკული პოპ-მუსიკა, უფრო კონკრეტულად კი ინგლისურენოვანი სიმღერებია. ფილმების თარგმნისას ბევრი სიტყვა ანგლიციზმის ფორმით რჩება, ან

ხდება მათი კალკირება. ხოლო ინგლისურენოვანი სიმღერები პოპულარულია ახალგაზრდებში, მათ ტექსტებს ხშირად ზეპირადაც სწავლობენ, ზოგჯერ ყველა სიტყვის მნიშვნელობის ცოდნის გარეშეც. თუმცა ეს მაინც საკმარისია იმისათვის, რომ ანგლიციზმები შემოვიდეს და უკვე შემოსული ანგლიციზმები კი უფრო მყარად ინტეგრირდეს ახალგაზრდულ მეტყველებაში (იხ. დანართი ე).

უფრო მეტიც დღეს ნებისმიერი საესტრადო მუსიკალური ჯგუფი, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის პრეტენზია გააჩნია, თავის რეპერტუარში აუცილებლად რთავს რამდენიმე ინგლისურენოვან სიმღერას. ზოგი კოლექტივი კი მხოლოდ ინგლისურად მღერის, ვინაიდან ინგლისურად სიმღერა მოდაშია. ჩვენის აზრით, ქართველებში ყოველთვის გამორჩეულად ბევრი ნიჭიერი საესტრადო შემსრულებელი იყო. ამავე დროს საქართველო ხუთ მილიონზე ნაკლები მოსახლეობით ძალიან მცირე ზომის ბაზარია შოუ-ბიზნესისათვის. ამანაც გარკვეულწილად განაპირობა ქართველი შემსრულებლების ინგლისურ, რუსულ და სხვა ქართულზე ბევრად უფრო ფართოდ გავრცელებულ ენაზე სიმღერის აუცილებლობა.

მოდით ყურადღება მოვაქციოთ იმ თანამედროვე საშუალებებს, რომელთა დახმარებით ხდება ესოდენ დიდი რაოდენობის უცხოური სიტყვების დანერგვა ქართულში.

როგორც უკვე აღინიშნა, ერთერთი მთავარი გზა საიდანაც ინგლისური სიტყვების შესხება ხდება არის პრესა და სხვა საინფორმაციო საშუალებები. ჟურნალისტთა ენა მართლაც ძალზედ „ანგლიციზებულია“. როგორც მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო უფრო ნაკლები ანგლიციზმია ავტორიტეტულ გაზეთებში, ვიდრე თინეიჯერულ გამოცემებში. თავად სიტყვა *თინეიჯერი-ც* (teenager) ხომ ანგლიციზმია.

ტელევიზია ეფექტურად ზემოქმედებს ენის განვითარებაზე. სავარაუდოდ, საშუალოდ ქართველი დღეში 3 საათს უთმობს ტელევიზორს. ლექსიკურ შესხებაში ტელევიზიის როლი ან პირდაპირია ან ირიბი. ანგლიციზმები დღესდღეობით უფრო „იმიჯის“ შესაქმნელად გამოიყენება, ვიდრე ლექსიკური ხვრელების შესავსებად ქართულ ენაში. დასავლური სისტემების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დანერგვასთან ერთად ბევრი ინგლისური სიტყვა ქართულში გადმოდის უთარგმნელად, შემდგომში კი ეს სიტყვები სწრაფად ვრცელდება. იგივე

ეხება რადიოსა და პოპულარულ მუსიკას. რადიო სადგურები, რომელთა მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფი 16-22-ია ანგლიციზმების ინტენსიური მომხმარებლები არიან. უმრავლესობა სიმღერებისა, რომლებსაც ისინი ამღერებენ ინგლისურია. სატელევიზიო პროგრამებისა და საგაზეთო სტატიებისაგან განსხვავებით, სიმღერები მრავალჯერ მოისმინება და პოპულარული სიმღერების ტექსტი ახალგაზრდებმა ხშირად ზეპირად იციან. კონკრეტული სიტყვები და ფრაზები სიმღერიდან შემდგომში გამოიჩინება და გამოიყენება დამოუკიდებლად სოციალურ კონტექსტში. უფრო მეტიც, ბოლო რამოდენიმე წელიწადმა დაგვიანა რებისა და ჰიპ-ჰოპის პოპულარობის ზრდა და ამ მუსიკის ბუნებამ ხელი შეუწყო ანგლიციზმების წარმოქმნას.

ინგლისური ბატონობს ინტერნეტში (ინტერნეტ გვერდების 95% ინგლისურადაა). ასეთი მდგომარეობა მოსალოდნელია, რომ კიდევ უფრო გაზრდის ნასესხები სიტყვების რაოდენობას. და რაც უფრო მეტ ადამიანს ექნება საქმე ინგლისურ ენასთან მით უფრო მეტი გავლენა ექნება მას მათზე. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთი ანგლიციზმის „სიცოცხლის ხანგრძლივობა“ მცირეა [88].

ენათმეცნიერები ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში იყვნენ დაკავებული იმ მიზეზების კლევით თუ რატომ ხდება სიტყვების სესხება სხვა ენისგან. თუმცა მიზეზების გამოვლენა ხდებოდა არა საკმარისი დიფერენციაციით ენობრივ და გარეგან, არაენობრივ მიზეზებს შორის. ზოგი მათგანი სესხების მთავარ მიზეზად მიიჩნევდა საგნებისა და ცნებების სახელდების აუცილებლობას. ასახელებდნენ თავისი ხასიათით განსხვავებულ სხვა ენობრივ, სოციალურ, ფსიქიკურ, ესთეტიკურ და ა.შ. მიზეზებსაც – ახალი ენობრივი ფორმების აუცილებლობა, ცნებათა გამიჯვნის აუცილებლობა, ექსპრესიულ საშუალებათა მრავალფეროვნება და მათი სისავსე, სიმოკლე და გარკვეულობა, მოხერხებულობა და ა. შ. თვით ლექსიკური სესხების პროცესი მათ მიერ განხილული იყო ორი სხვადასხვა ენობრივი საზოგადოების კულტურულ და სხვა კონტაქტებთან უწყვეტ კავშირში და როგორც ნაწილი და შედეგი ასეთი კონტაქტებისა [61].

სესხების **ლინგვისტური მიზეზებიდან** შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1. შესაფერისი ცნების საერთოდ არ ქონა ენა-რეცეპიენტის კოგნიტურ ბაზაში.

21-ე საუკუნის საქმიანი ადამიანის ლექსიკონში მყარად დამკვიდრდა ისეთი

ანგლიციზმები როგორებიცაა: ბეჯი (badge), ნოუტბუქი (notebook), პეიჯერი (pager), სკანერი (scanner) და სხვა.

2. ზუსტი შესაფერისი სახელწოდების არ ქონა ენა-რეციპიენტში. ასეთებია: *თოფ-მოდელი* (top-model), *ინვესტორი* (investor), *დაიჯესტი* (digest), *სპონსორი* (sponsor), *ფრაის-ლისტი* (price list), *იმიჯი* (image).
3. სტილისტური (ემფატიკური) ეფექტის უზრუნველყოფა. განსხვავებული ეფექტი აქვს ძველ სიტყვას *სანახაობა* და ანგლიციზმს *შოუ* (show).
4. პოზიტიური ან ნეგატიური კონოტაციების გამოხატვა, რომელიც არ გააჩნია ექვივალენტურ ერთეულს ენა-რეციპიენტში. ანგლიციზმი *დილერი* (dealer) გაცილებით პოზიტიური კონოტაციის მქონე სიტყვაა ვიდრე სიტყვა *გადამყიდველი*.
5. სხვადასხვა მიზნებისათვის ცნებათა სპეციალიზაციის აუცილებლობა ამა თუ იმ სფეროში. სპორტული სპეციალური ფეხსაცმლის ერთერთი სახეობა *ბუცები* (boots), უფრო კონკრეტულია ვიდრე უბრალოდ *ფეხსაცმელი*.

სესხების **ექსტრალინგვისტური მიზეზებიდან** მნიშვნელოვანია:

1. ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სუპერსახელმწიფოს როლი დღევანდელ მსოფლიოში და ამასთან დაკავშირებული ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდა.
2. ანგლიციზმების რაოდენობის შესამჩნევი ზრდა განპირობებულია აგრეთვე ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მასშტაბით მთელს მსოფლიოში. ფაქტია, რომ ადამიანი უფრო ადვილად მიიღებს ახალ ანგლიციზმს, როცა მას ინგლისური ენის თუნდაც მინიმალური ცოდნა გააჩნია.
3. საერთაშორისო ვაჭრობის, ეკონომიკის, კომუნიკაციებისა განვითარება და გააქტიურება.
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, როცა საერთაშორისო ტერმინოლოგიებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მნიშვნელოვანია ინტერნეტის როლი, სადაც ინფორმაციის უდიდესი ნაწილი, მათ შორის სამეცნიერო სიახლეებისა და ტექნიკური მიღწევების შესახებ, ინგლისურადაა.

ახალი ცნებების ნუსხა, რომელთაც ქართული წარმოშობა აქვთ დიდი რაოდენობით არ გამოირჩევა. ძირითადად სიახლეები სხვადასხვა სფეროში საქართველოს ფარგლებს გარედან შემოდის. უფრო იოლად და ეფექტურად ითვლება საგნის, მოვლენის, ცნების იმპორტირებასთან ერთად მისი უკვე არსებული ნომინაციის სესხება. ამგვარად, მაშინ როცა მოწინავე ტექნოლოგიები კონცენტრირებულია დასავლეთში, ხოლო ინგლისური ენა არის საერთაშორისო სტატუსის მქონე, ქართული ლექსიკონი ივსება ძირითადად ანგლო-ამერიკული ნეოლოგიზმების ხარჯზე.

1.2. ენის სიწმინდე და მედიატორი ენების როლი

ქართული ენის „სიწმინდის დამცველები“ ამტკიცებენ, რომ ლექსიკურად ისეთ მდიდარ ენაში, როგორც ქართულია, შეუძლებელია ნებისმიერი უცხოური სიტყვის შესატყვისი რაიმე ფორმა არ მოიძებნოს.

ანგლიციზმებისთვის ქართული ეკვივალენტის მოძებნა არ არის რთული საქმე, თუმცა საკითხავია რამდენად გამოიყენებს მას ხალხი. ქართულში დღესაც გამოიყენება თავის დროზე შემოსული რუსიზმები: *ნაჩნიკი, ვედრო, ატვერკა, რეიკა, ჯლოსკო* და ა.შ. მათი შესატყვისი ქართული სიტყვების დამკვიდრების ყოველგვარი მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

ნებისმიერი ენა, თუ ის არ არის სრულიად იზოლირებული გარე სამყაროსგან, მგრძობიარეა ლექსიკური სესხების მიმართ. ენათმეცნიერი მიშელ მალჰერბი აღნიშნავს: „ენის სიწმინდის ცნება უსაფუძვლოა. როგორც წესი შეუძლებელია მეცნიერულად მიაკუთვნო სიტყვა მოცემულ ენას, თუ სიტყვის პირველი გამოჩენა არ არის ზუსტად დაფიქსირებული“ [174].

ჩვენ ვხედავთ ინგლისური სიტყვების რაოდენობის ზრდას ქართულში, მაგრამ გამორიცხულია, რომ ამ სიტყვებმა შეცვალონ ბალანსი და ენის ბუნება, რაოდენ ინტენსიურად არ უნდა იყოს ანგლიციზმების შემოსვლა. ახალი ნასესხები სიტყვები წარმოადგენენ ენის ლექსიკონის მცირე ნაწილს და უმეტესობა მათგანი ეფემერულია. ისინი საფრთხეს არ წარმოადგენენ, რადგან არ გააჩნიათ

ლინგვისტური „ენერგია“, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინო ენის გულზე.

ანგლიციზმების და საერთოდ ნებისმიერი ლექსიკური სესხება ყოველთვის გარკვეული აუცილებლობითაა გამოწვეული, თუმცა იმავდროულად ყოველთვის გარკვეული წინააღმდეგობაა „ენის სიწმინდის“ დამცველთა მხრიდან ენაში უცხოური სიტყვების დამკვიდრებაზე. მიუხედავად ამისა, არასალიტერატურო ენაში ანგლიციზმები მრავლად ისმის, მაგრამ მათ მიმართ „არასტუმართმოყვარე“ დამოკიდებულების გამო, ისინი წერილობითი სახით ადვილად ვერ მკვიდრდებიან. ამის შედეგია ის, რომ ბევრ ანგლიციზმს, რომელიც გამოიყენება საუბარში, მყარი წერილობითი სახე არ აქვს.

ენის დამცველთა მხრიდან მთავარი აქცენტი კეთდება ქართული ენის საშუალებებით ნეოლოგიზმების ფორმირებაზე და არა ნასესხები სიტყვების ადაპტაციაზე, ამიტომაც ბევრ მათგანს არა აქვს სტანდარტული წერილობითი ფორმა, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი მისაღებია ქართულისთვის. ნასესხები სიტყვების ადაპტაცია თვითდინებაზეა მიშვებული, რაც იწვევს იმას, რომ ნასესხები სიტყვები კერძო ადამიანების შეხედულებების მიხედვით ადაპტირდებიან, რაც თავის მხრივ ორმაგი ფორმების გაჩენის მიზეზი ხდება.

უამრავი სიტყვა, რომელიც დღეს ჩვენ ჭეშმარიტად ქართულად მიგვაჩნია, ოდესღაც ნასესხები იქნა. ასეთებია *ფანჯარა, ოჯახი, შარვალი, კედრო, უთო* და სხვა მრავალი. ეს სიტყვები საქართველოს მეზობელი ქვეყნების ენებშიც გამოიყენება.

რუსული ენიდან ნასესხებ *კედრო*-ს გააჩნია ქართული შესატყვისები *ჩაშა* ან *ხაპია*, მაგრამ მათ დღეს არავინ იყენებს და, უფრო მეტიც, ამ სიტყვების მნიშვნელობა ცოტა ვინმემ თუ იცის. სამაგიეროდ ქართულ ფუძეზე ნაწარმოებმა სიტყვამ *თვითმფრინავი* წარმატებით შეცვალა რუსული ენიდან შემოსული *აეროპლანი*. ენა მოქნილი სუბსტანციაა, და მისი ევოლუცია, რომელიც ასევე მოიცავს უცხოური ტერმინების ასიმილაციას, კანონზომიერია [52].

თუმცა, რა თქმა უნდა. ანგლიციზმების გამოყენება ყოველთვის არ არის გამართლებული. „იმპორტული“ სიტყვები ხშირად ადვილად შეიძლება შეიცვალოს ქართულით. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ენაში ახალი სიტყვების გამოჩენა გარდაუვალი პროცესია. მსოფლიო ვითარდება, მუდმივად ჩნდება რაღაც ახალი, და

ხშირად ძნელია მოიფიქრო, როგორ უნდა გადმოიცეს ესა თუ ის ცნება, მოვლენა, ნივთის სახელი „ქართულად“ და ამის შედეგად ჩნდება *ჰოლდინგები, როუმინგები, სამიტები* და ა. შ.

ბევრი ახალი ცნების აღმნიშვნელი სიტყვა მთარგმნელთა მიერ ინგლისურადვე ტრანსლიტერირდება, რადგან ეს ცნება ქართულში ახალია, ხოლო მისი თარგმნა რომელიმე მსგავსი მნიშვნელობის მრავალმნიშვნელობიანი ქართული სიტყვით მიზანშეწონილი არ არის, რადგან ნათარგმნი სიტყვის მნიშვნელობა მოკლებულია იმ კონკრეტულობას, რაც გააჩნია უცხოურ სიტყვას. როცა ერთი მთარგმნელი ახალი ცნების აღმნიშვნელად ანგლიციზმის ნაცვლად ქართულ სიტყვას იყენებს დიდი შანსია, რომ იგივე ცნების აღსანიშნად სხვა მთარგმნელმა სხვა სიტყვა გამოიყენოს. არც ერთი არც მეორე არ იქნება საყოველთაოდ მიღებული სიტყვა, რაც დაბნეულობას გამოიწვევს. კარგი იქნებოდა შექმნილიყო პროფესიულ მთარგმნელთა ასოციაცია, რომელიც რეკომენდაციებს შეიმუშავებდა ახლადშემოსული ცნებების და შესაბამისი ნეოლოგიზმების ადაპტაციის პროცესში საერთო მისაღები სტანდარტების დამკვიდრებისთვის.

რამდენიმე ქვეყანამ, მათ შორის საფრანგეთმა, სცადა ცენზურის დაწესება ანგლიციზმების შემოსვლაზე მათ სახელმწიფო ენებში. ზოგმა საერთოდ უარი თქვა რაიმე ინგლისური სიტყვის მიღებაზე და ისეთ სიტყვასაც კი თარგმნიან როგორცაა computer. მაგრამ ენა, როგორც ლექსიკოგრაფები ყოველთვის აღნიშნავდნენ, არც საზღვრებს სცნობს და არც კანონებს.

სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს კანონი, რომელიც აკრძალავს უცხოური სიტყვების გამოყენებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში იმ შემთხვევაში თუ ამ უცხოური სიტყვების ექვივალენტები არსებობს ქართულში. ისევე როგორც ეს გააკეთა საფრანგეთმა ფრანგული ენის დასაცავად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თავად სახელმწიფო მოღვაწეები არიან ანგლიციზმების შემომტანი და დამამკვიდრებელი ქართულში. მეორეს მხრივ ასეთი აკრძალვა ადამიანის სიტყვის თავისუფლების შელახვად აღიქმება.

ინტერნაციონალიზმები. მეოცე საუკუნეში ქართული ენა სიტყვებს ძირითადად ევროპული ენებიდან სესხულობდა. იგი შეივსო მრავალი საერთაშორისო სიტყვით, ანუ ინტერნაციონალიზმით (იხ. დანართი ბ). ასეთი სიტყვების უმეტესობა ბერძნულ-ლათინური ძირებისგანაა ნაწარმოები. ისინი

ფართოდაა გავრცელებული თანამედროვე ენებში და გადმოსცემს მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების და სხვა ცნებებს.

ტერმინი ანგლიციზმი არ მოიცავს ინტერნაციონალიზმებს. ზოგჯერ შესაძლოა ინტერნაციონალიზმის წყარო ინგლისური ენა იყოს, მაგრამ კატეგორიულად იმის მტკიცება, რომ ისინი ინგლისური წარმოშობისაა არ შეიძლება (*ბოსი, კომპანია*).

მრავალი სიტყვა, რომელიც ლათინურიდან, ბერძნულიდან და ა.შ. შევიდა მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ინტერნაციონალიზმად იქცა. სავარაუდოა, რომ ნაწილი ანგლიციზმებისა მომავალში საერთაშორისო ლექსიკად იქცევა. უკვე დღეს ბევრი ანგლიციზმი შეიძლება ითქვას, რომ ინტერნაციონალიზმია, თუმცა ვერჯერობით ძნელია ზღვარის გავლება, ანგლიციზმებსა და უკვე ინტერნაციონალიზმებად ქცეულ ანგლიციზმებს შორის. საბოლოო გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით დრო მიიღებს.

უნდა გვახსოვდეს, რომ ენა – ცოცხალი ფენომენია, ის ყოველთვის შეიწოვს იმ დროის ქროლვას, რომელშიც ცოცხლობს. თავის მხრივ სესხების საჭიროება და ნეოლოგიზმის სიცოცხლის უნარიანობა დროით გამოიცლება.

რუსული, როგორც მედიატორი ენა. დღესდღეობით სესხება უმეტესად პირდაპირ ინგლისურიდან წერილობითი, ზეპირი, ან ელექტრონული წყაროებიდან ხდება (ამერიკანიზმების და ბრიტანიზმების ჩათვლით). საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამდე კი სიტყვების სესხების მარშრუტი გაცილებით არაპირდაპირი იყო: სესხება ექსკლუზიურად წერილობით წყაროებზე იყო დამოკიდებული და ხდებოდა იმ ენის გავლით, რომელიც გაბატონებული და პრესტიჟული იყო საზოგადოებაში. ქართული ენისთვის მრავალი ათწლეულის მანძილზე ასეთი ენა რუსული იყო. ასეთმა შუამავლობამ თავისი გარკვეული კვალი დააჩნია ანგლიციზმების მართლწერას, წარმოთქმას, მორფოლოგიასა და მნიშვნელობას, ისე ძლიერ, რომ ინგლისური ნიშანი ხშირად გამჭრალა მათ ფორმაში (*ბევშტექსი, ბლოკნოტი, კექსი, კრიზისი, ხულივანი*).

რუსული ენის გავლით შემოსულ სიტყვებში, შეიმჩნევა რუსულ ფონოლოგიურ სისტემასთან ადაპტაცია.

revolution	революция	<i>რევოლუცია</i>	არა <i>რევოლუშენი</i>
situation	ситуация	<i>სიტუაცია</i>	არა <i>სიტუეიშენი</i>
arrangement	аранжировка	<i>არანჟირება</i>	არა <i>ერეინჯმენტი</i>

shampoo

шампунь

შამპუნი

არა შამპუ

დღესდღეობით სუფიქსი –ცია ქართულში მყარადაა დამკვიდრებული და ზოგჯერ ის პროდუქტიულობაც არის. ისეთ სიტყვებს როგორებიცაა ბარიკადა, კაბინა დაბოლოება ა მიღებული აქვთ რუსულიდან. ასევე რუსული სახეცვლილებებით არის შემოსული სიტყვები: იმპორტიორი, რეპორტიორი და მისთ. (შდრ. ინგლ. importer, reporter).

უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსულის, როგორც შუამავალი ენის გავლენა დღესაც შეიმჩნევა. არის შემთხვევები, როცა ახალი ცნების დამკვიდრებისას ანგლიციზმის ეტიმონის ფორმით შემოტანა არ ხდება და ვერც მსესხებელ ენაში არსებული საშუალებებით ხერხდება მისი გადმოცემა ერთი ან თუნდაც რამდენიმე სიტყვით. ამ დროს მთარგმნელები, უფრო სწორედ პიროვნება, რომელიც პროფესიული მთარგმნელი შესაძლოა არც იყოს და რომელსაც დასჭირდა ენაში ჯერ არ არსებული სიტყვის გამოყენება, როგორც წესი, რუსულ ენას იშველიებს. ანუ მოიძიებს თუ როგორ ადაპტირდა საჭირო სიტყვა რუსულში. ასე მოხდა ახალი ცნების feedback-ის შემთხვევაშიც. ქართულში ამ ცნების გამოსახატავად დღეს იყენებენ სიტყვას უკუკავშირი, რაც აშკარაა, რომ რუსულში დამკვიდრებული обратная связь-ის კალკია, და არა feedback-ის. ასეთი მაგალითები საკმაოდ ბევრია, რაც ააშკარავებს თუ დღესაც რაოდენ შესამჩნევია რუსული ენის როლი ქართულ ენაზე გავლენის მხრივ.

მიუხედავად იმისა, რომ ცარის რუსეთის ბატონობის დროს ქართულ ენაში ბევრი ნეოლოგიზმის შემოსვლა რუსული ენის მეშვეობით ხორციელდებოდა, მეოცე საუკუნის დასაწყისში ბევრი სიტყვა უშუალოდ ევროპული ენებიდან შემოვიდა. ამის ხელის შემწყობი იყო ის იშვიათი კონტაქტები, რაც ქართულ ენაზე მოსაუბრეებს უშუალოდ ევროპულ ენებთან ჰქონდათ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ქართულ ენაში შემოსულ რუსიზმებს დღეს უკვე დევნის ანგლიციზმები. ასე მაგალითად, კრივის ერთ-ერთ მთავარ სავარჯიშო ინვენტარს გრუშა ეწოდებოდა. დღეს ეს სლენგი, თუმცა არა სრულად, პანჩინებლობა ჩაანაცვლა.

გვარების ადაპტაცია. ხშირად პრობლემას წარმოადგენს ინგლისური გვარ-სახელების ქართულად წარმოთქმა. აქ ორი ვარიანტია: გვარი წარმოითქმის ინგლისურ წარმოთქმასთან მიახლოებულად ან მის წერილობით ფორმასთან

მიახლოვებულად. ერთიანი სტანდარტი, რომელია უფრო მართებული არ არსებობს, რასაც მივყავართ ერთი გვარის ან სახელის წარმოთქმის რამდენიმე ვარიანტის გაჩენასთან. მაგალითად ინგლისური გვარი Besinger, შესაძლოა წარმოთქმულ იქნას როგორც *ბესინჯერი* ან *ბესინგერი*. Butler იქნება *ბატლერი* ან *ბუტლერი*.

საყურადღებოა, რომ გვარ-სახელების წარმოთქმისა და მართლწერის პრობლემა საჭირობოროტოა ქართული გვარ-სახელებისთვისაც, როცა მათი ინგლისურად გადმოცემის საჭიროება დგება. ეს შეეხება საერთაშორისო პასპორტსა და სხვა დოკუმენტებში ქართული გვარების მართებულად ჩაწერასაც. მაგალითისათვის, „ღ“ ასოს შემცველ გვარში, ეს ასო შესაძლოა გადმოიცეს როგორც gh, (Ghonghadze) ან g' (G'ong'adze). ასეთი მარავალვარიანტულობა წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს პიროვნების იდენტიფიკაციისას. მაგალითად თუ პიროვნებას საერთაშორისო ხაზით ბანკში გადაურიცხეს ფულადი თანხა და გადარიცხვა განხორციელდა Kurashvili-სათვის, ამან თანხის მიღებისას შესაძლოა სერიოზული პრობლემები შეუქმნას პიროვნებას, რომელსაც პასპორტში Khurashvili ან K'urashvili უწერია, ფაქტიურად კი ყურაშვილია.

ქართული გვარები განსხვავებულად იწერება ყველა იმ ენაში, რომლებიც ლათინურ ანბანს იყენებენ და ესენია ევროპული ენების უმეტესობა. პიროვნებამ ყურადღება უნდა მიაქციოს და ეცადოს, რომ მისი სახელი და გვარი ლათინური ანბანით ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველთვის ერთი სახით იყოს წარმოდგენილი. ასეთი პრობლემური ასოებია ქართულში *წ, ჭ, ჩ, ღ, ყ, ზ*. ინგლისურში კი ესენია ძირითადად ხმოვნები, და ის თანხმოვანი ასოები, რომელთაც სხვადასხვა პოზოციაში წარმოთქმის სხვადასხვა ვარიანტი გააჩნიათ.

1.3. ენობრივი სესხების ფორმები

ენობრივ კონტაქტებს მოსდევს სხვადასხვა სახის ლექსიკური სესხება. აქ შედის **პირდაპირი სესხება**, **სესხება-თარგმნა** და **სემანტიკური სესხება**. პირდაპირი სესხებისას სიტყვის ფორმაც და მნიშვნელობაც ნასესხებია. **სესხება-თარგმნის**, ანუ კალკის შემთხვევაში ქართული ნეოლოგიზმი მოდელირებულია ინგლისური სიტყვისაგან, უმეტესწილად სიტყვათშესამებასაგან, მისი სტრუქტურისა და

მნიშვნელობის მიხედვით. ამ ჯგუფში შედის სხვადასხვა სახის ჰიბრიდებიც, რომელთა ფორმაც მხოლოდ ნაწილობრივია ნასესხები, ხოლო მნიშვნელობა იგივეა რაც დონორ ენაში (ვებ-გვერდი, ესემეს-მდივანი). **სემანტიკური სესხების** შემთხვევაში ნასესხები მნიშვნელობა ემატება ადრე არსებულ ძირძველ სიტყვას, რითაც ფართოვდება მისი რეფერენტული ველი. ზოგჯერ არქაული სიტყვის გაცოცხლებაც კი ხდება.

სემანტიკური სესხების გარდა, ნეოლოგიზმები, ხშირად წარმოიქმნება ქართული ძირისა და აფიქსებისგან, მათ რომელიმე ინგლისურ ლექსიკურ ერთეულთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ. თუმცა გადმოცემენ ახალი ცნებას თუ ტერმინს, რომელიც შემოსულია ანგლო-ამერიკული წყაროდან.

ინტეგრაციის პროცესი ენის სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს. ამგვარად, შესაძლებელია, რომ სიტყვა, როგორცაა მაგალითად „ჰოტლოგი“ (ჰოტლოგი) ცუდად იყოს ინტეგრირებული გრაფემულად, მაგრამ საკმაოდ კარგად ინტეგრირებული სემანტიკურად.

პირდაპირი სესხების წინააღმდეგ მიმართული ოფიციალური და არაოფიციალური ბარიერები იწვევს ენაში არსებული სხვა რესურსების გამოყენებას.

პირდაპირი სესხება

ა) **სრულიად არაადაპტირებული სიტყვები.** *ისთებლიშმენიტი, ფაბი, თეიქით იზი.* ასევე ციტატები.

ბ) **სიტყვები, რომლებსაც ჯერ კიდევ უცხოური ჟღერადობა და/ან ფორმა გააჩნიათ.** ძნელია გაავლო მკვეთრი ზღვარი ა და ბ ჯგუფებს შორის, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს ანგლიციზმებთან, ანუ თითქმის არაადაპტირებულ სიტყვებთან. ისეთი კრიტერიუმები, როგორებიცაა გამოყენების სიხშირე და საჭიროება, ან სამეცნიერო ტერმინის სტატუსი, განაპირობებს ამ ნეოლოგიზმების ბ ჯგუფში გაერთიანებას. ეს ჯგუფი შესაძლოა განისაზღვროს როტორც ა ჯგუფზე ნაკლებ მერყევი და კომუნიკაციის პრაგმატული ფაქტორების გავლენის ქვეშ ნაკლებად მყოფი.

აქ შედის უახლესი ტერმინები სოციალური მეცნიერებებიდან, ხელოვნებიდან და მედიიდან: *ეგ ზიტ პოლი, ბეიბისითერი, ფაბლიქ რილეიშენზი, კონსალტინგი.* ან

კიდევ შემოკლებები ისეთივე სახით შემოსული, როგორც ღონორ ენაშია: *NATO, WWW, SMS*.

გ) სრულად ინტეგრირებული სიტყვები. ამ კატეგორიაში შედის ადრეულ ეტაპზე ნასესხები სიტყვები, რომლებიც ფონეტიკურად, მორფოლოგიურად ადაპტირებული ნეოლოგიზმებია და გააჩნიათ მათგან ნაწარმოები სიტყვებიც. ბევრ მათგანს არც ეტყობა ინგლისური წარმოშობა. *title – ტიტული. დერივატი: ტიტულოვანი.*

ჩანაცვლება

ჩანაცვლების კატეგორიები შესაძლოა წარმოდგენილ იქნას შემდეგი მაგალითებით:

ა) თარგმნა.

წარმატებული: human rights – ადამიანის უფლებები; first lady – პირველი ქალბატონი; Cold War – ცივი ომი; Iron Curtain – რკინის ფარდა; blood bank – სისხლის ბანკი; microwave – მიკროტალღური; handball – ხელბურთი; trademark – სავაჭრო ნიშანი.

თანაარსებული: public relations – ფაბლიქ რილეიშენზი – საზოგადოებასთან ურთიერთობა; fast food – ფასტ ფუდი – სწრაფი კვების ობიექტი; hard rock – ჰარდ როკი – მძიმე როკი (მუს.).

წარუმატებელი: hot dog – ცხელი ძაღვი – პოტდოგი; online – ხაზზე – ონლაინი.

ბ) გადმოცემა

წარმატებული: skyscraper – ცათამბჯენი; bodyguard – პირადი მცველი.

თანაარსებული: space shuttle – სფეის შატლი – კოსმოსური ხომალდი; babysitter – ბებიისიტერი – მოძველები (ძიძა).

წარუმატებელი: billboard – სარეკლამო დაფა – ბილბორდი.

გ) წარმოქმნა

წარმატებული: input – შემავალი; output – გამოშვებული; airbag – საჭაერო ბალიში.

თანაარსებული: second hand – სეკონდჰენდი – მეორადი საქონელი; mass media – მასმედია – მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

დ) სემანტიკური სესხება

წარმატებული: hit parade – ჰიტ ალბომი (მუს.); make money – ფულის კეთება; memory – მეხსიერება (კომპ.).

წარუმატებელი: mouse – თაგვი – მაუსი (კომპ.).

ფსევდო-სესხება

ლექსიკური ფსევდო ანგლიციზმები ინგლისური „მასალის“ გამოყენებით ყალიბდებიან ლინგვისტურ ერთეულად. ამავე დროს შესაბამისი ლექსიკური ერთეული დონორ ენაში არ მოიძევა. ფსევდო ანგლიციზმების წარმოქმნა ხდება სიტყვების კომბინირების, შემოკლების, აფიქსაციის და/ან სხვა საშუალებებით.

ინგლისურში არ არსებობს სიტყვები: სმოკინგი, კემპინგი, ჰეპი ენდი (happy ending), რეკორდსმენი. მაშინ როცა ქართულში ზემოთ ხსენებული სიტყვები ნაცნობია. ფსევდო ანგლიციზმები შესაძლოა რომელიმე „მესამე“ ენაში იყოს წარმოქმნილი და შემდეგ ქართულში შემოსული, მაგრამ ეს მათ სტატუსს არ ცვლის, რადგან მთავარი განმსაზღვრელი აქ არის ის, რომ ასეთი წარმონაქმნები წმინდა ინგლისური სიტყვებს არ წარმოადგენენ.

II. ანგლიციზმების აღაპტაციის თავისებურებები თანამედროვე ქართულ ენაში

ანგლიციზმების დიდი რაოდენობის ინტეგრაცია ენაში-რეციპიენტში, რომლის ლინგვისტური სისტემა ინგლისურისაგან განსხვავდება, მოითხოვს ლინგვისტურ ანალიზს იმის ასახსნელად, როგორ მიმდინარეობს პროცესი. ინგლისური სიტყვა ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლისას პირველ რიგში უნდა ადაპტირდეს, ვიდრე მისი ინტეგრირება მოხდება. ანგლიციზმების არსებულ ლექსიკონებში მოცემულია ა) ანგლიციზმის წყარო (ანუ რომელი ინგლისური ეტიმონისგან მიმდინარეობს ანგლიციზმი); ბ) მისი წარმოთქმა მიმღებ ენაში; გ) მისი მორფოლოგიური კატეგორიები (მეტყველების ნაწილი და ა.შ.); დ) მისი მნიშვნელობა. ყოველივე ამის გამოსაკვლევად ანალიზი ხდება ოთხ დონეზე: ა) ორთოგრაფიული დონე, რათა გამოჩნდეს, როგორ ადაპტირდება ინგლისური ეტიმონის მართლწერა მიმღები ენის ორთოგრაფიასთან; ბ) ფონოლოგიური დონე, რათა აიხსნას ანგლიციზმის წარმოთქმა განსაკუთრებით მაშინ, როცა ის განსხვავდება ინგლისური ეტიმონისგან; გ) მორფოლოგიური დონე, იმის საჩვენებლად, რა მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდის ანგლიციზმი; დ) სემანტიკური დონე, იმის განსასაზღვრად, ინგლისური ეტიმონის რომელი მნიშვნელობა გადმოვიდა შესაბამის ანგლიციზმში.

ინგლისური ეტიმონის ანგლიციზმად ადაპტაციის პროცესში ორთოგრაფიული დონე ერთერთი ასპექტია. აქ ოთხი შესაძლებელი ვარიანტი იძებნება:

1) ანგლიციზმის ორთოგრაფია ყალიბდება ნიმუშის წარმოთქმის საფუძველზე. მაგალითად: **boom** – ბუმი; **barman** – ბარმენი; **rugby** – რაგბი; **image** – იმიჯი.

2) ანგლიციზმის ორთოგრაფია ემთხვევა ეტიმონისას ყოველგვარი ცვლილების გარეშე. მაგალითად: **bard** – ბარდი; **gangster** – განგსტერი; **monitor** – მონიტორი.

3) ანგლიციზმის ორთოგრაფია ნაწილობრივ ემთხვევა წარმოთქმას ნაწილობრივ კი ორთოგრაფიას. მაგალითად: **overtime** – ოვერტაიმი; **speedometer** – სპიდომეტრი; **match point** – მატჩ პოინტი.

4) ანგლიციზმის ორთოგრაფია ყალიბდება შუამავალი ენის ზეგავლენით, რომლისგანაც ინგლისური ეტიმონი მიმღებ ენაში შემოვიდა. მაგალითად: jury – ჟიური; budget – ბიუჯეტი; partner – პარტნიორი.

ახლადშემოსულ ანგლიციზმებს ახასიათებთ ორთოგრაფიის და შესაბამისად წარმოთქმის ვარიაციულობა, მაგალითად, ჩატი – ჩეთი; ტოპ-მოდელი – თოფ-მოდელი. ეს კი ამ ანგლიციზმების ასიმილაციის პირველ საფეხურზე ყოფნას მოწმობს. სრული ასიმილაცია კი მესამე საფეხურია. თუმცა მართლწერის ვარიაციულობა შესაძლოა იყოს დამწერის უწიგნურობის შედეგიც [52].

ანგლიციზმების წარმოთქმა ყალიბდება ფონოლოგიურ დონეზე, ინგლისური ენის და მიმღები ენის ფონოლოგიური სისტემების მსგავსება-განსხვავების საფუძველზე.

1) თუ ორივე ენის წარმოთქმის სისტემას გააჩნია ერთგვარი ელემენტები, მაშინ უმეტეს შემთხვევაში ხდება სრული ჩანაცვლება და ანგლიციზმი წარმოითქმის თავის ეტიმონთან მაქსიმალურად მსგავსი ჟღერადობით, თუმცა მაინც მიმღები ენისებურად. ვინაიდან ცვლილება არ ხდება ამ პროცესს **ნულოვანი ტრანსფონემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: zoom – ზუმი; deadline – დელაინი; leader – ლიდერი.

2) თუ ანგლიციზმის ზოგიერთი ელემენტი თავისი აღწერით ინგლისური მოდელისგან განსხვავდება, ანგლიციზმის წარმოთქმა მხოლოდ ნაწილობრივ უთანაბრდება ეტიმონს. ამ პროცესს **ნაწილობრივი ან კომპრომისული ტრანსფონემიზაცია** ჰქვია. მაგალითად: television - ტელევიზია; company – კომპანია; sport – სპორტი.

3) თუ ინგლისური ეტიმონის წარმოთქმა შედგება ისეთი ელემენტისგან, რომელსაც მიმღები ენის ბგერათა სისტემაში ექვივალენტი არ გააჩნია, მაშინ ჩანაცვლება თავისუფალია. ეს პროცესი **თავისუფალი ტრანსფონემიზაციის** სახელს ატარებს. მაგალითად: weekend – უიკენდი; flirt – ფლირტი; forward – ფორვარდი.

მორფოლოგიურ ადაპტაციასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ იმის ანალიზისას, მეტყველების რომელ ნაწილებს მიეკუთვნება ქართულ ენაში შემოსული ინგლისურენოვანი ნასესხებები, აჩვენა, რომ მათი უმრავლესობა (დაახლოებით 90%) არსებითი სახელებია. ამის მიზეზი არის ის, რომ

პირველყოვლისა არსებითი სახელი ზოგადად ყველაზე გავრცელებული მეტყველების ნაწილია ორივე ენაში. ამასთანავე მიზეზი არის ისიც, რომ ჩვენ საგნების და მოვლენების სახელდება უფრო ხშირად გვჭირდება, ვიდრე მოქმედების ან თვისების. არის ასევე ზმნები და ზედსართავი სახელები (მათი წილი დაახლოებით 3%-ია). სულ რამდენიმე ნიმუშითაა წარმოდგენილი შორისლებული, ისეთები როგორებიცაა, მაგალითად, **yes** - იეს ან **wow** - ვაუ. გამოვყოფთ ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაციის შემდეგ ვარიანტებს:

1) ციტირებულ ანგლიციზმს შესაძლოა ჰქონდეს იგივე ფორმა, როგორც ინგლისურ ეტიმონს. ეს იმას ნიშნავს, რომ ეტიმონზე მიმღები ენის არანაირი სუფიქსის (მორფემის) დამატება არ ხდება. ამ პროცესს **ნულოვანი ტრანსმორფემიზაცია** ჰქვია. მაგალითად: **bluff** –ბლეფი.

2) როცა ანგლიციზმი ინარჩუნებს ინგლისური ეტიმონის სუფიქსს, ამ პროცესს **კომპრომისული ტრანსმორფემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: **speaker** – სპიკერი.

3) ინგლისური ეტიმონის სუფიქსს შესაძლოა ჩაენაცვლოს მიმღები ენის სუფიქსი იგივე ფუნქციით და მნიშვნელობით, როგორც ინგლისური სუფიქსია. ამ პროცესს **სრული ტრანსმორფემიზაცია** ეწოდება. მაგალითად: **sarcastic** – სარკასტული.

არის შემთხვევები, როდესაც ანგლიციზმი ეტიმონის სუფიქსს ინარჩუნებს და ამასთანავე მიმღები ენის სუფიქსს იმატებს. მაგალითად: **vegetarian** – ვეგეტარიანელი; **chips** – ჩიპსები; **extravagant** – ექსტრავაგანტული.

ზმნებისა და ზედსართავი სახელების ადაპტაცია ექვემდებარება მიმღები ენის სიტყვათწარმოების წესებს. მაგალითად:

ზმნები: **boycott** – ბოიკოტირება; **test** – ტესტირება.

ზედსართავი სახელები: **start** –სასტარტო; **sports** – სპორტული

იმ ენებში, რომლებშიც არსებობს გრამატიკული სქესი აღინიშნება ანგლიციზმების მამრობითი სქესის არსებით სახელებად ადაპტირების ტენდენცია.

ინგლისური ენა ემსგავსება ქართულს და განსხვავდება ევროპული ენების უმრავლესობისაგან იმით, რომ მას აქვს ნეიტრალური სქესი. ევროპულ ენებში ანგლიციზმებს გააჩნიათ გრამატიკული სქესი.

ანგლიციზმები ორ დიდ ჯგუფს ქმნის. პირველში შედის ის სიტყვები, რომელთაც გააჩნია მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ინგლისურ ენაში და შესაბამისად ქართულშიც იგივე მნიშვნელობით მკვიდრდებიან. მეორე ჯგუფი შედგება იმ ანგლიციზმებისგან, რომელთა მნიშვნელობა ადაპტირდა იმ ინგლისურ ეტიმონთაგან, რომელთაც გააჩნია ერთზე მეტი მნიშვნელობა. ანგლიციზმის მნიშვნელობები შესაძლოა შემცირდეს ან გაიზარდოს. ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია, როცა ანგლიციზმი ინარჩუნებს ეტიმონის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთერთს, რომელიც ანგლიციზმების ლექსიკონებში აღნიშნულია მნიშვნელობის ნომრით [157]. ამ პროცესს **მნიშვნელობების რიცხოვრივად შეზღუდვა** ჰქვია. მაგალითად: **bookmaker** – ბუკმეიკერი (1); **image** – იმიჯი (7); **country** – ქანთრი (10).

არის აგრეთვე შემთხვევები, როცა ანგლიციზმი აფართოვებს თავის მნიშვნელობათა რიცხვს მიმღებ ენაში მისი ინტეგრირების შემდეგ. ამ პროცესს **მნიშვნელობების რიცხოვრივად გაფართოება** ეწოდება. მაგალითად: **commercial** – კომერციული (მნიშვნელობით „არა სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი“).

თანამედროვე ენებში ძნელია ვიპოვოთ ადამიანის საქმიანობისა თუ ცოდნის სფერო ანგლიციზმებს თავისი წვლილი რომ არ ჰქონდეთ.

ადაპტაციის სირთულე და მიმდინარეობა პირველ რიგში დამოკიდებულია დონორი და მიმღები ენების ლინგვისტური სისტემების მსგავსება-განსხვავებაზე.

მანფრედ გორლახი, თავის წიგნში „English in Europe“ საუბრობს იმაზე, რომ არავისში ეჭვს არ იწვევს ის, რომ ინგლისური სიტყვების ამჟამინდელი შემოდინება უპრეცედენტოა ევროპის ისტორიაში. თუმცა იგი მაინც ვერ შეედრება ფრანგულის მასობრივ ზეგავლენას, განსაკუთრებით მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში. სავარაუდოა, რომ ანგლიციზმების რაოდენობა განაგრძობს ზრდას თანაც არა მარტო იმ ქვეყნებში (ძირითადად აღმოსავლეთ ევროპაში), რომლებიც პოლიტიკური და იდეოლოგიური შეზღუდვების წყალობით ჩამორჩნენ ამ პროცესს. სავარაუდოა, რომ ლექსიკის გარდა კიდევ სხვა ლინგვისტური დონეებიც მოექცევა ზეგავლენის ქვეშ. ეს გავლენა უკვე აშკარად იგრძნობა ფონოლოგიაში, სადაც მარგინალური ფონემები, რომლებიც სასაუბრო ინგლისურიდან ანგლიციზმების დიდი რაოდენობის მეშვეობით შემოვიდა მისაღები გახდა და მორფოლოგიაში, სადაც ინგლისური ნიშნების სიტყვათშეხამებები უცხოურობას კარგავენ. კიდევ უფრო ძლიერმოქმედი ცვლილებები მიმდინარეობს დამატებითი წერილობითი

სისტემის იმპორტირებაში იმის პარალელურად, რომ ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვები ხელს უწყობს ლათინური ანბანის ხელმისაწვდომობას იმ საზოგადოებებში, სადაც განსხვავებული ანბანი გამოიყენება [120].

ის ფაქტი, რომ ამდენი ანგლიციზმი ინტეგრირდება ქართული ენის ლექსიკაში, წარმოშობს ვარაუდს, რომ თავისი შემადგენლობით ცვლილებას განიცდის არა მარტო ქართული ენის ლექსიკა. ამიტომ საჭიროა იმის კვლევა, აქვთ თუ არა იმპორტირებულ ელემენტებს გარკვეული ზეგავლენა მთლიანობაში ქართული ენის ლინგვისტურ სისტემაზე.

დასავლეთ ევროპის ენებისგან განსხვავებით ინგლისურის გავლენა ქართული ენის ფონოლოგიასა და მორფოლოგიაზე შესაძლოა არც ისე შესამჩნევი იყოს, თუმცა აქაც გვაქვს გარკვეული შემთხვევები. ის კი აშკარაა, რომ ბევრი ინგლისური სიტყვა ლათინური დამწერლობით შემოდის ქართულში. განსაკუთრებით ეს ეხება კომპიუტერულ ჟარგონს. დღეს ქართული ინტერნეტ-ფორუმები სავსეა ამის მაგალითებით. ამგვარად, ხშირად შევხვდებით: *summary შეადგინა; მოვაწყო Think Tank-ის მაგვარი შეხვედრა; სხვადასხვანაირი sea food; PR; HR* და ა.შ.

ხშირად ამის მიზეზი არის ის, რომ რაღაც ცნება უკვე შემოსულია ენაში და გამოიყენება ამ ენაზე მოსაუბრეთა მიერ, მისი ორთოგრაფიული ადაპტაცია კი გვიანდება. შედეგად მიიღება ანგლიციზმი, რომელიც გრაფიკულად ისე გამოისახება, როგორც ეტიმონი. სავარაუდოა, რომ ასეთი ლათინური დამწერლობის ანგლიციზმები ვერ დამკვიდრდება ენაში და სულ ცოტა ხანს იარსებებს, ჟარგონი ხომ ლექსიკის ყველაზე არამდგრადი შრეა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ასეთ ანგლიციზმებს იყენებენ ინტერნეტ ფორუმებსა და ჩატებში. ამ ანგლიციზმების საშუალებით კომუნიკანტები ერთმანეთს უფრო გასაგებად და ზუსტად გადასცემენ შეტყობინებას.

ლათინურ შრიფტზე ტრანსლიტერირდება სატელეფონო მესიჯები. ინგლისურადვე იწერება აგრეთვე კომპიუტერული პროგრამების სახელწოდებები. მაგალითად, *Anonym mailer-ი*, (მცირე მოცულობის საფოსტო პროგრამა); *UDP* და *TCP პროტოკოლები* [5].

თუმცა კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების გავლენა ენაზე ცალკე განხილვის საგანია, რომელსაც კვლავ დავუბრუნდებით.

2.1. ანგლიციზმების წარმოთქმა და ორთოგრაფია

ენა-რეციპიენტის მიერ დონორი ენისაგან სიტყვების ლექსიკურ სესხებას შედეგად მოსდევს ამ სიტყვების ენა-რეციპიენტის სტრუქტურებთან ფონოლოგიური, მორფოლოგიური და გრაფიკული ადაპტირება.

მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე ინგლისური ენიდან ქართულში სიტყვების სესხება ინტენსიურ ხასიათს არ ატარებდა და ძირითადად წერილობითი წყაროებიდან ხდებოდა. სასაუბრო ინგლისურს კი ნაკლებად იცნობდნენ. ამ პროცესში ადრეულ ეტაპზე რუსულის, როგორც შუამავალი ენის, გავლენა კარგად ჩანს ქართულ ენაში შემოსული ანგლიციზმების წარმოთქმასა თუ ორთოგრაფიაში.

ანგლიციზმების წარმოთქმა ქართულში კომპლექსური პრობლემაა, რომელმაც შესაძლოა სულ მცირე ორი კატეგორიის ლინგვისტების ყურადღება მიიპყროს: მათი, ვინც ნორმატიულ ნაშრომებს წერს და მათი, ვისაც ენობრივ კონტაქტთა ფაქტების აღწერა აინტერესებს ანგლიციზმების გამოყენებაზე გავლენის მოხდენის მცდელობის გარეშე.

დღესდღეობით, როდესაც ქართველი მოსახლეობის მიერ ინგლისური ენის ცოდნა რაოდენობრივად და ხარისხობრივად გაიზარდა, რაც თავის მხრივ, მსოფლიო მასშტაბით ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდითაა განპირობებული, ანგლიციზმების ექსპანსია ქართულ ენაში აქტიურ ფაზაში შევიდა. ამ პროცესმა მოიცილა არა მარტო ბიზნესი, პოლიტიკა თუ ინფორმაციული ტექნოლოგიების სფერო, არამედ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. ასეთ პირობებში ფეხს იკიდებს ტენდენცია, რომლის დროსაც სიტყვების სესხება ხდება არა წერილობითი წყაროს – ეტიმონის ორთოგრაფიის მიხედვით, არამედ ეტიმონის ორიგინალი ფონეტიკური ფორმით.

თავის წიგნში „English Words Abroad“ მ. გორლახი აღნიშნავს, რომ დღეს, როცა მულტიმედიაური და საკომუნიკაციო საშუალებები განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა, მაშინ, როცა საშუალო ადამიანებისთვის ხელმისაწვდომია არა მარტო წიგნები, არამედ საშუალებაც აქვთ უყურონ ნებისმიერი, თუნდაც ათიათასობით კოლომეტრით მოშორებული ქვეყნის სატელევიზიო გადაცემას, სესხება სულ უფრო მეტად ხდება წარმოთქმის მიხედვით.

ანგლიციზმების ინგლისური ეტიმონის ფონეტიკური ვარიანტის მიხედვით ადაპტაციის ტენდენციამ 90-იან წლებში იმძლავრა, თუმცა ინგლისურ და ქართულ ბგერათა სისტემებს შორის სხვაობა და ინგლისურ ენაში ორთოგრაფია—წარმოთქმის შესატყვისობის არაწესიერი ხასიათი განაპირობებს წარმოთქმის ადაპტაციის სირთულეს და ფონეტიკური ცვლილებების აუცილებლობას [158].

ჩვენი დაკვირვებით მაშინ, როცა ქართულ ენაში არის სიტყვა თოფი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინგლისური სიტყვა top, რომელიც წარმოითქმის როგორც „თოფ“, ქართულში შემოსვლისას ადაპტირდეს როგორც „თოფი“. ის ადაპტირდა როგორც „ტოპი“, რადგანაც „თოფი“ სუფთა ქართული სიტყვაა, რომელიც უხსოვარი დროიდან არსებობს ქართულში და კიდევ ერთი „თოფის“ შემოსვლა, პოლისემიას გამოიწვევდა. ის არგუმენტი, რომ ინგლისური სიტყვის top ზუსტი წარმოთქმა არის უფრო „თოფ“ და არა „ტოპ“, დიდ როლს ადარ თამაშობს, რადგანაც იგი ბათილდება ენაში მსგავსი წარმოთქმის სიტყვის უკვე არსებობით და სესხება ხდება ორთოგრაფიის მიხედვით და ამით თავიდან ვიცილებთ არასასურველ პოლისემიას.

ქართული ფონოლოგიის წესების მიხედვით ადაპტაციის პროცესში ინგლისური სიტყვები განიცდის სხვადასხვა ტიპის ცვლილებას. ეს პროცესები სრულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. თითოეული ნასესხები სიტყვის ქართულ წარმოთქმასთან ასიმილაცია (ნაწილობრივ ორთოგრაფიაზე დაყრდნობით) დამოკიდებულია რიგ ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ ფაქტორზე, კერძოდ:

1. ანგლიციზმის მომხმარებელთა ასაკი, განათლების დონე, ინგლისურის ცოდნა, და ინგლისურისადმი დამოკიდებულება.

მაგალითად, ანგლიციზმი „უსაიდი“ გამოიყენება იმ დახმარებების აღსანიშნავად, რომელსაც ფონდი USAID უწევს მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ფენებს. თუმცა ინგლისურის მცოდნე ქართველი ამ სიტყვას წარმოთქვამს, როგორც „იუესეიდი“ ისე, როგორც ის წარმოითქმის ინგლისურად.

2. ნასესხები სიტყვის ასაკი, მისი გამოყენების სიხშირე, ინტეგრაციის ხარისხი სხვადასხვა ლინგვისტურ დონეზე (ორთოგრაფია, მორფოლოგია), და სტილი, რომელშიც ის გამოიყენება [158].

ანგლიციზმის ენაში შემოსვლის თარიღი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე ინგლისური ნასესხები სიტყვების ადაპტაცია იშვიათად ხდებოდა წარმოთქმის მიხედვით, მაგალითად: club – კლუბი, alligator – ალიგატორი.

3. ენაში შემოსვლის მარშრუტი (ზეპირი, წერითი, სხვა ენის ან ენების გავლით).

აღრეულ ეტაპზე ანგლიციზმების, ისე როგორც სხვა უცხოენოვანი სიტყვების, შემოსვლა ქართულში არაპირდაპირი გზით ხდებოდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რუსული ენის გავლენა, რომელიც მე-18 საუკუნიდან სულ უფრო ძლიერდებოდა. თავად რუსულში კი ახალი სიტყვები ინგლისურენოვან წერილობით წყაროებზე დაყრდნობით შემოდიოდა [38].

ენაში ახლადშემოსული ანგლიციზმი გარკვეული ხანის გასვლის შემდეგ, გამოყენების სიხშირის ზრდასთან ერთად სანამ წერით ენაში დამკვიდრდება, როგორც წესი განიცდის მნიშვნელოვან ფონოლოგიურ და მორფოლოგიურ ადაპტაციას. ბოლოს, როდესაც ენა მიიღებს ამ ნასესხებ სიტყვას, ეს უკანასკნელი ემორჩილება ენა-რეციპიენტში მოქმედ ორთოგრაფიულ წესებს [158].

თუმცა ისიცაა შესაძლებელი, რომ ანგლიციზმი არც კი დამკვიდრდეს ენაში, არამედ იარსებოს მხოლოდ გარკვეული ხანი, შემდეგ კი მას ჩაენაცვლოს სხვა სიტყვა, თუნდაც რომელიმე ახალი ანგლიციზმი, ან რაღაც მიზეზების გამო ანგლიციზმის ენაში შემოსვლის საჭიროებამ აღარ იარსებოს.

სხვადასხვა ენის მიერ სიტყვების ლექსიკური სესხება ჩვეულებრივი მოვლენაა და მის განვითარებაში ერთერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. არ არსებობს ენა, რომლის ლექსიკის მნიშვნელოვან ნაწილს ნასესხები სიტყვები არ შეადგენდეს [164].

სესხების შედეგად ენაში შემოსული სიტყვები მრავალგვარ ცვლილებას განიცდის. ისინი ადაპტირდებიან ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სემანტიკური თვალსაზრისით. ყველა ჩამოთვლილი სახის ადაპტაციას, ოდნავ მაინც, წინ უსწრებს ფონოლოგიური, რადგან პირველი, რაც მსესხებელ ენაში ჩნდება არის ნესესხები სიტყვის ეტიმონის ფონოლოგიური ექვივალენტი. ნასესხები ლექსემა იმთავითვე იწყებს ენაში მოქმედი ფონოლოგიური წესების მიხედვით ადაპტაციას. საერთოდ კი ყოველი ენის ფონოლოგიური სისტემა ერთ-ერთი

ყველაზე მყარი, კონსერვატიული ლინგვისტური შრეა, რომელშიც ცვლილებები ძალიან ძნელად მიმდინარეობს, და თითქმის არც იცვლება, განსხვავებით ლექსიკისგან, რომელშიც ტექნიკურ თუ სხვა სახის პროგრესთან ერთად ყოველწლიურად სულ ახალ-ახალი სიტყვები ჩნდება.

ინგლისური ნასესხები სიტყვების წარმოთქმა პრობლემური საკითხია, ვინაიდან მათ შესამჩნევი ვარიაციულობა და მერყეობა ახასიათებთ. ნასესხები სიტყვის ზუსტი რეპროდუქცია იშვიათად ხდება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ანგლიციზმის სესხების წყარო აკუსტიკურია, ვერ დავიფინებთ იმას, რომ სესხება მხოლოდ ჟღერადობის მიხედვით ხდება. მართალია, აკუსტიკურ წყაროზე დაყრდნობით სესხების პრიორიტეტულობასთან ერთად ფონოლოგიურ მხარეს დღეს უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რომ ინგლისური ეტიმონის ორთოგრაფია სრულიად უგულებელყოფილია. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ $\beta\sigma\upsilon\epsilon\sigma\tau$ / $\beta\iota\zeta\nu\iota\sigma$ / ბიზნესი. ამ სიტყვის პირველი ხმოვანი ეტიმონისას მაქსიმალურადაა მიახლოებული ჟღერადობით, ხოლო ბოლო ხმოვანი ქართულში შემოდის ორთოგრაფიის წესის მიხედვით.

ქართული ენაში შემოსული ანგლიციზმების ანალიზმა დაადასტურა, რომ მათ აბსოლუტურ უმრავლესობაში როგორც წარმოთქმის, ისე ორთოგრაფიის წესებია გათვალისწინებული. ანუ ერთი სიტყვის გარკვეული ნაწილი შეიძლება იყოს წორმოთქმის ხატი, ხოლო მეორე – ორთოგრაფიის.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გაძლიერდა მსესხებელ ენაში სიტყვების წარმოთქმის მიხედვით შემოსვლის ტენდენცია და არა მათი ინგლისურ გრაფიულ გამოსახულებასთან მსგავსებით. მაგალითად: image - იმიჯი (არა იმაგი); drummer – დრამერი (არა დრუმერი); laptop - ლეპტოპი (არა ლაპტოპი).

ხშირ შემთხვევაში წარმოთქმა და ორთოგრაფია ინგლისურში შესატყვისია. მაგალითად: bit / $\beta\iota\tau$ / ბიტი; boss / $\beta\sigma\sigma$ / ბოსი; limit / $\lambda\iota\mu\iota\tau$ / ლიმიტი.

ასევე მრავლადაა ისეთი შემთხვევები, როცა ნასესხები სიტყვა წერილობით წყაროზე დაყრდნობით ინტეგრირდება. მაგალითად: campus / $\kappa\{\mu\pi\equiv$ / კამპუსი; mass media / $\mu\{\sigma\mu\delta\equiv$ / მასმედია.

ფონოლოგიური კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია **ფონემა** – ბგერის უმცირესი ერთეული, რომელსაც აქვს უნარი მოახდინოს მნიშვნელობის ცვლილება. ენებში ფონემების რაოდენობის გამოსავლენად სტრუქტურული

ფონოლოგია **მინიმალური წყვილის** ტესტს იყენებს. მინიმალურ წყვილში შემაჯავალი სიტყვები შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- ა) გააჩნდეთ იგივე რაოდენობის სეგმენტი;
- ბ) ყველა სეგმენტი გარდა ერთისა უნდა იყოს იდენტური;
- გ) განმასხვავებელი სეგმენტი იგივე ადგილას უნდა იყოს ყოველ სიტყვაში;
- დ) ორი სიტყვა უნდა განსხვავდებოდეს თავისი მნიშვნელობით.

მინიმალური წყვილების ტესტის შედეგად ენაში არსებული ფონემების სრული რაოდენობა ვლინდება. ფონემათა რაოდენობას, რომელიც ენას გააჩნია **ფონემური ინვენტარი** ეწოდება.

ქართულ ბგერათა სისტემა შედგება 33 ფონემისაგან, მათ შორის 5 ხმოვნისა და 28 თანხმოვნისაგან. ინგლისურში კი 24 თანხმოვანი და 20 ხმოვანი ფონემა და დიფტონგია.

ქართულისა და ინგლისური ენების ფონეტიკური ინვენტარის შედარებისას ვლინდება ფონემები, რომლებიც ამა თუ იმ ენისთვის უცხოა. ინგლისური /T/ და /Δ/ ფონემები ქართულში არ გხვდება. ასევე უჩვეულოა ქართულისათვის ინგლისური /p/ და ველარული /N/ ფონემები. რაც შეეხება ხმოვნებსა და დიფტონგებს, აქ განსაკუთრებული მრავალფეროვნება შეინიშნება, რადგან ინგლისური ენის ფონემური ინვენტარი 12 ხმოვანსა და 8 დიფტონგს მოიცავს. ქართულში კი მხოლოდ 5 ხმოვანია.

ქართულშიც გვაქვს ინგლისურისათვის სრულიად უცხო თანხმოვანი ფონემები: ლ, ხ, ყ, ჭ, წ, ძ, ც, რომლებიც, რა თქმა უნდა, ანგლიციზმების ფონოლოგიურ და გრაფიკულ ადაპტაციაში არ მონაწილეობენ.

ერთი ფონემის მახასიათებლები შესაძლოა სიტყვებში სხვადასხვა პოზიციაზე შეიცვალოს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს **პოზიციურ ვარიანტთან** ანუ **ალოფონთან**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონემა აბსტრაქტული ცნებაა და მისი ფიზიკური გამომხატველი სხვადასხვა ბგერა ანუ ფონია, რომლებსაც ფონოლოგიაში ალოფონები ეწოდებათ. ალოფონების რაობის გასაგებად საჭიროა დავამატოთ, რომ ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- ა) მინიმალურ წყვილში უნდა ახდენდნენ მნიშვნელობის ცვლილებას სხვა ფონთან კონტრასტის მეშვეობით.
- ბ) ერთმანეთისადმი დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში უნდა იყვნენ.

გ) აგრეთვე უნდა იყვნენ ფონეტიკურად ერთმანეთის მსგავსნი.

როგორც ცნობილია ინგლისურ ენაში სხვა ანბანის მქონე ენათა უმრავლესობასთან შედარებით ორთოგრაფია ფონემური არ არის, ანუ სიტყვის წარმოთქმასა და მის გრაფიკულ გამოსახულებას შორის დიდია სხვაობა. ინგლისურ ორთოგრაფიაში იმდენი გამონაკლისია, რაც ალბათ არცერთ სხვა ენაში. ჯერ ერთი, რომ ერთი ფონემა გრაფიკულად შესაძლოა სხვადასხვა ნიშნით ან ნიშანთა კომბინაციით გამოისახოს. მაგალითად, ფონემა /i:/ შეიძლება გრაფიკულად გამოისახოს ee-ს, ან ea-ს მეშვეობით, როგორც ეს არის სიტყვებში see და each. ფონემა /f/ შეიძლება მოგვცეს φ ან πη გრაფემებმა. მაგრამ საქმეს ართულებს ისიც, რომ კითხვის არსებულ წესებს ბევრი გამონაკლისი გააჩნია. ამიტომ ფაქტიურად სიტყვის ცოდნა, მნიშვნელობასთან ერთად, ნიშნავს ცალ-ცალკე მისი მართლწერის და წარმოთქმის ცოდნასაც. სწორედ ამიტომ არის, რომ ყოველ სიტყვას ინგლისურ ლექსიკონში თავისი ტრანსკრიფცია ახლავს. ეს ფაქტი განსაკუთრებით სირთულეებს უქმნის *ინგლისურის – როგორც უცხო ენის* შემსწავლელებს.

ორი ენის ფონემური ინვენტარი

იმისათვის რომ გავერკვეთ ინგლისური ნასესხები სიტყვების ადაპტირების მექანიზმში, საჭიროა შესწავლა დავიწყოთ ორი ენის ბგერათა სისტემებს შორის სრულყოფილი განსხვავებებით, რათა აღვწეროთ ტრანსფონემიზაციის პროცესი.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ორი ენის თანხმობანთა სისტემებს შორის გასხვავებებს ასახავს. ფონემები, რომელთა ფონეტიკურად მსგავსი ექვივალენტი არ გვხვება რომელიმე ენაში მოცემულია მუქი შრიფტით.

ინგლისური და ქართული სხვადასხვა ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ინგლისური გერმანიკულ ენათა ჯგუფშია და დასავლურ-გერმანიკული ენების ქვეჯგუფში შედის. ქართული კი კავკასიური ენაა და ქართველურ ენათა ჯგუფშია. ამ ორი ენის ფონოლოგიური სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება.

ინგლისურ ენაში არის ისეთი ფონემები, რომლებიც ქართულისთვის სრულიად უცხოა, ასეთებია /T/, /Δ/, /N/, /p/. ხოლო ქართულში არის ინგლისურისთვის უჩვეულო ძ, ც, წ, ჳ, ღ, ხ, ყ ბგერები. განსხვავება არის იმაშიც, რომ პ, ტ, კ ფონემები ქართულში მკვეთრად წარმოითქმის. თუმცა

ქართულში ამავე დროს ამ ფონემების ფშვინვიერი ვარიანტებიც გვაქვს ფ, თ, ქ ბგერების სახით, რომლებიც ფონეტიკურად გვანან ინგლისურ ხშულებს p, t, k. თუმცა ეს ფონემები ფშვინვიერად არ ითვლება. საქმე ის არის, რომ ინგლისურ ხშულთა სისტემაში ჰომორგანული ხშულები წყვილეულებს ქმნიან: p-b, t-d, k-g. ასეთ წყვილებში ოპოზიციას ქმნიან მჟღერი და ყრუ ხშულები.

ცხრილი 1. ქართული და ინგლისური ენების თანხმობები

	ბავისმეფი	დენტალური	ალვეოლარული	პალატო-ალვეოლარული	პალატალური	ველარული	გლოტალური
ქართული							
ხშული	ბ, ფ, პ		დ, თ, ტ			გ, ქ, კ	
ნაპრალოვანი	კ, (↑)		ზ, ს	ჟ, შ		ღ, ხ	ჰ, ყ
ნაზალი	მ		ნ				
ვიბრანტი			რ				
ლატერალი			ლ				
აპროქსიმანტი					(ა-ი)	(უ)	
აფრიკატი			ძ, ც, წ	ჭ, ჩ, ჭ			
ინგლისური							
ხშული	π β		τ δ			κ γ	ʔ
ნაპრალოვანი	φ θ	T Δ	σ ζ	Σ Z			η
ნაზალი	μ		ν			N	
ლატერალი			λ			ʃ	
აპროქსიმანტი	ω		□		φ	ω	
აფრიკატი			τΣ δZ				

ქართულში კი წყვილეულის მაგივრად გვაქვს სამეული ბ-პ-ფ, დ-ტ-თ, გ-კ-ქ, რადგანაც ყრუ ხშულების სერია იყოფა ფშვინვიერებისა და არაფშვინვიერების სერიად. არაფშვინვიერების სერია ქართულსა და სხვა კავკასიურ ენებში რეალიზდება პ, ტ, კ მკვეთრების ანუ აბრუპტივების სახით [21].

რაც შეეხება სხვა ფონემებს, მათი მეტნაკლებად მსგავსი ექვივალენტები ორივე ენაში მოიძიება. თუმცა რა თქმა უნდა, ეს ფონემები არ არის აბსოლუტურად იდენტური წარმოთქმის ადგილისა და მანერის მიხედვით.

ალოფონური ექვივალენტები ქართულში

როცა ქართულ ენაში ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვების ფონეტიკურ ადაპტაციაზე ვსაუბრობთ აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ ინგლისურ ფონემას ქართულში შესაძლოა გააჩნდეს ექვივალენტი ალოფონის სახით. მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად ასეთი ფონემების წერილობით გამოსახვისთვის ქართულ ანბანში განსხვავებული გრაფემა არ გამოიყენება, ეს ხელს არ უშლის იმას, რომ ამ ანგლიციზმებში ასეთი ფონემების წარმოთქმა ინგლისურს მიუახლოვდეს.

1. ფონემა /f/ ქართულში ვ ფონემის პოზიციური ალოფონია. ის გვეხმის ასო ვ-ს წარმოთქმისას ყრუ თანხმოვნების წინ. მაგალითად, ვფიქრობ /ფიქროფ/; ხატავს /ხატაფს/, ან სიტყვის ბოლოში, ვცურავ /ფცურაფ/.
2. /w/ ნახევარხმოვანი, ვ ფონემის თავისუფალი ვარიანტია. თითქმის ნებისმიერ პოზიციაში ბაგისმიერი /w/ ცვლის კბილბაგისმიერ ვ-ს. მაგალითად, სიტყვა ვარდი შესაძლოა წარმოთქმულ იქნეს როგორც ვარდი ან /wარდი/, რაც მის მნიშვნელობას არ შეცვლის და ამასთანავე არცერთი ვარიანტი უცხო არ იქნება ქართული „ყურისათვის“. თუმცა ინგლისური w-ს წარმოთქმისას ტუჩები ოდნავ უფრო მომგვრალეულია.
3. ე. ინგლისური ენაში ხშირია ბგერათა კომბინაცია /jʌ/, /jɑ/, /jɛ/, რომლის შემადგენლობაში შედის ინგლისური ფონემა /j/, რომლის შესატყვისი ფონემაც და ასოც ძველ ქართულში არსებობდა ე-ს სახით, მას დოტა ეწოდება. მაგალითად, ავიღოთ ფრაზა „ნაბიჯით დარ“; ან სიტყვა „კა“. თანამედროვე ქართულში კი ეს ბგერა არსებობს ალოფონის სახით. ის ი ფონემის პოზიციური ვარიანტია ხმოვნების წინა ან შემდგომ პოზიციაზე. ალბათ ამიტომაც არის, რომ /jʌ/, /jɑ/, /jɛ/ ბგერათა კომბინაციის შემცველი სიტყვები ძნელი წარმოსათქმელი არ არის ქართველისთვის. მათი ჟღერადობის ადაპტაცია განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს, ამიტომაც ინგლისური ეტიმონის მსგავსი წარმოთქმით ადაპტირდებიან ხოლმე. მაგალითად ანგლიციზმი yes წარმოითქმის როგორც ეეს, თუმცა ეს სიტყვაც და სხვა ე ანუ /j/ ბგერის შემცველი სიტყვებიც, ე-ს ნაცვლად თანამედროვე ქართულში გრაფემული გამოსახვისთვის იყენებენ ი-ს, რადგან თანამედროვე

ქართული ანბანიდან **ფ** ასო ამოღებულია. აი კიდევ რამდენიმე მაგალითი: yogurt – იოგურტი; costume – კოსტაუმი; conveyor – კონვეიერი. ნახევარხმოვანი ფონემა **ფ** ქართულში დღესაც არსებობს ალოფონის სახით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ინგლისურ /j/-ს ახასიათებს ენის უფრო მაღალი აწეულობა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფონემები ინგლისურში აქტიურად ფუნქციონირებს და ყოველ მათგანს შესაბამისი ანბანური ნიშანიც გააჩნია: f, w, y. და როცა ქართული ენა სესხულობს ისეთ სიტყვებს, რომლებშიც f, w, y ფონემებია, ამ ფონემების ჟღერადობა თითქმის უცვლელი რჩება ანგლიციზმში. მათ გრაფიკულად გამოსახატავად ვიყენებთ ასოებს: ფ, ვ, ი. მაგალითად, ფორვარდი (forward); იოგურტი (yogurt).

ინგლისური თანხმოვანი ფონემების ადაპტაცია

იქ, სადაც ქართულ და ინგლისურ ენას აქვს შესაბამისი ფონემები, უმეტეს შემთხვევაში ადგილი აქვს ფონემურ სუბსტიტუციას. ხოლო თუ მსგავსი ფონემა ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისებურად რეალიზდება. ასეთ ფონემებს, აქვთ ჩანაცვლების რამდენიმე ვარიანტი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში შევამებულება თანხმოვანი ფონემების ჩანაცვლება ანგლიციზმებში.

ცხრილი 2. თანხმოვანი ბგერების ჩანაცვლება

ინგლისური	ქართული	ნიმუში
/π/	პ, ფ	ფლეიბოი (playboy), პოსტერი (poster)
/β/	ბ	დუბლი (double)
/τ/	ტ, თ	სტეპლერი (stapler), ქანთრი (country)
/δ/	დ	საუნდტრეკი (soundtrack)
/κ/	კ, ქ	ლინკი (ლინკ), კექსი (cake)
/γ/	გ	გრანტი (grant)
/τΣ/	ჩ	ჩატი (chat)
/δZ/	ჯ	კარტრიჯი (cartridge)

/f/	ფ, /ფ/	ფანი (fan)
/w/	ვ	დივიდი (DVD)
/T/	ტ, თ, ს	ლეტალური (lethal), თრილერი (thriller), ბლუტუთსი (bluetooth)
/Δ/	ტ, დ, ზ	რიტმი (rythm), ზე ბესტ ოფ (the best of)
/σ/	ს	ტესტი (test)
/z/	ზ	ზუმი (zoom)
/Σ/	შ	შოუ (shou)
/Z/	ჟ	უელდვიჟენი (World Vision)
/η/	ჰ, (ხ)	ჰაკერი, ჰაკერი (რუსულის გავლენით)
/μ/	მ	ჰამბურგერი
/v/	ნ	ჰენდაუტი
/N/	ნგ	კასტინგი
/λ/	ლ	ლექტობი
/p/	რ	ქილენდი
/φ/	ი, /ფ/	იახტა (yacht), კონტაჟი (constume)
/w/	ვ, /w/	ვისკი (whiskey)

სხვა ფონომებთან შედარებით ყრუ ხშულების p, t, k ჩანაცვლების შემთხვევაში ოდნავ არასტაბილური მდგომარეობაა.

დავიწყით ფონემით /k/, რომელიც ინგლისური ენაში k, c, ck, q, ck ასოების და ასოთშეთანხმებების მეშვეობით გამოისახება. იგი ყრუ ჟღერადობის ბგერაა და ქართულ ასპირატ ქ ბგერას შეიძლება შევადაროთ. ანგლიციზმებში ინგლისური /k/ ხან ასპირირებული ყრუ ქ-ს ხან კი მკვეთრი მჟღერი კ-ს სახითაა წარმოდგენილი. სავარაუდოა, რომ ისეთი ანგლიციზმები რომელთათვისაც წყარო ზეპირი მეტყველება გახდა, (ასეთების აბსოლუტური უმრავლესობა კი მხოლოდ ბოლო ხანებში – XXI საუკუნის დამდეგს შემოვიდა), ინგლისური /k/-ს შესატყვისად აქვთ ქ. წერილობით წყაროს მქონე ანგლიციზმების დიდ ნაწილში /k/ ფონემის ჩანაცვლება ხდება ქართული კ-თი. ასეთი სიტყვები უმთავრესად ადრეულ ეტაპზეა შემოსული, თანაც რუსული ენის გავლით: აკრი (acre), ჩეკი (cheque), კლოუნი (clown) და ა.შ.

ზოგჯერ გვხვდება ისეთი ანგლიციზმები, რომლებიც ორ ვარიანტს შორის მერყეობს. განსაკუთრებით ეს არასრულად ინტეგრირებულ ანგლიციზმებში იჩენს თავს. მაგალითად case – კეისი, ქეისი.

/k/ ფონემის მსგავსად პრობლემატურია /t/ ფონემის ადაპტაციაც, რომელსაც ქართულში ორი ექვივალენტი, მკვეთრი მჟღერი ტ (შორტები) და ყრუ ასპირატი თ (ტინეიჯერი) აქვს. თუმცა, თუ /k/-ს შესატყვისად ყრუ ბგერა ქ სჭარბობს, /t/-ს შემთხვევაში სიტყვების უმრავლესობაში ეს ფონემა გადმოდის როგორც მჟღერი ბგერა ტ. მაგალითად, fitness – ფიტნესი, foxtrot – ფოქსტროტი, grant – გრანტი და სხვა.

იგივე მდგომარეობაა /p/ ფონემის შემთხვევაშიც, მას შეიძლება ჩაენაცვლოს პ ან ფ ფონემები. გრაფიკულად ამ ფონემას გვაძლევს p ასო. ქართულად კი ის მაინც პ-სთან ასოცირდება და უმეტეს შემთხვევაში ამ ფონემით გადმოიცემა. მაგალითად: პირსინგი, პუდინგი, რეპი, ლეპტოპი. თუმცა ბოლო დროინდელ ნასესხებ სიტყვებში გვხვდება ფონემა ფ-ც: ფართი. მაგრამ ფ ქართველისთვის უფრო ინგლისურ f ფონემასთან ასოცირდება, ამიტომ /π/ ფონემის ქართული ფ ფონემით ჩანაცვლება იშვიათია.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფონემები p, t, k გარკვეული ფონემების შემდეგ პოზიციაში ყოველთვის მკვეთრი შესატყვისებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, ს სონორის შემდეგ: სკინჰედი, სკვერი, სპინინგი, სპონსორი, სტეპლერი, სტიკერი, სტილი.

ინგლისური /T/ და /Δ/ ფონემები გამოირჩევა ადაპტაციის ვარიაციულობით. /T/ ფონემა შესაძლოა გადმოვიდეს როგორც ტ (thriller – ტრილერი), განსაკუთრებით ეს ხდება ადრეულ ანგლიციზმებში. შესაძლოა ამაში იყოს რუსული ენის გავლენაც (Thatcher>Тэтчер>ტეტჩერი), ან თ (myth – მითი). ზეპირ მეტყველებაში კი /T/ ხშირად ისმის როგორც ს. რაც შეეხება /Δ/ ფონემას, მისი ადაპტირების ვარიანტებია ზ, დ ან ტ.

ინგლისური აპროქსიმანტი r განსხვავებულია სხვა ევროპულ ენებში არსებული ბგერებისგან, მათ შორის ქართული რ ფონემისგან, რომელიც ვიბრანტია.

ინგლისური *r* გადმოიცემა მისი შესატყვისი ქართული პოსტალვეოლარული *რ* ბგერით, რომელიც ეტიმონისაგან განსხვავებით ყოველთვის წარმოითქმის ნასესხებ სიტყვებში როგორც სიტყვის ბოლოში, ისე თანხმოვანთა წინ პოზიციაში.

ინგლისური *l* ფონემაც ადვილად ადაპტირდება ქართულ წარმოთქმასთან, თუმცა ფონეტიკური დეტალები შესაძლოა განსხვავდებოდეს. ველარიზაცია თანხმოვნის ბოლო და წინა პოზიციაში /*K*/ ქართულ ანგლიციზმებში იკარგება და მისი მარცვლის-წარმოქმნელი ფუნქცია ბლოკირებულია.

ხმოვანი ფონემების ადაპტაცია


ინგლისური და ქართული ენის ხმოვანთა სისტემები განსხვავდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით. ადაპტაციის პროცესში ხმოვნები, როგორც წესი, ღებულობს იმ ხმოვნის თვისებებს, რომელიც ფონოლოგიურად ყველაზე მეტად ახლოს დგას ორიგინალ ინგლისურ ბგერასთან. ეს სიახლოვე, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან არა თუ ენიდან ენაში, არამედ ინდივიდიდან ინდივიდშიც კი, არ არის ერთი და იგივე ფონემა აბსოლუტურად იდენტური. საქმეს ართულებს ისეთი ფონემების არსებობა ინგლისურ და ქართულ ენებში, რომლებიც სრულიად უცხოა ან ერთი ან მეორე ენისთვის. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, ხელს ვერ უშლის ლექსიკურ სესხებას და სიტყვა ინტეგრირდება იმ ფორმით რის საშუალებასაც იძლევა ქართული ენის ფონემური ინვენტარი.

გხვდება ისეთი ანგლიციზმებიც, რომლებშიც სახეზეა ოპტიკური სესხება ანუ ინგლისური ეტიმონის ორთოგრაფიასთან ასოცირებული გადმოცემა.

ქართულში არის ხუთი ხმოვანი, ინგლისურში კი თორმეტი მონოფტონგი ხმოვანი ფონემა და რვა დიფტონგი. ინგლისური ხმოვნები შეიძლება იყოს გრძელი ან მოკლე /*I*–/*i*:/, /*Y*–/*Y*:/, მჭიდრო ან არამჭიდრო (τενσε ანდ ლაქ მონოთიონი). როგორც გ. ნებერიძე აღნიშნავს, ქართულში არ ხდება ხმოვნების დიფერენციაცია სიგრძე სიმოკლის მიხედვით. ყველა ქართული ხმოვანი არის მოკლე. ხმოვანთა სისტემებში ფუნდამენტურია ოპოზიციები ენის აწეულობის, ლოკალური რიგისა და ბაგეების მონაწილეობის მიხედვით [21].

1. ენის აწეულობა (დაბალი, საშუალო, მაღალი)
2. ლოკალური რიგი (წინა, შუა, უკანა)
3. ლაბიალურობა (ლაბიალური, არა ლაბიალური)

ნახაზი 1. ქართული ხმოვანი ფონემების სამკუთხედი [21]



ინგლისური ხმოვანი ფონემების ჩანაცვლების ვარიანტები მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 3. ხმოვნების ჩანაცვლება

ინგლისური	ქართული	ნიმუში
/ɪ:/	ი	რეფერენც /%რეფერენც:/ რეფერენც, რეფერენცია
/I/	ი, ე	πικνικ ბენჯინი რაჩკეტ /%რეფერენც:/ რეკეტ
/ε/	ე	სენდ დასუნდვა (ჟარგ.)
/ɜ/	ე	აივბაე ეარბეი
/A:/	არ	χονχεπτ-χარ კონცეპტკარი, ბარ ბარი
/Θ/	ო	φακκποτ ჯეკპოტი, φλοππυ დისკ ფლუპიდისკი
/O:/	ორ	ლირდ ლორდი, ესჰორტ ესკორტი
/Y/	უ	ბსლ-დოე ბულდოე
/u:/	უ, ო	ლაიოონ ლაუნა, სალიოონ სალნი, დრაიოონ დრაკონი
/ɔ/	ა, უ	χუტერ კატერი, დოსბლე ლუბლი, მუსტანუ მუსტანგი
/3:/	ურ, ერ	χოსორი კურსორი, დერბუ დერბი
/≡/	ორ	αχχελρατορ აქსელერატორი, σποινσორ სპონსორი
	რ	αχრე აკნი
	ო	βαχონ ბეკონი
	ერ	αδαπτερ ადაპტერი, თირილერ თორილერი

ა	ათσεμϰλερ ၵსამბლერი, εχστασψ ექსტაზი
უ	χατχη–σπ კერუპი
არ	στανδარდ სტანდარტი
ურ	ψοιγσρτ იოგუდტი

ნეიტრალური ფონემა /≡/, რომელიც ყველაზე უფრო ცენტრალური ხმოვანია, ყოველთვის ღებულობს იმ გრაფემის სახეს, რომელიც მას წარმოადგენს ეტიმონში (ობტიკური სესხება).

დიფტონგების ადაპტაცია

ქართულ ენაში დიფტონგები არ გვხვდება. ამიტომ ყოველი ინგლისური დიფტონგის ნაცვლად ქართულ ენაში შემოსულ ანგლიციზმებში, როგორც წესი, დიფტონგების მაგივრად გვაქვს ორი ცალკე ხმოვანი, რომლისგანაც ეტიმონის შემადგენლობაში მყოფი დიფტონგი შედგება.

თუმცა რიგი საინტერესო პროცესი აქაც იჩენს თავს. პირველ რიგში ეს არის დიფტონგების შეკვეცა, ანუ გამარტივება, რის შედეგადაც ანგლიციზმში, როგორც წესი, რჩება დიფტონგის მხოლოდ პირველი ელემენტი.

βροικερ /∇βρOYκ≡/ ბრეკერი (არა ბროუქერი)

ηιλδνγ /∇ηOYλδIN/ ჰილდინგი (არა ჰიულდინგი)

ინგლისური დიფტონგები [i≡, 3≡, Y≡] ნასესხებ სიტყვებში უმეტესწილად მონოფტონგებად იქცევა.

I≡ > ip piercing პირსინგი

e≡ > ep fair-play ფერფლეი

Y≡ > sp tourism ტურიზმი

ქვემოთმოყვანილი ცხრილი ასახავს დიფტონგების ადაპტაციის თავისებურებებს.

ცხრილი 4. დიფტონგების ჩანაცვლება

ინგლ.	ქართ.	ნიმუში
/eI/	ეი, ე	εμαιλ /∇i:μeIλ/ იმეილი; βαχον /∇βeIκ≡v/ – ბეკონი; λαδψ /λeIδI/ –

		ლელი
/≡Y/	ოუ, ო	γιοαλ /∇γ≡Yλ/ – გოლი; φιλδერ /∇φ≡Yλδ≡/ ფოლდერი; Silk Road /∇ρ≡Yδ/ – სილქროუდი
/αI/	აი, ი	βικერ /∇βαIk≡/ ბაიკერი, φιλε /φαIl/ ფაილი
/αY/	აუ	κνοω–ηοω /∇κν≡YηαY/ ნოუჰაუ, βροωνιγ /∇βραYνI/ ბრაუნინგი
/OI/	ოი	σποιλერ /∇σπOIl≡/ სპოილერი
/I≡/	ირ	πιερχιγ /∇πI≡σIN/ პირსინგი
/ε≡/	ერ	φαιρ–πλαιγ /∇φε≡πლეI/ ფერ-ფლეი
/Y≡/	ურ	τουσριζμ /∇τY≡ρIζμ/ ტურიზმი

ფონოტაქტიკა

ქართული და ინგლისური ენების ფონოლოგიურ სისტემს შორის განსხვავდება გულისხმობს ფონოტაქტიკურ განსხვავებებსაც.

ხშულები და ნაპრალოვნები, როგორც წესი, ყრუვდება ქართული სიტყვების ბოლოს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ქართულში არსებითი და ზედსართავი სახელები, ასევე ზმნები თავის საწყის ფორმაში თანხმოვნებით არ ბოლოვდება. ამიტომ სიტყვის ბოლოს თანხმოვანი, აუცილებლად იქნება ფლექსიის ნაწილი. მაგალითად, ვმეგობრობ /ვმეგობრო[↑]/, კარგად /კარგათ/

ხშულები და ნაპრალოვნები ყრუვდება სხვა ყრუ თანხმოვნების წინა პოზიციაზეც. მაგალითად, ვფიცავ /[↑]ფიცა[↑]/, ცოცხლობს /ცოცხლოფს/. ყველა ფონოტაქტიკური წესი ვრცელდება ანგლიციზმებზეც. მაგალითად, ანგლიციზმი „როუმინგი“ მიცემით ბრუნვაში ჟღერს როგორც /როუმინქს/.

გრაფემული ინტეგრაცია

ქართულ ორთოგრაფიაში ფონემებისა და გრაფემების სრული კორელაციაა. ვინაიდან ქართული ორთოგრაფია ფონემურია, ამიტომ ლექსიკონებში სიტყვების ფონემური ტრანსკრიფციის საჭიროება არ არის.

მთავარი განსხვავება ანგლიციზმების მსესხებელ ენებს შორის არის ის, ეს ენა ლათინურ ანბანს იყენებს თუ არა. თუ არ იყენებს, ანგლიციზმები ტრანსლიტერირდება რეციპიენტი ენის დამწერლობით სისტემაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხების ადრეულ ეტაპზე ეს ხდებოდა ინგლისური სიტყვების

წერილობითი ფორმის საფუძველზე, მაგრამ დღეს ტრანსლიტერაცია უფრო მეტად ფონეტიკურია. თუმცა ამავე დროს არის ინგლისური, უფრო ზუსტად კი ლათინური ანბანის, როგორც დამხმარე სისტემის, გამოყენების ტენდენცია გარკვეული ფუნქციისათვის და გარკვეულ სფეროებში. მაღაზიის აბრები ან რეკლამა გაზეთებსა და ტელევიზიით შესაძლოა იყოს მთლიანად ლათინური ანბანით ან სულ მცირე ნაწარმის სახელი იყოს უცხოური დამწერლობით [176].

საყურადღებოა, რომ დღეს ბევრი ენა გადადის ლათინურ ანბანზე. ასე მოხდა აზერბაიჯანულში, რომელიც საბჭოთა პერიოდში კირილურ ანბანს იყენებდა, რომელსაც რუსული ანბანიც ეფუძნება. ყაზახურიც თანდათან გადადის კირილურიდან ლათინურზე, თუმცა ამ ენებს არავითარი კავშირი არა აქვთ რომაელებთან, ბერძნებთან ან სლავებთან. ბევრი სლავური ერი იყენებს ლათინურ ანბანს გარკვეული მოდიფიცირებებით, ნაწილი კი იყენებს კირილურს. არსებობს სერბო-ხორვატული ენის პრეცედენტი, რომელზეც სერბები წერენ კირილური ანბანით, ხოლო ხორვატები ლათინურით, ამასთან სასაუბრო ენა ერთი და იგივეა [191].

ანგლიციზმების გრაფიკული ინეგრაციისათვის დამახასიათებელი ნიშნებიდან აღსანიშნავია შემდეგი. ინგლისური ეგრეთწოდებული მუნჯი *e*, რომელიც ზოგიერთი სიტყვის ბოლოს იწერება და არ იკითხება, და თავის წინ ღია მარცვალს წარმოქმნის, ანგლიციზმში არც ფონეტიკურად და არც ორთოგრაფიულად არ გამოიხატება.

სამაგიეროდ თუ ნასესხები სიტყვის ეტიმონი თანხმონით ბოლოვდება, მაშინ სახელობით ბრუნვაში, რომელიც საწყის ფორმად ითვლება, ის დაიმატებს ბრუნვის ნიშანს *i*.

ქართული ენისთვის ორმაგი თანხმონები საერთოდ არ არის დამახასიათებელი, თანხმონების გაორმაგება შესაძლოა მოხდეს ფლექსიის დართვის შემდეგ და ისიც ძალზედ იშვიათ შემთხვევებში. ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებში ეტიმონის ორმაგი თანხმონები ერთით იცვლება. მაგალითად, *ოფისი* (office).

რადგან ქართულს ინგლისურისგან სრულიად განსხვავებული ანბანი აქვს, ინგლისურ ეტიმონთან გრაფიკული მსგავსების საკითხი არ დგას, განსხვავებით იმ ენებისგან, რომლებიც ლათინურ ანბანს იყენებს. თუმცა ძალიან ხშირია ქართულ

ტექსტებში ინგლისური ანბანით დაწერილი ანგლიციზმების თუ ინგლისური საკუთარი სახელების (ფირმის სახელი, მარკა) ჩართვის შემთხვევები.

ჟურნალები, რომლებიც განკუთვნილია თინეიჯერებისთვის, შეიცავს ბევრ გრაფემულად არა ადაპტირებულ ნასესხებ სიტყვას ისე, როგორც სპეციალიზებული სპორტული, კომპიუტერული, ავტომობილების და ა.შ. ჟურნალები. იმპორტირებული პროდუქტების სახელებიც უმეტესად ინარჩუნებს ინგლისურ ორიგინალ ორთოგრაფიას. ნაწილობრივ ეს აიხსნება იმ როლით, რასაც რეკლამა და სავაჭრო ნიშანი თამაშობს ნაწარმის დისტრიბუციაში.

ზეპირი გზით შემოსული ნასესხები სიტყვები ინგლისურ ანბანით დამწერლობას ინარჩუნებს მათი შემოსვლის პირველ სეფეხურზე. გავრცელებასთან და მოსახლეობის ფართო მასებში დამკვიდრებასთან ერთად ის განიღნის ადაპტაციას და ტრანსლიტერირდება „დედა ანბანზე“, თუმცა ქართული და ინგლისური ანბანით დაწერილ ანგლიციზმებს შორის მერყეობა შესაძლოა კარგა ხანს გაგრძელდეს. ზოგჯერ არის ორივე ფორმის ერთი და იმავე ტექსტში გამოყენების შემთხვევებიც.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ბოლო პერიოდში ლათინურ ასოებს ქართული სიტყვების დასაწერად იყენებენ. ეს ხდება დღეს ძალზედ პოპულარული (SMS) ესემესების გაგზავნისას და ინტერნეტ ჩატებში.

სიტყვათშეხამების გრაფემული ინტეგრაცია

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, როგორ უნდა ადაპტირდეს გრაფემულად ინგლისურენოვანი სიტყვათშეხამებები. ამიტომაც ასეთ ანგლიციზმებს თავისუფალი ინტერპრეტაციით წერენ. არსებობს სამი ვარიანტი: ტირეს გამოყენებით, ტირეს გარეშე ერთ სიტყვად, ცალკე სიტყვებად.

ჩვენი ღრმა რწმენით სიტყვათშეხამებები, რომლებიც ინგლისური ენიდან შემოვიდა ანგლიციზმების სახით, და რომელთა ნაწილებს ცალკე არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, უნდა დაიწეროს ტირეს გარეშე ერთ სიტყვად, რადგან ასეთი ანგლიციზმი ქართულში შემოვიდა თავის აღსანიშნ ერთ რომელიმე ცნებასთან ერთად, ქართულად მისი ორ სიტყვად დაწერა ალოგიკურია, რადგან ცნება ერთია. მით უმეტეს თუ ტირეს იქეთ და აქეთ მდგარი ნაწილები ქართულად ცალკე არაფერს ნიშნავს.

სიტყვები, რომლებიც ინგლისურში ლათინური და ბერძნული ელემენტებისგან შეირწყა მსესხებელ ენებში ინგლისური ნიშნის მიხედვით კი არ წამოითქმის, არამედ ასიმილირდება უკვე კარგად ნაცნობი ფონეტიკური მოდელების ანალოგიურად [159].

ინგლისური აფიქსების ფონოლოგიური ადაპტაცია

აღსანიშნავია, რომ able-ზე დამთავრებული ინგლისური სიტყვები, რომლებიც ძირითადად ზედსართავ სახელებს წარმოადგენენ, ქართულში შემოდის როგორც „აბელი“ ან „ებელი“. მაგალითად comfortable – კომფორტაბელური (დღეს უკვე გამოიყენება კომპორტული, რომელიც ჩვენის აზრით უფრო მისაღები ფორმაა, თავისი სიმოკლის გამო და აგრეთვე იმის გამოც, რომ გვაქვს სიტყვა კომფორტი და ინგლისური სუფიქსი „აბელ“ აქ ზედმეტია; fashionable – ფეშენებელური, არ ხდება able სუფიქსის გადმოტანა „აბლ“ სახით ამ შემთხვევაში გვექნებოდა *კომფორტაბლური* და *ფეშენებლური*. თვით წყარო-ენაში ინგლისურში ამ სუფიქსის წარმოთქმისას ხ და l ბგერებს შორის ისმის ნეიტრალური Ξ , რაც უფრო ადვილად წარმოსათქმელს და კეთილხმოვანს ხდის მარცვალს, თუმცა ქართული ენისთვის არც აბლური იქნებოდა უცხო, თუნდაც იმიტომ, რომ ქართულში გვაქვს სიტყვები მსგავსი ასოთა კომბინაციით: ბლუზი, ბლუ, ბლუზკა.

able სუფიქსის წარმოთქმაზე ქართულში თავის დროზე სავარაუდოდ რუსულმა იქონია გავლენა. ამას მოწმობს able სუფიქსის შემცველი ანგლიციზმების წარმოთქმის მსგავსება რუსულ და ქართულ ენებში: rentable რენტაბელური, рентабельный

სიტყვაში cable, able სუფიქსი არ არის, თუმცა ეს სიტყვაც ქართულშიც და რუსულშიც, უფრო სწორად კი ჯერ რუსულში და შემდეგ ქართულში შემოსულია როგორც кабель და „კაბელი“ შესაბამისად.

able სუფიქსი გვაქვს თანამედროვე ფრანგულშიც. უფრო მეტიც, ის ფრანგული წარმოშობისაა და ინგლისურში მოგვიანებითაა შემოსული. მაგრამ ქართულში able სუფიქსიანი ნასესხები სიტყვების უმრავლესობა, სწორედ რომ ანგლიციზმებია და არა ინტერნაციონალიზმები. თუმცა უდავოა, რომ სხვა ენებში able სუფიქსის არსებობის ფაქტმა ხელი შეუწყო მის ქართულ ენაში დამაჯერებლად დამკვიდრებას.

მორფემა air ქართულში შემოსულ ანგლიციზმებში წარმოდგენილია რამდენიმე განსხვავებული სახით.

1. აერო airport – აეროპორტი
2. ავია airliner – ავიალაინერი
air ticket – ავიაბილეთი
3. ეარ (ავიაკომპანიების სახლებში)
Air France – ეარ ფრანსი,
Air Georgia – ეარ ჯორჯია,
British Airways – ბრიტიშ ეარვეისი
Turkish Airlines – თურკიშ ეარლაინზი

აღსანიშნავია, რომ ქართულში უკვე არსებული ნასესხები სიტყვა „აერობუსი“, რომელიც საბჭოთა პერიოდში რუსულის გავლით შემოვიდა, სერიოზულად შეავიწროვა ანგლიციზმმა „ეარბასი“, რომელიც ხშირად ისმის სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებებში და გვხვდება პრესაში.

ლათინური წარმოშობის სუფიქსი **tion** არსებით სახელს აწარმოებს. ის ინტეგრირებულია მრავალ ენაში მათ შორის ქართულშიც. სავარაუდოა, რომ ეს სუფიქსი რუსული ენის გავლით შემოვიდა ქართულში და „ცია-ს“ სახე მიიღო. ახალი ანგლიციზმები, რომლებსაც გააჩნიათ სუფიქსი tion ქართულში შემოსვლის შემდეგ ირთავენ სუფიქსს „ცია“. მაგალითად, inauguration – ინაუგურაცია.

დასასრულს გვსურს კიდევ ერთხელ შევაჯამოთ ის ძირითადი ნიშნები, რაც ფონოლოგიური ადაპტაციის პროცესისათვისაა დამახასიათებელი.

1. ხმოვანთა დიფერენციაცია სიგრძე-სიმოკლის მიხედვით არ ხდება. /t/, I/>ი; /ɕ, A:/>ა; /s/, Y/>უ.
2. ხმოვანი ფონემები მათთან ფონეტიკურად ყველაზე ახლოს მდგარის მიხედვით რეალიზდება. /ʃ/>ე; /≡/>ე.
3. ცენტრალური ხმოვნების ჩანაცვლება ახლო ექვივალენტის მეშვეობით მიმდინარეობს. ქლɪɾɥ /ქლ3:ɾ/ ფლირტი.
4. გარკვეული დიფტონგების გამარტივება ხდება, განსაკუთრებით სიტყვის შუაში. γɔαɭ /γ≡Yɭ/ გოლი
5. /T, Δ/ ნაპრალოვნების (ფრიკატივების) ჩანაცვლება ხდება თ, ტ, დ, ზ, ს ბგერებით.

6. ინგლისური /r/ რეალიზდება პალატალური ვიბრანტის „რ“-ს მეშვეობით.
7. მახვილისა და ინტონაციის ქართული ენისათვის დამახასიათებელი წესები მოქმედებს.
8. სუსტი მარცვალი წარმოითქმის მაგრად.
9. თანხმოვნების არასწორი წარმოთქმის შემთხვევებიც გვხვდება (ბიზმესმენი), ან ალოფონური რეალიზაცია.

ინგლისურ და ქართულ ენებს შორის არსებული ფონემური განსხვავებები პრობლემას ქმნის შესასწავლი ენის დაუფლებისას, მაგრამ ხელს ვერ უშლის სესხების პროცესსა და ანგლიციზმის შემდგომ ინტეგრაციას.

2.2. ანგლიციზმების მორფოლოგიური ადაპტაცია

ხანგრძლივ ენობრივ კონტაქტებს ორი ენის ღრმა ინტერფერენციასთან მიეყვართ, რასაც თავის მხრივ შედეგად მოჰყვება მეტყველებაში ახალი ფონემებისა და მორფემების წარმოშობა, რომლებიც შემდგომში ენაში მკვიდრდება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ბერძნული და ლათინური წარმოშობის ზოგადევროპული სიტყვათწარმოების ელემენტები, რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ თანამედროვე ენებში. რაც შეეხება ფონოლოგიური სისტემის შევსებას უცხოური ელემენტებით (ფონემებით), ეს თეორიულად სავსებით შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ძალზედ რთულად განხორციელებადია, რასაც ბევრი ენათმეცნიერი აღნიშნავს კიდევ [38].

ნასესხები სიტყვები ჩვეულებრივ ინტეგრირდება იმ ხარისხით, რაც მათ საშუალებას აძლევთ შეუზღუდავად მოერგონ სინტაქსურ გარემოს. ინტეგრაციის პერიოდში, შესაძლოა იყოს უფლექსიო სტადია ან ორმაგი სტანდარტი (chat – ჩატი – ჩეთი) და ეს ორჭოფობის პერიოდი კარგა ხანსაც გაგრძელდეს.

ანგლიციზმების უმეტესობა მეტ ნაკლებად ადაპტირდება ქართულის ფლექსიურ სისტემასთან. ინტეგრაციის ხარისხი სიტყვის თავისებურებების გარდა დამოკიდებულია იმაზე, თუ მეტყველების რა ნაწილია იგი. სხვადასხვა მიზეზი შეიძლება მოიძებნოს იმისათვის, რატომ ინტეგრირდა ერთი სიტყვა, და რატომ ვერ

ინტეგრირდა მეორე. სიტყვის ადაპტირების უნარი ასევე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ემსგავსება ის მსესხებელი ენის სიტყვებს [159].

ინგლისური და ქართული ენის სისტემები სტრუქტურულად მკვეთრად განსხვავდება. ვინაიდან ანგლიციზმების უმეტესობა ბოლო ოცწლეულში შემოვიდა, ქართულში ინგლისური წარმოშობის სიტყვათწარმოების პროლუქტიული მორფემები არ გვაქვს. ერთმანეთის მსგავსი მორფემების არსებობა რიგ ინგლისურ ნასესხებ სიტყვებში (მიტინგი, პულინგი, სმოკინგი, მარკეტინგი) ჯერ კიდევ არ მეტყველებს ამ მორფემების სესხებაზე, რადგანაც ისინი ქართულ ნიადაგზე დამოუკიდებელნი არ არიან.

ინგლისური ენიდან man „მენ“ სუფიქსის მქონე ნასესხები სიტყვების დიდი რაოდენობის მიუხედავად, *სპორტსმენი*, *ბარმენი*, *კონგრესმენი*, *რეკორდსმენი*, *ბიზნესმენი* და სხვა, ეს სუფიქსი არ არის პროლუქტიული ქართულ ენაში და გვხვდება მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში.

სიტყვის მორფოლოგიური ათვისების შემდეგ სიტყვათწარმოქმნელი ელემენტები კარგავს თავის გრამატიკულ დანიშნულებას მსესხებელ ენაში და აღიქმება როგორც მარტივი სიტყვები (*sports-man* – *სპორტსმენი*, *train-er* – *ტრენერი*) [38].

არსებითი სახელი.

არსებითი სახელები ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებში ყველაზე დიდი კატეგორიაა (80%-მდე). მათი უმეტესობა არის ის სიტყვები, რომლებიც ახალი საგნების, გამოგონებების და ცნებების სახელდებისათვის გამოიყენება.

ყველაზე თვალსაჩინო და ზოგადი მორფოლოგიური ცვლილება, რომელსაც ანგლიციზმი არსებითი სახელები განიცდიან, სახელობითი ბრუნვის ნიშნის „ი“-ს დამატებაა ბოლოთანხმოენიანი ეტიმონისთვის. ეს ერთერთი პირველი ნაბიჯია ანგლიციზმის „გაქართულებისათვის“. *donor* – დონორი, *barter* – ბარტერი, და ა.შ. ბუნდოვანია /I/ ფონემით დაბლოკებული სახელები, რადგან მათში ბოლო „ი“ სახელობით ბრუნვის ნიშნად არის მიჩნეული მაშინ, როცა სინამდვილეში ინგლისურენოვანი ეტიმონის ძირი ბოლოვდება /I/ ფონემით. შედაგად ასეთი სიტყვების, მათ შორის საკუთარი სახელების, ბრუნება ზოგჯერ ისე ხდება თითქოს ბოლოთანხმოენიანი სიტყვები იყოს. მაგალითად, „მეგა თქვა“ – მაშინ,

როცა უნდა იყოს „მეგამ თქვა“, რადგან ინგლისური სიტყვა არის Maggy. კიდევ რამდენიმე მაგალითი: „ვისკს დავლევ“ ნაცვლად იმისა, რომ იყოს „ვისკის დავლევ“, გამომდინარე ინგლისური whisky-საგან; „პენალტს დავარტყამ“ უნდა იყოს „პენალტის დავარტყამ“, რადგან ინგლისური ეტიმონია penalty.

ანგლიციზმი არსებითი სახელები ქართულში თავისუფლად ირთავს ბრუნვის ნიშნებს, ზოგიერთი სხვა ენისაგან, მაგალითად რუსულისაგან განსხვავებით, სადაც ზოგჯერ ახალი ანგლიციზმის ბრუნება თუ ის რუსული ენისათვის უცხო ფონემაზე ბოლოვდება, პრობლემატური ხდება, და მას ფაქტიურად ყველა ბრუნვაში ერთი ფორმა აქვს.

მაგალითად, Благодаря вмешательству первой леди государства Людмилы Путиной в школах отменили оценки по пению, рисованию и физкультуре [44].

ქართულად ეს წინადადება დაახლოებით ასე ითარგმნება: სახელმწიფოს პირველი ლედის ლუდმილა პუტინას ჩარევის წყალობით სკოლებში გააუქმეს შეფასება სიმღერაში, ხატვასა და ფიზკულტურაში.

როგორც მაგალითიდან ჩანს ჩვენთვის საინტერესო ანგლიციზმი რუსულში ყველა ბრუნვაში ერთი ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო იგივე ანგლიციზმი ქართულში თავისუფლად ირთავს ბრუნვის ნიშნებს (ამ შემთხვევაში ნათესაობითია).

არის შემთხვევები, როცა ანგლიციზმის ინგლისური ეტიმონი მრავლობით რიცხვშია, და სიტყვა ასეთი სახით შემოდის ენა რეციაპიენტში. ქართულ ანგლიციზმებში მრავლობითი რიცხვის ინგლისური სუფიქსი ასეთად არ აღიქმება, ანუ სუფიქსები s, es თავის მორფოლოგიურ ფუნქციას აღარ ასრულებს. მთლიანი სიტყვა აღიქმება როგორც მხოლოდითი რიცხვის ფორმა. სიტყვის ეს ფორმა მიჩნეულია საწყისად და მრავლობითი რიცხვი ქართული გრამატიკის საერთო წესების მიხედვით იწარმოება. მაგალითად, რელსი (rails) –რელსები, ბუცი (boots) – ბუცები.

სიტყვებს breeches, shorts ინგლისურ ენაში მხოლოდ მრავლობითი რიცხვი აქვთ, მაგრამ ამ ანგლიციზმებს შესაძლოა ჰქონდეთ, როგორც მხოლოდითი ისე მრავლობითის ფორმა. მაგალითად, ბრიჯი (breeches) – ბრიჯები, შორტი (shorts) – შორტები.

ინგლისური *არსებითს* + *არსებითი* სიტყვათშეხამებების სესხების შემთხვევაში, მსაზღვრელი არსებითი სახელი შესაძლოა ისეთივე ფორმით

გადმოვიდეს, როგორც ინგლისურშია, ანუ არ დაირთავს ზედსართავი სახელის ქართულ სუფიქსს და არც ნათესაობით ბრუნვაში დგება. მაგალითად, *პიზნეს სკოლა, ოფის მენეჯერი, დოპინგ კონტროლი*. ასეთი ტენდენცია გაძლიერდა განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში და სავარაუდოა, რომ მომავალში ასეთი სიტყვითშესამებები კიდევ უფრო გავრცელდება [160].

ხშირად ისეთ შემთხვევაში, როცა ხდება სიტყვათა ჯგუფის თარგმნა, მსაზღვრელი, რომელიც ინგლისურ ვარიანტში არსებითი სახელია, ქართულში ნათესაობით ბრუნვაში შემოდის ან ზედსართავი სახელით გადმოიცემა. მაგალითად, *night club* – ღამის კლუბი, *market research* – ბაზრის გამოკვლევა, *team work* – გუნდური მუშაობა.

ზედსართავი სახელი

ქართულში შემოსული ანგლიციზმი ზედსართავი სახელები ძირითადად სხვა სიტყვასთან (არსებით სახელთან) კომბინაციაში მსაზღვრელ პოზიციაზე მდგარი ნასესხები სიტყვებია. ხოლო ისეთები, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ, ძირითადად პრედიკატივის პოზიციაზე გვხვდება. სხვადასხვა ზედსართავი სახელი, რომელიც თანამედროვე ქართულ ენაში შეიძლება შეგვხვდეს შემდეგ მორფოლოგიურ ნიშნებს ატარებს:

1. მორფოლოგიური ცვლილებებს გერეშე. მაგალითად, *compact disk* – კომპაქტ დისკი.
2. ინგლისურ ფორმაზე ქართული სუფიქსის დამატებით. მაგალითად, *credit lines* – **საკრედიტო** ხაზები.
3. ინგლისურ სუფიქსის ქართული ჩანაცვლებით. მაგალითად, **commercial** – კომერციული.
4. ინგლისური სუფიქსის შენარჩუნებითა და კიდევ ქართული სუფიქსის დამატებით. მაგალითად, *marketing* – მარკეტინგული.

თანამედროვე სარეკლამო განცხადებები ახალი ანგლიციზმების ერთ-ერთი წყაროა. საყურადღებოა, რომ ხშირად ასეთი სიტყვების მნიშვნელობა მკითხველისათვის ან მაყურებლისათვის გაუგებარია. მაგრამ, რადგან ანგლიციზმების გამოყენება პრესტიჟულად ითვლება, მათ უხვად ვხვდებით ნებისმიერი სახის რეკლამაში. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „გრანულირებული“, რომლის ინგლისური ეტიმონია *granulated*. ეს სიტყვა გამოიყენება კომბინაციაში

„გრანულირებული ყავა“ – granulated coffee. აქ აღსანიშნავია ის, რომ ინგლისურ სიტყვა granule, რაც მარცვალს ნიშნავს, ქართულში არ შემოსულა. მისგან ნაწარმოებ ზედსართავს კი სატელევიზიო რეკლამაში ვხვდებით. „გრანულირებულის“ მნიშვნელობა რიგითი მაყურებლისთვის უცნობია, და მხოლოდ ინგლისური ენის მცოდნე ადამიანი თუ მიხვდება როგორ ყავაზეა საუბარი.

ქართულში გვხვდება ანგლიციზმი არსებითი სახელები და იგივე ფუძის ზედსართავი სახელებიც. მაგალითად, ლაზერი – ლაზერული, ოზონი – ოზონური, რეიტინგი – რეიტინგული. ყოველთვის არ არის ადვილი იმის გარკვევა, ამ ზედსართავების წარმოება თვით ქართულში ხდება, თუ ისინი ინგლისური ზედსართავი სახელის საფუძველზე დამკვიდრებული ანგლიციზმებია.

ზმნიზედა

ly-ზე დაბოლოებული ზმნიზედები ქართულ ანგლიციზმებში პრაქტიკულად არ მოიძევა. თუმცა ამ კატეგორიის სხვა სიტყვები მცირე რაოდენობით მაინც გვხვდება. უნდა ითქვას, რომ ეს სიტყვები სრულად ინტეგრირებულნი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ გამოიყენება. ესენია fifty-fifty, non-stop, online, live, off-topic. მაგალითად, „როდის იქნები ონლაინ?“ ან „რეპორტაჟი ლაივში გადმოიცა“. ინტერნეტ ფორუმებზე შეხვდები სიტყვას „off-ტოპიკი“, ანუ ის რაც ძირითად თემას არ ეხება.

OK აგრეთვე გვხვდება არა მარტო როგორც შორისდებული, არამედ იშვიათად, მაგრამ მაინც როგორც ზმნიზედა (კარგის აღსანიშნავად). მაგალითად, „ყველაფერი OK“.

რაც შეეხება შორისდებულებს, გვაქვს ისეთი ანგლიციზმები როგორიცაა: yes, wow, ok.

კალკი

ზოგიერთ სლაგურ და რომანულ ენაში სიტყვათშეხამებების დიდი რაოდენობით სესხებამ გამოიწვია სიტყვათწარმოების მოდელების მოდიფიცირება [43].

ინგლისური ენის გავლენა ქართული ენის ლექსიკურ შრეზე პირდაპირ სესხებასა და ჰიბრიდებს სცდება. სესხება-თარგმნა, რომელშიც სიტყვათშეხამების შემადგენლები ფორმალურად ქართულია, თუმცა ინგლისურ სიტყვათა კომბინაციაზეა მოდელირებული, საკმაოდ ხშირია. ბევრი ენათმეცნიერი ასეთი

ტიპის სესხებას უფრო მისაღებად მიიჩნევენ, ვიდრე ინგლისური სიტყვების პირდაპირ „ხელოვნურად“ მოთავსებას „უცხო გარემოში“.

ამგვარად, ინგლისურენოვანი სიტყვათშეხამებების მიღება ხშირ შემთხვევაში ნათარგმნი ფორმით ხდება. უნდა ვთქვათ, რომ თარგმანი შესაძლოა ზუსტი არც იყოს და მოხდეს ინგლისურ სიტყვათა ჯგუფის სხვა სახით გადმოცემა, რომლის დროსაც მსესხებელი ენის საშუალებები გამოიყენება. სესხება-თარგმნის პროცედურას ენის სიწმინდის დამცველები უპირატესობას ანიჭებენ. ხშირად ამ პოზიციაზე დგას ენის ეროვნული აკადემიებიც. ზოგადად ასეთი ჩანაცვლებები შესაძლოა დაჯგუფდეს ეტიმონთან მორფოლოგიური და სემანტიკური ექვივალენტობის მიხედვით:

ა) კალკი თარგმნა – შემადგენელთა სრულყოფილი გადმოცემა, ზუსტი თარგმნა. მაგალითად, night club – ღამის კლუბი.

ბ) კალკი გადმოცემა – ისეთი სესხება, რომლის დროსაც ხდება გადახრა ზუსტი მნიშვნელობისაგან, მაგალითად skyscraper – ცათამბჯენი, ან მორფოლოგიისგან, მაგალითად, secondhand – მეორადი მოხმარების. ამავე ჯგუფში ერთიანდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ინგლისურ ვარიანტში მსაზღვრელი არსებითი სახელია, ხოლო ქართულში ზედსართავი (team work – გუნდური მუშაობა).

გ) კალკი წარმოქმნა – თავისუფალი გადმოცემა, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია ეტიმონისგან, მაგრამ მისგან არის სტიმულირებული. მაგალითად, bodyguard – პირადი მცველი, input – შემაჯავალი, output – გამომაჯავალი.

ამ უკანასკნელის შემთხვევაში ადვილი არ არის ამტკიცო ის, რომ ლექსიკური ერთეული წარმოიშვა, სწორედ ინგლისური ეტიმონის ზეგავლენით და არა სხვა რამის საფუძველზე.

ალტერნატიული სტრატეგია სესხების თავიდან ასაცილებლად არის მსესხებელი ენის ამა თუ იმ სიტყვის უცხოური შინაარსით გავრცობა. ამ მოვლენას ეწოდება სემანტიკური კალკი. ამის მაგალითია სხვადასხვა ენაში „თავის“ (რომელიც მღრღნელს წარმოადგენს) კომპიუტერულ ნივთად გადაქცევა.

ხშირად ორი ნიშნით – პირდაპირ შემოსული და კალკირებული – თანაარსებობს (ელექტრონული ფოსტა და იმეილი, მძიმე როკი და ჰარდ როკი, კულტურიზმი და ბოდიბილდინგი). ეს შესაძლოა გავრძელდეს გარკვეული ხანი და

წარმოშვას სტილისტური ნიუანსები, ან ღრთა განმავლობაში შესაძლოა ორი ნიმუშიდან ერთერთი დაიკარგოს. ტენდენცია მიმართული არის იმისკენ, რომ ანგლიციზმი, რომელიც მოკლეა, უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე თარგმნილი კალკი, რომელიც უფრო გრძელიცაა.

ფრაზები

არის შემთხვევები, როცა ქართულში აღწევს არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მთლიანი ფრაზებიც. ზოგჯერ ეს ხდება პირდაპირი გზით, ანუ ეტიმონი შემოდის უთარგმნელად, ზოგჯერ კი კალკის სახით. თარგმანის გარეშე გამოიყენება შემდეგი ინგლისური ფრაზები: no problem, thank you, I love you. ამ ჯგუფშივე გაერთიანდება უცნაურო ფრაზებიც.

ინგლისური ფრაზების კალკირების დროს, თუ ქართულში უკვე არსებობს მსგავსი ფრაზა, მათ შორის იწყება „ბრძოლა გადარჩენისთვის“. ძნელი სათქმელია რამდენად სამართლიანად მთავრდება ასეთი „ბრძოლები“. თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, ლინგვისტებმა საჭიროა დააფიქსირონ საკუთარი დამოკიდებულება, როცა მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი.

ბოლო ხანს ოფიციალურ ქართულ მეტყველებაში გავრცელდა ფრაზა „მე ამაყი ვარ“, კონტექსტში „მე ამაყი ვარ იმით, რომ ჩემი ხალხი ბრძენია“. რაც ჩვენი აზრით ინგლისური კალკია (I am proud that). ქართულში მსგავსი განწყობის გამასახატავად ყოველთვის გამოიყენებოდა სიტყვა „მეამაყება“ ან „მე ვამაყობ იმით, რომ...“. ძნელი სათქმელია, რამდენად სიცოცხლის უნარიანი აღმოჩნდება ინგლისური ვარიანტი. თუმცა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ისეთი უპირატესობები, როგორიცაა სიმოკლე (ფანი – გულშემატკივარი), მსოფლიოს მასშტაბით გავრცელება (მაუსი – თაგვი) და სხვა, რაც ანგლიციზმებს გააჩნიათ ქართულ სიტყვებთან დაპირისპირების დროს, ხსენებულ ფრაზას „მე ამაყი ვარ...“ სხვადასხვა პირში და სხვადასხვა დროში მოცემულს არ გააჩნია. ვარიანტები „მეამაყება“ ან „ვამაყობ“ წარმატებით ართმევს თავს დაკისრებულ ფუნქციას.

ნათლად იგრძნობა, რომ ფრაზა „მე ამაყი ვარ, რომ ...“ იმ სოციალური შრის წარმომადგენელთა შემოტანილია, ვინც უცხოეთში სწავლობდა ან რაიმე კავშირი ჰქონია ინგლისურ (ძირითადად ამერიკულ) სახელმძღვანელოებთან. ეს სოციალური შრე ანგლიციზმების ერთერთი აქტიური შემომტანია ქართულში.

აფიქსების ადაპტაცია

ყველა ენას, მათ შორის ქართულსაც, გააჩნია დერივაციული ნიმუში, რომელიც გამოხატავს „ვიდაცას, რომელიც აკეთებს რაღაცას“. დენომინალური წარმოქმნა (მეტყვევ) გაცილებით იშვიათია, ვიდრე დევერბალური (მასწავლებელი). არის აგრეთვე ბუნდოვანი შემთხვევებიც (მეთევზე). ინგლისურში ასეთი მოქმედი (აგენტი) არსებითი სახელის გამოსახატად გამოიყენება სუფიქსები –er, -ist, -man; მდებარებითი –ess. ეს სუფიქსები გარკვეულწილად ნაცნობია ქართულისთვის, რადგანაც ენაში დიდი ხანია არსებობს სიტყვები: როკი და როკერი, ტაქსი და ტაქსისტი, სპორტი და სპორტსმენი, პრინცი და პრინცესა. ამიტომაც ინგლისურენოვანი სიფიქსების –er, -ist, -man, –ess მნიშვნელობა ასე თუ ისე ნაცნობია. აქედან გამომდინარე ის ანგლიციზმები, რომლებიც ამ სუფიქსებს შეიცავს ნაკლებად უცხოდ გამოიყურება ქართული სიტყვების გვერდით [159].

ამგვარად არავითარი ნიშანი არ ჩანს, რომ ინგლისური აფიქსები, უმეტესად სუფიქსებით წარმოდგენილი, ქართულში პროდუქტიული გახდეს. თუ არ ჩავთვლით ადრეულ ეტაპზე შემოსულ სუფიქსს –ისტი, რომელიც საკუთრივ ინგლისური სუფიქსი არ არის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართულში ანგლიციზმები თავისი ძირით შესაძლოა გახდეს დერივაციული პროცესის საფუძველი, თუმცა არცერთი სუფიქსი არ გამხდარა პროდუქტიული.

ძალზედ იშვიათ კერძო შემთხვევებში ხდება able სუფიქსის, როგორც მორფემის თავისივე მნიშვნელობით სესხება. ეს ქართულ ენისათვის სტანდარტი არ არის, თუმცა სასაუბრო მეტყველებისას და ჟურნალისტთა მეტყველებაშიც შევხვდებით ზემოთ ხსენებული მორფემის მეშვეობით კონკრეტული სიტყვების წარმოების ცალკეულ იშვიათ შემთხვევებს. მაგალითად, *ეს დისერტაბელური თემაა*.

ცხრილი 5. ანგლიციზმებში შემაგალი ინგლისური აფიქსები

აფიქსი	აფიქსის წარმოშობა	აფიქსის გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობა ინგლისურ ენაში	ანგლიციზმები ქართულ ენაში
-able	ლათ.	არსებითი, ზედსართავი სახ.	ფემენებელური, კომფორტაბელური

-age	-	არსებითი სახ.	კოტეჯი, კოლეჯი
-ant, -ent	-	არსებითი, ზედსართავი სახ.	დისიდენტი
-ard, -art	გერმ.	არსებითი სახ.	სტანდარტი
-ey, -y	სკანდ.	არსებითი სახ. (კნინობითი)	ჟოკეი
-ic	ლათ.	არსებითი, ზედსართავი სახ.	სტატისტიკა
-ing	გერმ.	არსებითი სახ., გერუნდივი	პუდინგი, მიტინგი
-ism	ბერძ.	არსებითი სახ.	ტურიზმი
-ist	-	არსებითი, ზედსართავი სახ.	ლეიბორისტი
-ite	-	არსებითი სახ.	ჰამორიტი
-ling	გერმ.	არსებითი სახ. (კნინობითი)	შილინგი, სტერლინგი
-man, -sman	-	არსებითი სახ.	ბოცმანი
-men, -sman	-	არსებითი სახ.	ჯენტლმენი, სპორტსმენი
-ment	ლათ.	არსებითი სახ.	პარლამენტი
-ness	გერმ.	არსებითი სახ.	ბიზნესი
-oid	ბერძ.	არსებითი სახ.	ასტეროიდი
-er, -or	ლათ., გერმ.	არსებითი სახ.	სპიკერი, ბუფერი
-ory, -ary	ლათ.	არსებითი, ზედსართავი სახ.	ვენტილატორი
-ry	-	არსებითი სახ. (კრებითი)	ორდინარია
-tion	-	არსებითი სახ.	კორპორაცია, ოპოზიცია
dis-	-	საწინააღმდეგო	დისჰარმონია
in-, im-	-	უარყოფითი მნიშვნელობა, ან „შიგა“	იმპორტი, ინფანტილური
co-	-	ერთობლიობა	კოოპერატივი
re-	-	მოქმედების გამეორება	რეკოლვერი
ex-	-	„გარე“	ექსპორტი

ზმნა

ინგლისურენოვანი ზმნების ინტენსიური შემოსვლა ქართულ ენაში დაკავშირებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროს სწრაფ განვითარებასთან. ასე გაჩნდა სიტყვები *დასეივება*, *დაფორმატება*, *დასენდვა*, *დაშატდაუნება*, *დაკლიკება*.

ანგლიციზმი არსებითი სახელები ქართული სუფიქსების გამოყენებით ზმნებს ხშირად აწარმოებენ. მაგალითად, *სკანერისგან* მივიღეთ *დასკანერება*. ეს უკანასკნელი რომ სწორედ ქართულში უკვე შემოსული *სკანერისგან* არის მიღებული და არა ინგლისური scan-სგან, მტკიცდება იმით, რომ გამოიყენება *დასკანერება*, და არა, მაგალითად *დასკანვა*. არსებითი სახელისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებია: *ამოპრინტერება*, *დამესიჯება*, *დაქსეროქსება* და სხვა.

კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველებაში ხშირად შეეხვებით ანგლიციზმების შემცველ ზმნურ გამოთქმებს, რომლებშიც შედის ქართული ზმნა *მიცემა*. ეს გამონათქვამები ასახავს ბრძანებებს, რომელთაც მომხმარებელი კომპიუტერს ან სხვა მსგავსი პრინციპის ელექტრონულ მოწყობილობას ურთიერთობისას აძლევს. ასეთი გამოთქმებია, ქენსელ მიეცი (cancel), იგნორ მიეცი (ignore), ოქეი მიეცი (ok) და სხვა.

აბრევიატურები

ინგლისურენოვანი აბრევიატურები ქართულში ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც შესაბამისად პრესასა და საინფორმაციო საშუალებებშიც აისახება. ასეთებია: VIP – ვიპ, NATO – ნატო, DJ – დიჯეი, HIV infection – აივ ინფექცია, PIN code – პინ კოდი, DNM – დენემი, SMS – ესემესი და სხვა.

2.3. ანგლიციზმების სემანტიკური ადაპტაცია

სიტყვის სესხება ლინგვისტურ კონტექსტში, კონკრეტულ სიტუაციაში ხდება. ეს, როგორც წესი, ნიშნავს იმას, რომ სესხების პროცესში ჩართულია პოლისემიური ეტიმონის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა ან მონოსემიური ეტიმონი. ვინაიდან სიტყვის სესხება ხდება კონკრეტულ სიტუაციაში, მისი მნიშვნელობა შემდგომში შესაძლოა დავიწროვდეს სემანტიკურად (ანუ უფრო დაკონკრეტდეს), რეფერენტულად (საგანთა უფრო მცირე წყების აღნიშვნით), სტილისტურად, სოციალურად ან კონოტაციურად. სიტყვა შესაძლოა გახდეს მოდური ან პრესტიჟული თავის ნეიტრალურ ეტიმონთან შედარებით. ასეთია, მაგალითად, *ნოუ-*

ჰუ, რომელსაც ტექნიკის სფეროში იყენებენ და რომელიც სტილისტურად მარკირებულია, როგორც პრესტიჟული. ყოველივე ზემოთქმული უნივერსალურია მეტყველებისათვის და ყველა ენას ეხება. განსხვავება მდგომარეობს სიტუაციაში და სემანტიკურ ველში, რომელსაც ახალი სიტყვა მოიცავს, და რომელშიც მისი მნიშვნელობის განსაზღვრა სინონიმებთან (მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებთან) კონტრასტში ხდება.

„ლაბინაჟება“ გრძელდება სესხების შემდეგაც. თუ ანგლიციზმი არ დარჩა რეციპიენტი ენის სიტყვის სინონიმად, მან შესაძლოა განავითაროს განსხვავებული სემანტიკური ნიშნები (რომელიც ჩვეულებრივ კიდევ უფრო ზღუდავს მის მნიშვნელობას) და აგრეთვე შესაძლებელია განავითაროს ახალი მნიშვნელობები კონტექსტუალური შეზღუდვით, მეტაფორული და მეტონიმური, ევფემისტური ან სახუმარო გამოყენებით, და სხვა სახით, რომელიც რეციპიენტი ენის სიტყვებსაც ახასიათებთ [187].

რამი მდგომარეობს ანგლიციზმების გამოყენების საჭიროება სემანტიკური თვალთახედვით. პირველ რიგში, ანგლიციზმებს თავისი ქართული სინონიმებისგან განსხვავებით არა აქვთ სხვა დენოტაციური მნიშვნელობები, ამგვარად ისინი უფრო კონკრეტულია. გარდა ამისა, მათ არა აქვთ იგივე კონოტაციური მნიშვნელობა, ანუ როცა ანგლიციზმი გვესმის ან ვკითხულობთ, ის ახდენს განსხვავებულ შთაბეჭდილებას ვიდრე ქართული ექვივალენტი. ამგვარად მათი კონოტაციური მნიშვნელობები განსხვავებულია.

ზოგჯერ ადგილი აქვს ანგლიციზმის სემანტიკურად არა სწორად ხმარებას. ერთერთ ქართულ რადიოში ერთერთ რუბრიკას ეწოდება *ახალი ჰიტი*, რომლის გამოცხადების შემდეგაც ეთერში გადის სრულიად ახალი სიმღერა, რომელსაც ჰიტ-ამდე ვერ დიდი გზა აქვს გასავლელი. ამ რუბრიკას ჰყავს სპონსორი, რომელიც ყოველი ახალი სიმღერის გასვლის დროს სახელდება ეთერში. ანგლიციზმი „ჰიტი“ ამ შემთხვევაში არა სწორადაა გამოყენებული, რადგან ახალი სიმღერა არ შეიძლება იყოს ჰიტი, და საკითხავია იქნება კი საერთოდ. ამ შემთხვევაში „ჰიტ“ის გამოყენებას თავისებური პრაგმატული მიზნანი აქვს. სიტყვა *ჰიტი* უფრო მოღურია, და პრესტიჟულობის მეტი ელფერი აქვს ვიდრე სიტყვას სიმღერა. სწორედ ამაზეა გათვლილი ეს ფრაზა, სავარაუდოდ „ახალი ჰიტი“ უფრო მეტ ყურადღებას მიიქცევს მსმენელისგან, და პირველ რიგში ახალგაზრდა

მსმენელისგან ვიდრე „ახალი სიმღერა“. ხოლო ყურადღების მიპყრობა სწორედ ის არის, რაც იმ სპონსორს სჭირდება, რომელიც ხსენებულ რუბრიკას აფინანსებს.

ქართულ ენაში შემოსული ყველა ნეოლოგიზმი გამოცდას სესხების საჭიროებაზე გადის. მათ ერთგვარი აპრობაცია სჭირდება ენის ლექსიკურ სისტემაში შესასვლელად. მნიშვნელოვანია ენაში არსებული სიტყვების ახალ სიტყვაზე საპასუხო რეაქცია, რაც გარკვეულწილად განაპირობებს ამა თუ იმ სიტყვის სესხებას ან უკუგდებას. ამგვარად, ახალმა სიტყვამ შესაძლოა გამოიწვიოს ან ხელი შეუწყოს სემანტიკურ გადახრებს ძირძველ სიტყვებში, რომელთაც თავდაპირველად ნეოლოგიზმის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდათ. სიტყვის მნიშვნელობის შევიწროვება, სტილისტური მარკირება და სხვა სემანტიკური ცვლილებები ასტიმულირებს ან გამორიცხავს ნეოლოგიზმის სესხებას. მაგალითად, ინგლისური სიტყვა „ჰობის“ შემოსვლას და სესხებას ხელი შეუწყო ერთ დროს იგივე მნიშვნელობის მქონე სიტყვების – *სპორტი, გართობა, აზარტი* მნიშვნელობათა გადანაწილებამ. მეოცე საუკუნის დასაწყისში სიტყვა „სპორტი“ იქნა მნიშვნელობას – ფიზიკური ვარჯიში. მნიშვნელობის დავიწროვებასთან ერთად „გართობის“ ცნება ამოვარდა სიტყვა „სპორტის“ სემანტიკური ველიდან. ძველი მნიშვნელობიდან დღეს შემოგვრჩა გამოთქმა „სპორტული ინტერესის გამო“ ანუ „გასართობად“.

რაც შეეხება სიტყვას „ჰობი“, რომელიც მეოცე საუკუნის 70-იან წლებში შემოვიდა ქართულში, ის საკმაოდ ადვილად დამკვიდრდა და ჩაენაცვლა სიტყვას „გართობა“. ეს კი შესაძლებელი გახდა თავდაპირველად სინონიმი სიტყვების „სპორტისა“ და „გართობის“ ლექსიკურ-სემანტიკური გადახრის გამო [55].

რეგულარული გამოყენებისას ნასესხები სიტყვა ზოგჯერ იმდენად სცილდება თავის პირვანდელ მნიშვნელობას, რომ შუალედური რგოლი – საგნობრივ-ლოგიკური კავშირი „უცხოა“ და უკვე „ჩვეულ“ რეალიას და ცნებას შორის შესაძლოა გახდეს არაარსებითი, ან საერთოდ გაქრეს. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი სიტყვების თანამედროვე მნიშვნელებები: კლუბი (ორიგინალში ხალხის კრება), ვაგზალი (ორიგინალში სასეირნო დარბაზი), პიონერი (ორიგინალში ჯარისკაცი).

ანგლიციზმები თავიდანვე დომინირებდნენ ორ – ტექნიკურ და სასაუბრო – რეგისტრში. რაც შეეხება მხატვრულ ტექსტში გამოყენებულ ინგლისურ სიტყვებს,

უნდა აღინიშნოს, რომ ანგლიციზმად არ ჩაითვლება ისეთი ინგლისურენოვანი სიტყვები, რომლებიც სესხებისთვის განსაზღვრული კი არ არის, არამედ კერძო მწერლის (ან მოსაუბრის) მიერ ტექსტის ფორმაზე ყურადღების მისაპყრობად გამოყენებული ნიშნებია, რაც, თავის მხრივ, სტილისტური ეფექტის გამოწვევას ემსახურება [155].

რაც შეეხება მნიშვნელობას, ყველა სიტყვას თავისი ისტორია აქვს. ამიტომაც იოლი არ არის სემანტიკურ ცვლილებათა ტიპების განზოგადება. თუმცა ქართულ ანგლიციზმებში იკვეთება ძირითადად შემდეგი სახის სემანტიკური ცვლილებები:

1. ეტიმონის რამდენიმე მნიშვნელობა ერთ მნიშვნელობამდე ვიწროვდება. თუ ავიღებთ ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონს ვნახავთ, რომ ინგლისური set-ის მნიშვნელობები სესხების შემდეგ ოცდახუთიდან ერთამდე შემცირებული ქართულ სიტყვაში *სეტი*, რომელიც საჩოგბურთო ასპარეზობის ტერმინია.

2. სიტყვის მნიშვნელობა გამოყენების ერთი ან რამდენიმე სფეროთი იზღუდება. ქართულში *ბარელი* (barrel) გამოიყენება მხოლოდ ნავთობთან მიმართებაში.

შესაძლოა მოხდეს სიტყვის მნიშვნელობის განზოგადება, ან ერთი სფეროდან მეორეში გადასვლა. თუმცა მნიშვნელობის ასეთი ცვლილება იშვიათია.

მიიჩნევენ, რომ საკონტაქტო სიტუაციაში, სიტყვის სესხების მომენტში მისი მხოლოდ ერთი მნიშვნელობის ათვისება ხდება. არის შემთხვევები, როცა ადრე ერთი რომელიმე მნიშვნელობით ნასესხებ სიტყვას შემდგომ დაემატა ამ სიტყვის ეტიმონის სხვა ახლადნასესხები მნიშვნელობაც.

ანგლიციზმები, რომლებიც ტექნიკურ ტერმინოლოგიას განეკუთვნება, უმეტეს შემთხვევაში მონოსემურია, ანუ აქვს ერთი რეფერენტი. ამგვარად, ეს აადვილებს დიალოგს იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც მუშაობენ ერთსა და იმავე სფეროში საერთაშორისო მასშტაბით, ან კიდევ სხვადასხვა სფეროებშიც, რადგანაც საერთო ტერმინის ქონით მათ ზუსტად იციან რაზეა საუბარი.

ინგლისური ენის სხვა ენებზე გავლენის პრობლემა ფართო სფეროა ენობრივი კონტაქტების მრავალი საერთო და კერძო საკითხის კვლევისათვის. ჩვენი კვლევის ფარგლებს გარეთ დარჩა მრავალი აქტუალური საკითხი, რომლებიც სპეციალურ განხილვასა და შემდგომ კვლევას საჭიროებს. ისეთები, როგორიცაა მაგალითად იდიომების სემანტიკური სესხების საკითხი.

III. ანგლიციზმების გავრცელების სფეროები და მათი ინტენსივობა

ინგლისური ენის მიერ სხვა ენებიდან სიტყვების სესხების პროცესი საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამის დასტური შეიძლება ვიპოვოთ ინგლისური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში. დონორ ენად კი ინგლისური ბევრად უფრო გვიან ჩამოყალიბდა. მეოცე საუკუნემდე ინგლისური ენის ზეგავლენა სხვა ენებზე ძალიან მოკრძალებული იყო. პირველ ეტაპზე ამის ხელშემწყობი გახდა დიდი ბრიტანეთის ექსპანსია და უზარმარი ტერიტორიების კოლონიზაცია [153].

მე-19 საუკუნეში ინგლისურის წვლილი ევროპული ენების ლექსიკაში გაიზარდა. ამ პროცესმა მოიცვა ყველა ძირითადი ევროპული ენა: ა) რომანული: ფრანგული, იტალიური, ესპანური და პორტუგალიური; ბ) გერმანიკული: გერმანული, პოლანდიური, დანიური, შვედური და ნორვეგიული; გ) სლავური: რუსული, პოლონური და ხორვატული და სხვა.

მე-20 საუკუნეში კომუნიკაციის ახალი საშუალებების წყალობით ინგლისურის კონტაქტი ევროპის სხვა ენებთან უფრო მჭიდრო გახდა. ამის შედეგი იყო ინგლისური სიტყვების ძალიან თავისუფალი და მრავალმხრივი ენობრივი სესხება ევროპული ენების მიერ. მეოცე საუკუნის ენობრივი კონტაქტების შესასწავლად აუცილებელია კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების გამოკვლევა.

სიტყვების სესხება შეიძლება პირდაპირი ან ირიბი იყოს. პირდაპირ სესხებას ადგილი აქვს მიწინ, როცა დონორ და მიმღებ ენებს აქვთ ისეთი ახლო გეოგრაფიული, კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ა.შ. კავშირები, რომ ნასესხები საგნები, იდეები ან ცნებები მოითხოვს მათი სახელების გადასვლას მსესხებელ ენაში. მეორეს მხრივ, როცა არ არის პირდაპირი კონტაქტი ორ ქვეყანას და მათ ენებს შორის, სიტყვების პირდაპირი გადასვლა, რომელიც საჭიროა ნასესხები საგნების, იდეების, ცნებების სახელდებისთვის არ ხორციელდება [154]. არაპირდაპირი გადასვლა სხვადასხვა საშუალებით (ლიტერატურა, მასმედია და სხვა) ხორციელდება და ამ პროცესს არაპირდაპირი სესხება ჰქვია. გამოსაკვლევ ორ ენას შორის კონტაქტი შესაძლებელია აგრეთვე დამყარდეს მესამე ენის გავლით, რომელსაც შუამავალი ენა ეწოდება.

რეციპიენტ ენასა და დონორ ენას შორის პირდაპირი ან ირიბი კონტაქტი, იწვევს რეციპიენტი ენის ნეოლოგიზმებით შევსებას, რაც ამდირებს ამ ენის ლექსიკონს, კონკრეტულად კი, ადამიანის ცოდნის იმ სფეროებს, რომელთაც ენაში შემოსული ანგლიციზმები მიეკუთვნება. ენებში ანგლიციზმების რაოდენობა ადამიანის ცოდნის სხვადასხვა სფეროში განსხვავებულია. ეს დამოკიდებულია სხვადასხვა ერში ადამიანების საქმიანობაზე და ინგლისურ კულტურასთან, ცივილიზაციასთან მათ კონტაქტზე. რაც უფრო დიდია ორ ენას შორის შეხება, მით უფრო თავისუფალია სისტემების სესხება და მრავალმხრივია კონტაქტის სფეროები. საშუალო კონტაქტს შედეგად მიძღვება ენაში მოსდევს 1500-დან 2000 ანგლიციზმამდე. ძალიან ძნელია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს დასახელება, რომელზეც ინგლისურმა ენამ ლექსიკური ზეგავლენა იქონია. ინგლისური ენის გავლენის შედეგია ის, რომ მიძღვება ენა სესხულობს სიტყვებს, ახდენს მათ გარკვეულ ადაპტაციას. საბოლოოდ კი მათი ინტეგრირება ხდება ენა-რეციპიენტის ლექსიკონში.

შეუძლებელია დავასახელოთ ადამიანის ცოდნის ყველა სფერო, რომლიდანაც ანგლიციზმების სესხება განხორციელდა. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს, სადაც მრავლადაა ანგლიციზმები: საკვები და სასმელი; ცხოველები; ტანსაცმელი; ეკონომიკა, ვაჭრობა; ზომის ერთეულები; ჟურნალისტიკა, პოლიტიკა და სამართალი; ფილოსოფია და რელიგია; მედიცინა; მეცნიერება; საზღვაო ტერმინები და ნავიგაცია; სპორტი; კომპიუტერული ტექნოლოგიები; ტექნიკური ტერმინები და ა.შ.

ქვემოთ ცხრილის სახით შევეცადეთ წარმოგვედგინა ანგლიციზმების სხვადასხვა თემატური ჯგუფი მაგალითებით, რომლებიც ქართული ენის ლინგვისტური სისტემის მიხედვით განვითარდა და ადაპტირდა.

ცხრილი ნ. ანგლიციზმების თემატური ჯგუფები ქართულ ენაში

თემატური სფერო	ანგლიციზმის ნიმუშები
საკვები	ბეკონი, ბივშტექსი, ჯემი, პულინგი, სენდვიჩი
სასმელი	ბრენდი, ბურბონი, ვისკი
ცხოველები	ალიგატორი, ანტილოპა, ბულდოგი, კენგურუ, მუსტანგი
სპორტი	ბოულინგი, სეტი, ტაიმი, ფორვარდი

ტანსაცმელი	პულოვერი, სვიტერი, შორტები
ეკონომიკა	ბროკერი, ბიუჯეტი, ექსპორტი, იმპორტი, ინფლაცია, ბანკნოტი
საზომი	აკრი, ფუტი, გალონი, უნცია, იარდი
ენა და ლიტერატურა	სლენგი, ალიტერაცია, დაიჯესტი, ესსე
ჟურნალისტიკა	ინტერვიუ, ლიდერი
პოლიტიკა	აპარტიედი, კონფორმიზმი, იმპერიალიზმი, იზოლაციონიზმი, ლიბერალური, ლოიალური
სამართალი	ჟიური, ლიზინგი, ლინჩი, პეტიცია, სააპელაციო
ფილოსოფია	აკულტურიზაცია, ბიჰევიორიზმი, დარვინიზმი
რელიგია	ადვენტისტი, ანგლიკანური, პანთეიზმი
მუსიკა და ცეკვა	ბენდი, ბლუზი, ბრეიკი, ტვისტი
ტრანსპორტი	ანტიფრიზი, აერობუსი, კონტეინერი, ტრამვაი, ტროლეიბუსი, ვაგონი
საზღვაო თერმინები	ბარჟა, ბალასტი
კომპიუტერული ტერმინები	ბიტი, ბაიტი, ჩიპი, დისკი, დრაივერი, მოდემი, მონიტორი
ტექნიკური ტერმინები	კაბელი, ლაზერი, ლიფტი, რადარი
მიდიცინა	ანესთეზია, ანტიბიოტიკი, პენიცილინი, ვიტამინი
მეცნიერება	გრაფიტაცია, იზოტოპი
საზოგადოებრივი ცხოვრება	ბარი, ბრიჯი, კლუბი, ჰობი, პოკერი
კინო, რადიო, ტელევიზია	საკაბელო ტელევიზია, ლაივი, ოსკარი, რადიო, ვესტერნი
ამინდი	ციკლონი, ტაიფუნი
სხვა	კომფორტი, კავბოი, დენდი, ფლირტი, ფოლკლორი, პარკი, ნეილონი, პიკნიკი

3.1. ანგლიციზმების რაოდენობრივი ზრდა ბოლო

20 წლის განმავლობაში

უცხოური სიტყვები ძირითადად გაზეთების ფურცლებზე გვხვდება და ტელევიზორიდან გვესმის, სიუჟეტებში, რომლებიც ეძღვნება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებას, მოდას, მუსიკას, კინოს, სპორტს. თითქმის ყოველ ჟურნალისტს სიამოვნებს მკითხველის „დასაჩუქრება“ რაიმე ახალი სიტყვით. ასეთი სიტყვები და მთლიანი ფრაზებიც კი სწრაფად იქცევა შტამპად, და რასაკვირველია, „დაშტამპული“ ფრაზებით ლაპარაკიც და წერაც უფრო ადვილია. ასე რომ, ჟურნალ-გეზეთები და მასმედიის სხვა საშუალებები არის, ასე ვთქვათ, უცხოური სლენგის მთავარი აკუმულატორი.

ჩვენ შევეცადეთ დიაქრონიულ ჭრილში გაგვეანალიზებინა ანგლიციზმების რაოდენობრივი ზრდის საკითხი. ამისათვის ავიღეთ 1986 წელს გამოქვეყნებული სტატიები სპორტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ეკონომიკურ თემებზე, დავთვალეთ მათში ანგლიციზმებისა და ინტერნაციონალიზმების, რაოდენობა და გამოყენების სიხშირე. შემდეგ კი იგივე თემებზე მოვახდინეთ 2006 წლის გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების განხილვა; ორი სხვადასხვა პერიოდის მონაცემები შევადარეთ ერთმანეთს, რამაც საშუალება მოგვცა გაგვეკეთებინა დასკვნები.

თითოეული სტატიიდან აღებული იქნა 200 სიტყვიანი მონაკვეთის გაბმული ტექსტი გამორჩევის გარეშე. ჩვენთვის საინტერესო სიტყვები ტექსტში გამუქებულად არის წარმოდგენილი.

თავდაპირველად შევეცდებით განვიხილოთ კომპიუტერული ტექნოლოგიების სფერო. ამისათვის ავიღეთ სტატია „**კომპიუტერი სკოლაში მიდის**“, **თბილისი, 1986.**

„ . . . მართვის ავტომატიზებული სისტემები თავის მხრივ რამდენიმე ქვესისტემად იყოფა: დარგის პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვის, კადრების მართვის, მატერილურ-ტექნიკური მომარაგების, კაპიტალური მშენებლობის, საფინანსო, აღრიცხვისა და სტატისტიკის, ოპერატიული მართვის.

გამოთვლითი ცენტრი, თავის დროზე სკეპტიკოსთა ქილიკის მიუხედავად, დღეს დარგის ერთ-ერთი წამყვანი რგოლია. მარტო მის ქვესისტემებს რომ

გადავავლოთ თვალი, ადვილად წარმოვიდგენთ, რა უზარმაზარი ინფორმაცია ინახება „მეხსიერებაში“. მას შეუძლია გვიჩინოს, დაგვეხმაროს, გაანაწილოს, გადაარჩინოს და საერთოდ, შეასრულოს ყველა თეორიული სამუშაო, რომელსაც ადამიანი დაავალებს. მაგრამ მისი ძირითადი მიზანი მაინც მომავალი სპეციალისტების აღზრდაა.

აქ შექმნილია ეგრეთწოდებული საკონტროლო მაკორექტირებელი კურსები, რომელიც გულისხმობს სკოლის სასწავლო პროცესში ზოგადსაგანმანათლებლო საგნების მიხედვით ავტომატიზებული მასწავლებელი კურსების შემუშავებას და დანერგვას. ვისაც თავისი თვალთ არ უნახავს, ძნელია წარმოიდგინოს, რას ნიშნავს სასწავლო პროცესების ავტომატიზებული მასწავლი კურსები. შევეცდები ძალიან მოკლედ შეძლებისდაგვარად გადმოგცეთ მისი შინაარსი.

მოსწავლე მაქსიმალურად მოკლე დროში იღებს მაქსიმალურად მეტ ინფორმაციას. კლასში თექვსმეტი მოსწავლეა. ყველას მაგიდაზე უდევს ტელევიზორის ეკრანიანი გამომთვლელი მანქანა. ყველა ეს კომპიუტერი ჩართულია მასწავლებლის კომპიუტერთან, რათა მას ჰქონდეს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისა და კონტროლის საშუალება, გამოთვლითი მანქანა ათობით სხვადასხვა ოპერაციას ასრულებს. სპეციალური პროგრამებით ჩვენ შეგვიძლია იგი გამოვიყენოთ როგორც ტექნიკური (ფიზიკა, მათემატიკა, ალგებრა, ხაზვა ...), ისე ჰუმანიტარული საგნების შესასწავლად. მართალია, კომპიუტერის „კლავიატურის“ ათვისება, ერთი შეხედვით რთულია, მაგრამ თვით მანქანის პროგრამაში ჩადებული ისეთი „თამაშობანი“, რომელიც გვაიძულებს თითქმის გაუცნობიერებლად შევისწავლოთ იგი.

რაც მთავარია, მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და სიამოვნებით მუშაობენ მანქანებთან . . . “

როგორც ვხედავთ, 1986 წლის ტექსტი კომპიუტერის შესახებ არ გამოირჩევა დიდი რაოდენობის ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვებით. მიუხედავად ამისა გვხვდება სიტყვები კომპიუტერი (3 ჯერ), პროგრამა (2 ჯერ). ის, რასაც დღეს კომპიუტერული ცენტრი ჰქვია, სტატიაში მოხსენიებულია, როგორც გამოთვლითი ცენტრი, რუსულის გავლენით, რადგან ВЫЧИСЛИТЕЛЬНЫЙ ЦЕНТР, ВЫЧИСЛИТЕЛЬНАЯ ТЕХНИКА ამ დროს რუსულ ენაში გამოიყენებოდა.

ტექსტში შეგვხვდა სემანტიკური სესხების მაგალითიც *მეზსიერება*, თუმცა ჩანს, რომ ავტორი მთლად თამამად ვერ იყენებს ამ ტერმინს და იგი ბრჭყალებშია მოცემული. ეს სიტყვა დღესაც ფართოდ გამოიყენება, თუმცა არის ანგლიციზმის *მემორი* გამოყენების შემთხვევებიც.

ტექსტში გხვდება თანამედროვე კომპიუტერული სფეროსათვის საკმაოდ უცხო სიტყვათშესამებებიც: *საკონტროლო მაკორექტირებელი კურსები*, *ავტომატიზებული მასწავლებელი კურსები*. ასევე უცხოდ ჟღერს *ტელევიზორის ეკრანიანი გამომთვლელი მანქანა*. ეს თავის დროზე ოთხსიტყვიანი საგანი დღეს იწოდება ერთი სიტყვით *კომპიუტერი*. კომპიუტერის აღსანიშნად ტექსტში ასევე გამოიყენება *გამოთვლითი მანქანა* ან ზოგჯერ უბრალოდ *მანქანა*.

გხვდებით სიტყვებს *კლავიატურა* და *თამაშობანი*. ეს უკანასკნელი დღეს *კომპიუტერულ თამაშად* იწოდება.

ახლა კი განვიხილოთ ჩვენი დროის სტატია სახელწოდებით „ახალგაზრდული დაავადება - ფორუმი და ჩატი“ იგივე სფეროდან. გამოქვეყნებული გაზეთ „*რეზონანსში*“ № 78, შაბათი, 25 მარტი, 2006 წელი.

„ . . . თანამედროვე მსოფლიოს ახალგაზრდებისა და მათ შორის ქართველების, გართობის ერთ-ერთ საშუალებად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი **ინტერნეტ მომსახურება**, როგორცაა **ჩატი** და **ფორუმი**. ქართული **ჩატისა** და **ფორუმის** შემქმნელები აცხადებენ, რომ მათ საკმაოდ მრავალრიცხოვანი **მომხმარებელი** ჰყავს და იმითაც ამაყობენ, რომ ამ **მომსახურებით** ბევრი ადამიანის დამეგობრება მოხდა. განსხვავებული აზრი აქვთ ფსიქოლოგებს. მათი თქმით, **ინტერნეტ-მომსახურების** ეს სფერო ადამიანის სულიერ დეგრადირებას უწყობს ხელს.

ფორუმი შექმნილია **ონლაინ** ურთიერთობებისათვის, გამოცდილების გაზიარებისთვის, სხვადასხვა საკითხების განხილვისა და გადაჭრისათვის. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა იმ პირს, ვინც ამ წესებს ეთანხმება. **ფორუმის ადმინისტრაცია** არ იძლევა გარანტიას **ფორუმში** გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტეზე და სარგებლობაზე. ყოველი **პოსტინგი** გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორის აზრს და შეიძლება არ ემთხვეოდეს **ფორუმის** ადმინისტრაციის შეხედულებებს იმავე საკითხზე. **ფორუმის** მფლობელებს და **ადმინისტრაციას** არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზარალზე, რომელიც

შეიძლება იყოს გამოწვეული **ფორუმში** გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენებისა თუ გამოუყენებლობისათვის.

ფორუმის ადმინისტრაცია საიღუმლოდ ინახავს ფორუმის **მომხმარებლის** კონფიდენციალურ ინფორმაციას, მაგრამ ეს არ ვრცელდება იმ **მომხმარებლებზე**, რომლებიც უხეშად არღვევენ **ფორუმის** წესებს. "თბილისის ფორუმში" წესრიგისათვის თვალყურის დევნა **მოდერატორებს**, **სუპერ მოდერატორებს** და **ადმინისტრატორს** ევალებათ.

ფორუმში აკრძალულია, რომ ერთი **მომხმარებელი** ერთზე მეტი **ნიკით** დარეგისტრირდეს, **ადმინისტრატორს** შეუძლია გააუქმოს ასეთი **ნიკი**. ასევე **ადმინისტრატორს** შეუძლია და ამის სრული უფლებაც აქვს, რომ **ფორუმიდან** უცენზურო სიტყვების გამოთქმისთვის ესა თუ ის **ნიკი** ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე გააუქმოს.

ფორუმზე არანაკლებ საინტერესო და გასართობ საშუალებად შეიძლება **ჩატი** ჩაითვალოს . . . “

სტატიის მოცემული მონაკვეთი, რომელიც *ინტერნეტ ფორუმებს* ეხება, თავისთავად შეიცავს სიტყვას *ფორუმი* (13 ჯერ), რომელიც ძველი ინტერნაციონალიზმია, და რომელმაც კომპიუტერულ სფეროში ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ასევე შეიძლება ითქვას ახალი მნიშვნელობით არის გამოყენებული *მომსახურება* (3 ჯერ), ან *ინტერნეტ მომსახურება*. ინტერნეტის რაობა 1986 წელს ძნელი წარმოსადგენი იყო ადამიანებისათვის, ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენს მიერ განხილულ 1986 წლის სტატიაში ნახსენებ *გამოთვლით ცენტრში* ინტერნეტის და მით უმეტეს DSL-დაკავშირების შესახებ არაფერი იციან. მოდიფიცირებული მნიშვნელობები აქვთ აგრეთვე ინტერნეტ-ფორუმთან დაკავშირებულ შემდეგ სიტყვებს: *ადმინისტრატორი* (5 ჯერ), *მომხმარებელი* (3 ჯერ).

სტატიაში მოცემულია აგრეთვე უახლესი ანგლიციზმები: *ჩატი* (3 ჯერ), *ონლაინ*, *პოსტინგი*, *მოდერატორი* (2 ჯერ), *ნიკი* (3 ჯერ).

სპორტულ სფეროში ანგლიციზმების დიაქრონიული შესწავლისათვის ფეხბურთი შევარჩიეთ და 1986 წლის 19 ოქტომბრის სპორტულ გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთერთი მატჩის მიმოხილვა ავირჩიეთ:

„ . . . თბილისის დინამოელებს 26-ე **ტურისთვის** საუკეთესო პერსპექტივები გააჩნდათ. მთელი სეზონის ხანგრძლივი, მეტად კრიზისული მდგომარეობის შემდეგ ჩვენმა პირველმა გუნდმა, როგორც იქნა, გამოავლინა თავისი პოტენციური შესაძლებლობანი, აამოქმედა მთელი რეზერვები და სტუმრად თუ შინ ზედიზედ 4 გამარჯვება მოიპოვა. როცა ქულათა ძველ მარაგს ეს ახალი 8 ქულა დაემატა, თბილისელებმა გათამაშების ცხრილში III ადგილზე გადაინაცვლეს და გუნდის **გულშემატკივრებს** სრული საფუძველი მიეცათ ეფიქრათ თბილისის „დინამოს“ აღორძინებაზე. ეს 8 ქულა დინამოელთათვის არავის უჩუქნია, კოლექტივი ყოველ **მატჩში** თავგამოდებით იბრძოდა, ყოველმხრივ მობილიზებული და საბრძოლოდ შეთამაშებულნი ჩანდნენ ვეტერანების, ახალგაზრდების გუნდის თამაშის ხარისხი, მისი კლასი რეალურ საფუძველს გვიქმნიდა საიმისოდ, რომ უკვე წლევეანდელ ჩემპიონატში მოწინავე პოზიციებზე გვეფიქრა და ევროპის მომავალი **საკლებო** გათამაშებისათვის უეფას-ს **ტურნირის** საგზურზე აგველო ორიენტაცია.

ვიმეორებთ: დინამოელთა მიერ ბოლო 4 **ტურში** მოპოვებული გამარჯვებები იმედს გვაძლევდა, რომ მძიმე ჩავარდნა განვლილი ეტაპია, თბილისის „დინამო“ კვლავ „დინამოდ“ რჩებოდა.

მაგრამ მინსკის „დინამოსთან“ 17 ოქტომბერს ესოდენ უსუსურად, უმწოდ ჩატარებულმა **მატჩმა** სრული სიცხადით ნათელჰყო, რომ საიმედო აღორძინებამდე ჩვენს გუნდს ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი აკლია. საკმარისი გახდა იგი ექსტრემალურ ვითარებაში შეხვედროდა შეუპოვარი ბრძოლისთვის პრინციპულად განწყობილ მეტოქეს, რომ მთელს ჩვენს იმედებს ცივი წყალი გადაესხა.

არავითარ შემთხვევაში არ გვინდა წუთით მაინც ვიფიქროთ, რომ ახლანდელი თბილისის „დინამო“ თავისი კლასით, თამაშის საერთო ხარისხით ისე ჩამორჩა მინსკის „დინამოს“, რომ 4 ბურთი დათმო ბელორუსიის დედაქალაქში, თუნდაც იმ სიტუაციაში, როცა გუნდს აკლდნენ გაბელა და სულაქველიძე. კლასი ამ შემთხვევაში არაფერ შუაშია, საქმე, მისი ვითარება, ჩვენი აზრით, უფრო „პროზაული“ მიზეზით აიხსნება . . . “

როგორც ვხედავთ 20 წლის წინანდელი სტატია ანგლიციზმების სიმრავლით არ გამოირჩევა და მხოლოდ ის სპორტული ტერმინები გამოვყავით, რომლებიც კარგა ხანია უკვე ანგლიციზმად აღარ ითვლება და სპორტული

ტერმინოლოგიის რიგითი სიტყვებია: *ტური* (2 ჯერ), *მატჩი* (2 ჯერ), *ტურნირი*, *საკლუბო*. გვხვდება სიტყვა *გულშემატკივარი*, რომელიც დღესაც გამოიყენება, თუმცა *ფანის* სახით მას სინონიმაც გაუჩნდა.

ახლა კი მოდით გამოვიკვლიოთ 2006 წლის სტატია „იტალიამ გერმანია ისევ გააბურთავა“, „სარბიელი“ № 52, ხუთშაბათი, 9 მარტი, 2006 წელი.

„ . . . ჩემპიონთა **ლიგის საპლეიოფო** ეტაპზე უმნიშვნელო თამაშები აღარ არის, ყველა მნიშვნელოვანი და გამორჩეულია, თუმცაღა მათგანაც შეიძლება უფრო მეტად მნიშვნელოვანთა გამორჩევაც. ჩვენთვის ასეთი თამაში, რაღა თქმა უნდა, ის **მატჩი** იყო, "სან სიროზე" რომ გაიმართა და მასპინძელთა **ფანობა** რომ გაახარა.

"მილანის" გასახდელში, ჩვენი დაკვირვებით, **მატჩის** წინ დაბნეულობა სუფევდა. თამაშის დაწყებიდან რვა წუთში კი დაბნეული "ბაიერნი" დარჩა. სერჟინიოს **ფლანგურ პასზე** შევჩენკო და ინმაგი წავიდნენ, **საგოლე** თავური კი იტალიელისა იყო.

მაღევე ინმაგი გერმანელთა საჯარიმოში წაიქცა. იტალიელთა ვერსიით, ის წააქციეს, ბაიერნელთა რწმენით კი ინმაგიმ წაიმსახიობა. **არბიტრმა** ივანოვმა ინმაგის მსახიობობა არ ირწმუნა და **პენალტი** დანიშნა. შესრულება შევჩენკომ ითავა და ბურთი კარს ააცილა, რისთვისაც ოლივერ კანისგან ნიშნის მიგება დაიმსახურა - არამი **პენალტი** არ შეგერგო.

უპრიანი კი იქნებოდა, კანი ჩუმად ყოფილიყო, რაკი ცოტა ხანში შევჩენკომ **გოლი** მაინც გაუტანა - 2:0.

ეს ანგარიში, ფაქტობრივად, თამაშის პირველ **ტაიმშივე** მოგებას ნიშნავდა, მაგრამ **მეკარე** დიდად "ბაიერნს" იმედი გაუხანგრძლივა - ბასტიან შვაინსტაიგერის საჯარიმო დარტყმას ვიწრო ცოცხალი კედელი აღუმართა. ღონივრად დარტყმული ბურთი კედელს იოლად აცდა, ვერც დიდად შეიმაგრა ხელში და დამატებაზე ისმაელმა ერთი **გოლი** გაქვითა. ეს **გოლი** კი, თავის მხრივ, საინტერესო მეორე **ტაიმს** გვპირდებოდა.

მაგრამ ინტრიგა თამაშის განახლებისთანავე დაიკარგა - სტუმარმა მცველებმა სრულიად მიუტევებელი შეცდომა დაუშვეს და ინმაგის კიდევ ერთხელ მისცეს თავის გამოჩენის შანსი, რასაც კაკამ მალე მეოთხეც მიაყოლა და ბოლო 30 წუთი ფორმალობადლა იქცა . . . “

პირველი, რაც თვალში საცემია ამ ორი სტატიის წაკითხვის შემდეგ, ის დინამიურობაა, რაც 2006 წლის სტატიას ახასიათებს. ის უფრო საინტერესოდ იკითხება, ავტორი თითქოს ცდილობს მკითხველი სტადიონზე გადაიყვანოს. 1986 წლის სტატიის პესიმისტური განწყობის მიზეზი ისიც არის, რომ ავტორი „ჩვენი“ გუნდის წაგებაზე საუბრობს. ახალი სტატია კი ოპტიმისტური ჟღერადობისაა. მასში, როგორც მოსალოდნელი იყო, ანგლიციზმებიც მეტია. არის ისეთები, რომლებიც დიდი ხნის შემოსულია და 20 წლის წინათაც გამოიყენებოდა: *მატჩი* (2 ჯერ), *პასი*, *გოლი* და *საგოლე* (4 ჯერ), *პენალტი* (2 ჯერ), *ტაიმი* (2 ჯერ). გვხვდება 90-იან წლებში შემოსული ანგლიციზმებიც: *ლიგა*, *საპლეიოფო*, *ფანობა*, *არბიტრი*. სტატიაში გამოყენებულია *მეკარე*, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ *გოლკიპერი* სულ უფრო ხშირად გვესმის ამ სიტყვის სინონიმად. ჩვენი აზრით იმის მიზეზი, რომ მეკარე კონკურენციას უწევს გოლკიპერს არის ის, რომ უცხოურ სიტყვასთან შედარებით *მეკარე* უფრო მოკლეა. *გოლკიპერის* პლიუსად კი შეიძლება ჩავთვალოთ ის, რომ საერთაშორისოდ მიღებული ტერმინია.

ასევე აშკარაა, რომ ანგლიციზმები აქტიურად აწარმოებენ სხვადასხვა გრამატიკული კატეგორიის ახალ სიტყვებს, სტატიაში შევხვდით წარმოებულებს: *საგოლე*, *საპლეიოფო*, *ფლანგური*, *ფანობა*.

ზემოთ მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დავასკვნათ, ოცი წლის შემდეგ სპორტულ სფეროში ანგლიციზმების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მათი გამოყენების სიხშირეც მაღალია.

ძალზედ ძნელი საქმე აღმოჩნდა 1986 წლის გაზეთებში ეკონომიკური სახის სტატიის შერჩევა, რადგან იქ სადაც საუბარია ეკონომიკაზე არ ჩანს ეკონომიკური ანალიზი, რასაც დღეს ვხვდებით გაზეთის ფურცლებზე. იმ დროინდელი ეკონომიკური სტატიები კი ძირითადად სოციალიზმის მიღწევების ხოტბით შემოიფარგლება. მიუხედავად ამისა ავიღეთ მონაკვეთი ერთი სტატიიდან, სადაც საუბარია იმ დროინდელ სიახლეზე ბაზრობის სახით.

„ბაზრობა – ხარისხის განმსჯელი“, („თბილისი“, 15 სექტემბერი, 1986):

„ . . . დედაქალაქში ბევრგან იყიდება კიროვის რაიონის საწარმოების ნახელავი. მაღაზიებზე მიმაგრებული მათი წარმომადგენლები სწავლობენ კონიუნქტურასა და მომხმარებლის ნება-სურვილებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ გაფართოვდა ახალი პროდუქციის ასორტიმენტი, გაუმჯობესდა რიგი ნაწარმის

ხარისხი და „მწვანე შუქი“ ეძლევა ეგრეთწოდებულ ზენორმატიულ საქონელსაც. პარტიის რაიკომისა და რაიაღმასკომის ენერგიული მეცადინეობით დარგთაშორისი ტერიტორიული გაერთიანების სამმართველომ მიაღწია 4 მილიონი მანეთის ზენორმატიული საქონლის რეალიზაციას. რაიონის მშრომელებმა წლეულს **მომხმარებელს** მიაწოდეს 110 დასახელების ახალი ნიმუში.

გაძლიერდა გამოცდილების გაფართოების, **კონიუნქტურის** უკეთ შესწავლისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება. ერთ-ერთი მათგანია რაიონული გამოფენა-გაყიდვა. ამას წინათ დედაქალაქელები გახდნენ მწარმოებლების, ვაჭრობის მუშაკებისა და **მომხმარებელთა** ახლებური ურთიერთობის მოწმენი და მონაწილენი. გორგასალის მოედანზე სახელდახელოდ გაწყობილ ფარდულებში მაღაზიებმა გამოიტანეს ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალას“, სამკერვალო ფაბრიკების „ამირანის“, „ნადიკვრის“, საბავშვო ტრიკოტაჟის, წინდის საწარმოო გაერთიანება „კრწანისის“, საფეიქრო-საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშირელის“, კამოს სახელობის სამსხმელო მექანიკური ქარხნის, რეზინ-ტექნიკური და ქიმიური ნაწარმის ქარხნის, უსინათლოთა საზოგადოების სასწავლო-საწარმოო წამოწყების „ფონიჭალის“ ნაწარმი. იმის მიუხედავად, რომ ექსპონატებისათვის წინასწარი რეკლამა არ გაუწევიათ, ბაზრობა-გამოფენას ხალხი ბლომად ჰყავდა. ათობით თბილისელმა წინადადებებისა და შენიშვნების წიგნებში ჩაწერა მადლობის სიტყვები. ყოველ სავაჭრო ფარდულს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივისტები, საწარმოების მოწინავენი მიამაგრეს. ისინი მყიდველებთან საუბრით არკვევდნენ, რამდენად მოსწონთ წარმოდგენილი თუ შეძენილი ნაწარმი, რა სიახლეს მოელონ 1987 წელს. ბევრმა **მომხმარებელმა** ისურვა მუდმივი გახდეს ვაჭრობის ასეთი ფორმა. სულ რაღაც რამდენიმე საათში გაიყიდა ათასამდე მამაკაცის რეზინის ფეხსაცმელი – რეზინ-ტექნიკური და ქიმიური ქარხნის ნაწარმი. სწრაფად გასაღდა ფონიჭალელთა მიერ მოწოდებული 15 ათასამდე ქილის ხუფი . . . “

სტატიაში ესოდენ ხშირად ხმარებული სიტყვა *კონიუნქტურა* დღეს თითქმის აღარ გამოიყენება. მას ჩაენაცვლა *ბაზრის მოთხოვნილება*. ტექსტში მიღებულ ტერმინად გამოიყურება *მომხმარებელი* (4 ჯერ), თუმცა *კლიენტი* და *კლიენტურაც* არ იყო უცხო ამ პერიოდის ქართული ენისათვის.

შესადარებელი მონაკვეთი სტატიიდან „ახალი ენერგეტიკული იმედი“ („კვირის პალიტრა“, 27 მარტი – 2 აპრილი, 2006, გვ. 27) 21-ე საუკუნის საქართველოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტზე მოგვითხრობს:

„ . . . საქართველო-უკრაინა-ევროკავშირის გაზსადენი (GUEU), რომლის მშენებლობას ამერიკული კონსორციუმი იწყებს და რომელზეც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დიდ იმედებს ამყარებს, საქართველოსთვის გაზის მიღების კიდევ ერთი ალტერნატიული წყარო უნდა გახდეს. „მომავლის პროექტი“, როგორც ამ გაზსადენს უწოდებენ, საქართველოს ბუნებრივი აირის **სატრანზიტო** ქვეყნად აქცევს და, ბუნებრივია **ფინანსურ** სარეგებელსაც მოუტანს. პირველ ყოვლისა, რუსეთზე დამოკიდებულების ხარისხს შეამცირებს და ჩრდილოელ მეზობელს საქართველოზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტსაც გამოაცლის ხელიდან.

ახალ გაზსადენს მოწინააღმდეგეები უკვე გამოუჩნდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, რუსეთში. მოსკოვში კეთდება განცხადებები, რომ ევროპული გაზსადენი ტექნიკურად რთული განსახორციელებელი და არა-მომგებიანი იქნება, რადგან მან შავი ზღვის ფსკერზე „ცისფერ ნაკადად“ წოდებული გაზსადენი უნდა გადაკვეთოს, რომელიც გაზპრომის საკუთრებაა.

ტექნიკური პრობლემები შავი ზღვის ფსკერზე მილსადენის გატარებასთან დაკავშირებით მართლაც არსებობს. იმის გამო, რომ შავ ზღვაში დიდი მილების ჩადება შეუძლებელია, ამ მონაკვეთზე შედარებით მცირე დიამეტრის მილებს გამოიყენებენ, რის გამოც გაზსადენის გამტარუნარიანობა გარკვეულ წილად შეიზღუდება. ერთი მილის გამტარუნარიანობა წელიწადში 8 მილიარდ კუბურ მეტრ აირზე მეტი იქნება. თუმცა, შესაძლოა, ზღვის ფსკერზე რამდენიმე მილი ჩაიდოს და გაზსადენის გამტარუნარიანობა 32 მილიარდ კუბურ მეტრამდეც გაიზარდოს.

გაზსადენის პირველი ფაზის მშენებლობა წინასწარი გათვლებით მინიმუმ 2 მილიარდი დოლარი დაჯდება. პროექტის **დამფინანსებელთა** სავარაუდო ვინაობა ჯერ არ სახელდება. **კონსორციუმის** წარმომადგენელთა თქმით, რომელიმე **კომპანიის** დასახელება **კონკურენტებს** არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს. **კონსორციუმის** ერთ-ერთი დირექტორის გიორგი ვაშაყმაძის თქმით, მილსადენის არსებობით ბევრი ქვეყანაა დაინტერესებული, ამიტომ **ფინანსების** პრობლემა ამ პროექტს არ შეექმნება . . . “

როგორც ვხედავთ, ეკონომიკის სფეროშიც იგრძნობა ანგლიციზმების მომძლავრება, თუმცა ისიც კარგად ჩანს, რომ კომპიუტერულ სფეროსთან შედარებით მათი რაოდენობა მაინც მცირეა. ეკონომიკის სფეროში უმეტესად ინგლისური ეკონომიკური ტერმინების სესხება მოხდა და აქ ნაკლებად შევხვდებით ჟარგონულ სიტყვებს, რაც ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს უხვად გააჩნია.

საყურადღებოა, რომ სტატიაში რამდენჯერმე არის გამოყენებული სიტყვა *ფინანსი*, რომელიც უმეტესად მრავლობით რიცხვში იხმარება (*ფინანსები*) და მისგან ნაწარმოები *დამფინანსებელი*, *ფინანსური*. ნელოგიზმია *კონსორციუმი*ც (2 ჯერ) და *კომპანია*ც. 1986-ში იშვიათად გაიგონებდით სიტყვა *კონკურენტსაც*, რომელიც დღეს ბიზნესის სფეროში ერთ-ერთი ხშირად ხმარებადი ტერმინია.

ჩვენს მიერ ასევე შესწავლილია პოლიტიკური შინაარსის სტატიებიც. დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკურის მსგავსად პოლიტიკურ სფეროშიც მოხდა საკმაო რაოდენობის ანგლიციზმების სესხება, რომლებიც ძირითადად საერთაშორისო ტერმინებს წარმოადგენენ.

მიღებული შედეგებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ბოლო 20 წლის მანძილზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სფერო, და ჩვენი ვარაუდით საერთოდ ტექნიკის, ანგლიციზმების ყველაზე ინტენსიური მიმღებია. ეს ანგლიციზმები, მარტო კომპიუტერთან მუშაობისათვის აუცილებელი ტერმინები კი არ არის, არამედ ჟარგონული და ნაკლებად ინტეგრირებული ინგლისურენოვანი სიტყვები და სიტყვათა ჯგუფებიც კი.

3.2. კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

XXI საუკუნის დასაწყისში ელექტრონული გამომთვლელი მანქანიდან (ეგმ) კომპიუტერი მძლავრ მულტიმედირ საშუალებად განვითარდა, რომელიც ადამიანის საქმიანობის მრავალი სფეროს განუყოფელი ატრიბუტია. წერა-კითხვის მსგავსად კომპიუტერის გამოყენების საფუძვლების ცოდნა თითოეული ადამიანისთვის სულ უფრო აუცილებელი ხდება. პირველ რიგში კი კომპიუტერი უდიდეს დახმარებას უწევს მეცნიერებს. თავდაპირველად ხომ ასეც იყო განსაზღვრული – კომპიუტერი

განიხილებოდა მეცნიერის დამხმარე ინსტრუმენტად, რომელიც გააფართოვებდა მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. თუმცა თავისი გავრცელებით ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა და კომპიუტერებმა ბევრად გადაჭარბეს ყველაზე თამამ პროგნოზებსაც კი. უკვე დღეს მილიონობით მომხმარებლისთვის კომპიუტერი არის სამუშაო იარაღი, შუამავალი კომუნიკაციის პროცესში, გზამკვლევი ვირტუალურ რეალობაში.

ისტორიულად ისე მოეწყო, რომ ინფორმაციასთან სამუშაო ყველაზე პროგრესული ტექნოლოგიები ყველაზე მეტად იმ ქვეყნებში განვითარდნენ, სადაც ამისთვის იყო სასურველი საინვესტიციო კლიმატი. მსოფლიო კომპიუტერიზაციის ფლაგმანი ამერიკის შეერთებული შტატები გახდა, რომელმაც თავისი არსით არავერბალურ ტექნოლოგიაში შემოიტანა ინგლისური ენა. ფაქტია ისიც, რომ მანქანის დონეზე კომუნიკაცია ხორციელდება სიმბოლური ენის (მანქანური კოდები) ფორმით, რომელიც საერთოდ არ გამოირჩევა ბუნებრივ ენასთან მსგავსებით. მიუხედავად ამისა, ინგლისური ენა გახდა ერთერთი ფაქტორი, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების მომხმარებლებზე მოქმედებს მთელს მსოფლიოში. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ინგლისური ენისა და კომპიუტერიზაციის საინლოვე განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. თუმცა ნებისმიერ დამწყებ მომხმარებელს შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ინგლისური კომპიუტერის მშობლიური ენაა [125].

ერთ დროს კომპიუტერს და ინტერნეტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, იმ დიდი სამსახურის იმედით, რომელსაც ისინი კაცობრიობას გაუწევდა. ეს ასეც არის, თუმცა ბოლო ხანებში მათ სიფრთხილით ეკიდებიან და ხშირად საუბრობენ კომპიუტერის ნეგატიურ გავლენაზე. ჩვენთვის საინტერესოა პერსონალური კომპიუტერის გავლენა ქართულ ენაზე, როგორც სისტემაზე. ფაქტია, რომ ეს გავლენა არსებობს და მისი მოქმედების ქვეშ ექცევა როგორც სამეტყველო ქმედების სტერეოტიპები, ისე ინდივიდის ენობრივი ცნობიერება [142].

ახლა კი შევეცდები, გავერკვეთ, რა შეხების წერტილები გააჩნია ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ბუნებრივ ენას. ხდება თუ არა ქართული ენის თანდათანობითი ნგრევა და დევრადაცია, მისი გამოდევნა გამარტივებული ინგლისურით, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უგულვებელყოფა. ბევრი

უკვე დღეს პასუხობს ამ კითხვებზე დადებითად. თუმცა ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას.

კომპიუტერი უნიკალური მოვლენაა ადამიანის კულტურული ყოფის პრაქტიკაში. ამიტომაც „გამომთვლელი მანქანების“ გვერდით ჩნდება ტერმინოლოგია, რომელიც ემსახურება ახალ საგნობრივ სფეროს. პერსონალურმა კომპიუტერებმა ძალზედ სწრაფად დაიმკვიდრეს კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში და სრულიად განსხვავებული სოციალური შრეების წარმომადგენლები მომხმარებლებად და პროგრამისტებად აქცია.

კომპიუტერული სლენგი ისე, როგორც თავად ინფორმაციული ტექნოლოგიები, განიცდის ინგლისური ენის ზეგავლენას (იხ. დანართი გ). ხშირად საქმე გვაქვს ინგლისურენოვანი ტერმინების ტრანსლიტერაციასთან ან კალკირებასთან. კომპიუტერის სპეციალისტების მეტყველებაში ხშირად გვეხმის ისეთი ჟარგონული გამოთქმები როგორცაა: *ვინჩესტერი, კომპი, მაზერი, ქენსელ, ივორი, ოქეი, რესტარტი, ფოლდერი, ფონტი, ჰელპი, მაუსი, სეივი (დასეივება), სერჩი* და ა.შ.

ინტერნეტის გაჩენასთან ერთად რეალობად იქცა კომუნიკაციის და სამეტყველო ქმედების ახალი ფორმები. ინტერნეტი უმეტესად წერილობითი ურთიერთობის სივრცეა, რადგან ხმოვანი შეტყობინებების გაცვლის საშუალებები აქ დღესდღეობით ძალზედ შორსაა სრულყოფილებისგან. პრინციპული მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ ინფორმაციას. ლინგვისტიკისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენენ ჩატები და ფორუმები, რომელთაც მყარი ადგილი დაიკავეს „ინტერნეტ აუდიტორიის“ ცნობიერებაში. მსგავსად ტექსტური შეტყობინებების სინქრონულად გაცვლის პროგრამები, კერძოდ ICQ (აისიკიუ), Skype (სკაიპი) და სხვა მსგავსნი. დიდ პოპულარობას იხვეჭს ეგრეთწოდებული ინტერნეტის სოციალური ქსელები (Facebook, Одноклассники). ასეთ ჩატებში კომუნიკაცია შესაძლებელია რეალურ დროში, რაც საშუალებას იძლევა გაგაკეთოთ ანალოგია ზეპირმეტყველებასთან, რომლის მონაწილეებმაც მოულოდნელად დაიწყეს საკუთარი აზრების ჩამოყალიბება წერილობითი ფორმით. წერილმეტყველებას ტრადიციულად გააჩნია რიგი თავისებურებები ზეპირთან შედარებით: ის უფრო მეტად მომზადებულია, ფართოდ გაშლილია, შიგატექსტური კავშირის ორგანიზაციის საშუალებებს მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ინტერნეტში არსებითად

წერილობითი ტექსტი წევს ჩატის კომუნიკანტ-მონაწილეებისთვის ზეპირი ურთიერთობის სამსახურს. ჩატში მასიური მომხმარებლისთვის კომუნიკაციის პრაგმატული მიმართულებაა არა იმდენად ინფორმაციის გაცვლა, არამედ „ნეტში“ საკუთარი ყოფნის დაფიქსირება და აზრის გამოთქმა. ამას მოწმობს მრავალი ჩატის ლისტიინგი – ერთგვარი სტენოგრამა, რომლებიც უფრო კომუნიკანტთა თვითგამოხატვის მაგალითებია, ვიდრე ინფორმაციის გაცვლის ქრონიკა [143].

ჩატებისაგან განსხვავებით ფორუმები და ეგრეთ წოდებული ბლოგები (blog = web log) უმეტესწილად ორიენტირებულია დროში გადავადებულ კომუნიკაციაზე. ტოვებს რა შეტყობინებას, ფორუმის მონაწილეს იმედი აქვს, რომ მიიღებს გამოხმაურებას არა მყისიერად, არამედ რამდენიმე საათის ან დღის გასვლის შემდეგ. თავად შეტყობინებათა ჯაჭვისაგან შემდგარი ფორუმი კი, უფრო მეტად ორიენტირებულია ინფორმაციის გაცვლაზე. ფორუმებზე მიზანმიმართულად ხდება აზრის გამოთქმა განსაზღვრული თემატიკის გარშემო: გამოცდილების გაზიარება, დახმარება პრობლემის გადაწყვეტაში, საიტის მასალების განხილვა. ფორუმი ყოველთვის დიალოგია მოცემულ თემაზე.

კომპიუტერში ცვლილებას განიცდის თვით ტექსტის ფორმა. ტექსტი იძენს არასწორხაზოვან ხასიათს, იქცევა თავისუფალ გარემოდ, რომელიც საშუალებას აძლევს მკითხველს გადაადგილდეს დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილებს შორის. ტერმინი დოკუმენტი შემთხვევით არ არის გამოყენებული. ვებსაიტის გვერდი არ არის ტექსტი თავდაპირველი გაგებით, არამედ სხვადასხვა ნიშანთა სისტემების ურთიერთქმედებაა. გვერდზე მოთავსებულ ტექსტში შესაძლოა იყოს ბმულები სხვა ტექსტებზე, ასევე შესაძლოა ჩართული იყოს აუდიო ან ვიდეო რგოლები. ინტერნეტში კომუნიკაციის ყველა ნახსენები თავისებურება განპირობებულია მსოფლიო კომპიუტერული ქსელის, როგორც ინფორმაციული სივრცის, თავისებურებებით. ინტერნეტი აგებულია განსხვავებულ პრინციპებზე, ვიდრე თანამედროვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ის უარყოფითად უყურებს იერარქიულ პირამიდულ სტრუქტურებს ყველაფერში, დაწყებული სახელისუფლებო ინსტიტუტებიდან დამთავრებული ენობრივი სისტემით. იერარქიის სანაცვლოდ აქ გვაქვს ჰორიზონტალური სტრუქტურები. ნორმა, როგორც ბუნებრივი ენის მასისტემატიზებული ფაქტორი, განიცდის ყველაზე დიდ დარტყმას მსოფლიო კომპიუტერულ ქსელში, სადაც ენას სრული თავისუფლება ეძლევა. აქედან

გამომდინარეობს ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების უგულებელყოფა და ჟარგონის მოძალება. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ინგლისური ენის და მასთან ერთად ენობრივ ცნობიერებაში შემოსული კულტურული ღირებულებების ასეთი ზეგავლენა საშუალებას აძლევს ქართულ ენას გააცნობიეროს საკუთარი ძლიერი მხარეები და ღირებულებები. ჩვენის აზრით ბუნებრივი ენისა და კომპიუტერის, როგორც სიმბოლოების მანქანის, ურთიერთობას არ მოსდევს მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიური შედეგები. კომპიუტერმა ზოგადად, კონკრეტულად კი ინტერნეტმა მოიტანა ენის არსებობის ახალი ფორმები, კომუნიკაციის ახალი ხერხები, სამეტყველო ქმედების ახალი სტერეოტიპები. კომპიუტერი არ უნდა განვიხილოთ როგორც ზიანის მომტანი რეალობა, არამედ ის არის სწრაფი, მრავალმხრივი და ამომწურავი ინფორმაციაზე სოციუმის გაზრდილი მოთხოვნების პროდუქტი. სწორედ ასეთი განწყობით უნდა მივუდგეთ ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთქმედების სოციო-კულტურული ასპექტების შესწავლას. ეს მოგვცემს საშუალებას შევისწავლოთ ენობრივი განვითარების აქტიურად მიმდინარე პროცესები და ვიწინასწარმეტყველოთ ტენდენციები.

ინფორმაციული ტექნოლოგიები შემოიჭრნენ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების სრულიად განსხვავებულ სფეროებში. მათ აქტიურ ზემოქმედებას განიცდის ენა, როგორც სისტემა და როგორც კომუნიკაციის საშუალება. დღესდღეობით თანამედროვე კომპიუტერული სამყაროს რეალობას შეჯახებას თავს ვერ არიდებს ამ სამყაროსთან კავშირის არ მქონე რიგითი მოსაუბრეც კი.

ადამიანების მნიშვნელოვანი რაოდენობა დღეს პერსონალური კომპიუტერის ცნებას აიგივებს წერტილთან, საიდანაც მსოფლიო კომპიუტერულ ქსელთან დაკავშირება არის შესაძლებელი. ინტერნეტი ერთგვარი უნიკალური პოლიგონია, სადაც ხორციელდება ბუნებრივი ენის გამოცდა. ინტერნეტის ქართულენოვანი სექტორი მომხმარებელთა აქტიური ზრდის სტადიაშია, თუმცა ზრდის ტემპი ამ მიმართულებით არათანაბარი ხასიათისაა. აშშ-ში სულ უფრო ხშირად საუბრობენ საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფაზე, მათზე, ვისაც აქვს ინტერნეტთან კავშირი, და მათზე, ვისაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, ეს კავშირი არ გააჩნიათ. საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიები მხოლოდ დიდ ქალაქებს მოიცავს, ცენტრებიდან მოშორებულ ადგილებში კი კომპიუტერი უცხო ხილია, ინტერნეტთან კავშირი კი – ფაქტიურად შეუძლებელი.

ადამიანთა ის ჯგუფი, ვინც ინტერნეტის ქართულენოვანი სექტორით სარგებლობს უშუალოდ ჩართულნი არიან ბუნებრივ ენაზე გლობალური ექსპერიმენტის პროცესში. ევოლუციური პროცესების ყველაზე შესაძინევი გამოვლინება გახდა კომპიუტერული სლენგის როგორც ქვე-ენის (ენის ქვე-სისტემის) ჩამოყალიბება, რომელიც თავდაპირველად მოწოდებული იყო ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტებს მომსახურებოდა. შემდგომ ამ სოციალურმა ჯგუფმა შეიძინა დიფუზიური ხასიათი: სლენგი გამოიყენება სპეციალისტების, კომპიუტერის სხვადასხვა დონის მომხმარებლებისა და კომპიუტერული თამაშების მოყვარულთა მეტყველებაში [90].

ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს ზრდა-განვითარებასთან ერთად მასში ჩნდება ჟარგონიზმები. ინგლისური ენის უშუალო ზეგავლენის ქვეშ ფორმირებული ქართული კომპიუტერული ჟარგონი ითვისებს ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს ტრანსლიტერაციის გზით (*ჰელპი, პრევიუ, ტოპიკი, პოსტი*). თუმცა მთლიანი ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის შესება არ ხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ პერსონალური კომპიუტერების გამოჩენამ ენაში დიდი რაოდენობის სპეციალური სიტყვა და გამოთქმა, მდიდარი ტერმინოლოგია შემოიტანა. მაგალითად: ქსელის კარტა, მიკროპროცესორი, ოპერაციული სისტემა, დაფორმატება, ინსტალაცია, ვინჩესტერი, პიქსელი, დიალოგური ფანჯარა, ობიექტი და ა.შ. ამ ტერმინთაგან მრავალი – ანგლიციზმია, თუმცა არც ისე იშვიათად ახალი ცნებების კალკირება-თარგმნა ხდება.

უნდა ითქვას, რომ ათი წლის წინანდელი ჟარგონიზმები უკვე უცნობია მომხმარებელთა უდიდესი ნაწილისთვის, რომლებიც ახლა იწყებენ კომპიუტერთან მუშაობას. კომპიუტერული სლენგი განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას. სლენგი საერთოდ ენის ლექსიკის ყველაზე ცვლადი შრეა.

კომპიუტერულ მეცნიერებასა და წარმოებასთან ერთად საქართველოში ვირტუალური გასართობებიც შემოვიდა: კერძოდ, კომპიუტერული თამაშები. თანამედროვე კომპიუტერული თამაში – რთული ორგანიზმია, რომელიც მოთამაშისგან გარკვეულ პროფესიონალიზმს მოითხოვს. თამაშები იყოფა ტიპებად, რომლებმაც სპეციფიური სახელები მიიღეს (მაგალითად: სტრატეგია, არკადა და ა.შ.), და ამ თამაშებს ხშირად სჭირდებათ მრავალი სპეციალური ტერმინი

სხვადასხვა სათამაშო პროცესის აღსანიშნავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც თამაში ქსელურია, ანუ როდესაც შესაძლებელია რამდენიმე ადამიანმა ერთდროულად მიიღოს მასში მონაწილეობა სხვადასხვა კომპიუტერზე [194].

სიტყვა „გეიმერი“ მოდის ინგლისური ჟარგონიზმისგან (gamer – კომპიუტერული თამაშების პროფესიონალი მოთამაშე). სიტყვაში „სმაილიკი“ (smily – მომღიმარე სახე, რომელიც ნიშნების შემდეგი თანმიმდევრობით გამოისახება :-)) და მოსაუბრის ემოციას გამოხატავს), აღინიშნება რუსული ენის გავლენა, თუმცა ინტერნეტში უკვე ხშირად გვხვდება გაქართულებული „სიცილაკი“.

ჟარგონიზმებია ინგლისური წარმოშობის პროფესიული ტერმინები, რომელთაც უკვე გაჩნიათ ექვივალენტი ქართულ ენაში: ჰელპი – help (დახმარება); ჰარდ დრაივი – hard drive (მყარი დისკო); დაკონექტება – connect (დაკავშირება); კლიკი – click (დატკაცუნება, დაწკაპუნება); ლინკი – link (ბმული). ქართული ენის მიერ ნასესხები სიტყვების გრამატიკულ ათვისებას მოსდევს მათი სიტყვათწარმოების გაქართულება. ასე მაგალითად პოპულარული არქივატორი ზიპი (zip), გახდა წყარო სიტყვებისა – დაზიპვა, დაზიპული.

საინტერესოა რიგი სინონიმებისა, რომლებიც დაკავშირებულია კომპიუტერის ნორმალური მუშაობის დარღვევასთან, როცა ის არცერთ ბრძანებაზე არ რეაგირებს გარდა Reset ღილაკისა. ასეთ კომპიუტერზე ამბობენ, რომ ის „დაეკიდა“, „ჩამოეკიდა“ ან კიდე „მოკვდა“. ესენი ქართულ ენის შიგნით წარმოქმნილი ჟარგონიზმებია.

კომპიუტერული ჟარგონული ლექსიკა აქტიური განვითარების პროცესში მყოფი დინამიური სისტემაა, რაც განპირობებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების უპრეცედენტოდ სწრაფი პროგრესით. ეს ქართულ ენაში ანგლიციზმების შემოღწევის ერთერთი გზაა. ბევრი სიტყვა კომპიუტერული ჟარგონიდან გადადის ოფიციალურ ტერმინოლოგიაში. ჟარგონიზმები არსებობს არა მარტო ზეპირ მეტყველებაში, არა მარტო აურაცხელ ელექტრონულ დოკუმენტებში, წერილებსა და კონფერენციებში, არამედ მათ შესაძლოა შეხვდეთ პრესაშიც, ხშირად ისინი გვხვდება სოლიდურ კომპიუტერულ გამოცემებშიც: ჩვენ ხშირად ვმართავთ ჩეთ-სესიებს [5]. საინტერესოა რატომ არ გამოიყენა ავტორმა ჩეტ-სემენი, ალბათ იმიტომ, რომ ზედმეტად ინგლისურ ჟღერადობას მოერიდა.

ლექსიკის ეს კომპონენტი, რომელიც გამოირჩევა სასაუბრო, მარტივი შეფერილობით, და ახალგაზრდული სლენგისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით, ამტკიცებს იმას, რომ კომპიუტერის მომხმარებელთა სფეროში ძალიან ბევრია ახალგაზრდა ასაკის ადამიანი.

ფაქტია, რომ კომპიუტერთან სამუშაოდ აუცილებელია ინგლისური ენის გარკვეულ დონეზე ფლობა. სისტემური შეტყობინებები, პროგრამირების ენების ინსტრუმენტები, ტექნიკური დოკუმენტაცია მოითხოვენ საერთაშორისო ურთიერთობის ენის ცოდნას. თუკი ყურადღებით შევხედავთ ენობრივი კომპეტენციის იმ მდგენელებს, რომლებიც საჭიროა სპეციალისტებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში, მივიღებთ საინტერესო სურათს: გადამწყვეტია რეცეპტიული უნარ-ჩვევები და უცხოური ენის ტექსტის გაგების უნარი. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი კითხვისა და წარმოთქმის წესების ცოდნა. შემთხვევითი არ არის, რომ დამსაქმებელთა უმრავლესობა პროგრამისტებისგან ტექნიკური ინგლისურის ცოდნას ელის, ანუ უნარს გაიგოს სისტემის შეტყობინებები და სწორი რეაგირება მოახდინოს მათზე. ამიტომაც ისმის კომპიუტერთან გამოთქმები „ინვალიდ დევიცე“ (invalid device), სისტემ ერორი (system error) და მსგავსნი, რაც ინგლისური სიტყვების შესაბამისი წესების დაუცველად წაკითხვის მაგალითებია. ამგვარად ბევრი ჟარგონიზმი, რომელიც საწყისი გამოთქმების ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად მიიღება, შესაძლოა იყოს ან არცოდნის, ან წარმოთქმის მხარის უგულებელყოფის შედეგი.

ჩვენ ზემოთ ვახსენეთ „სმაილიკები“ (smile – ღიმილი) ანუ ქართული კალკირებული ვარიანტით „სიცილაკები“. ინგლისურად მათ უფრო ხშირად ჰიბრიდ სიტყვას „emoticons“ (emotional icons) უწოდებენ.

იმისთვის, რომ გავიგოთ რას ნიშნავს „სმაილიკი“ უბრალოდ თავი მარცხნივ უნდა გადავხაროთ. მაშინ ორწერტილი ვახდება „თვალეები“, ტირე - „ცხვირი“, და ფრჩხილები – „პირი“. უნდა ითქვას, რომ სმაილიკები სულ უფრო მყარად მკვიდრება ქართულ წერილობით მეტყველებაში. მათთვის, ვინც დიდი ხანია მუშაობს კომპიუტერთან, კარგად იცნობს სმაილიკების უმრავლესობის მნიშვნელობას: :-) ან :) მე ვიღიმები; ;-) ეშმაკურად თვალს გიკრავ; :-X გკოცნი; :-D ვიცინი; :-(სამწუხაროდ; ;-(ვტირი; :-0 გაცეცხული ვარ!

რა თქმა უნდა, ამ რამდენიმე მაგალითით მათი რაოდენობა არ შემოიფარგლება. სმაილიკები უმეტესად გამოიყენება ინტერნეტში, განსაკუთრებით ჩატებში, სადაც აუცილებელია სრაფად გამოხატო საკუთარი ემოცია.

სტატიაში მოვახერხეთ მხოლოდ ნაწილობრივ აგვესნა ენისა და კომპიუტერის ურთიერთობის ძირითადი ტენდენციები. ლინგვოკულტურული მიდგომა საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ დამატებითი ჰიპოთეზები, რომლებიც ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორების გათვალისწინებით შესაძლებელს ხდის, ენის სფეროში ახალი მოვლენები ავხსნათ. თავად ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროს განვითარების უკიდურეს დინამიზმს შედეგად მოსდევს ის, რომ ამ თემაზე მრავალი სამეცნიერო შრომა იწერება. თუმცა კვლევები ჯერ კიდევ ძალის მოკრების სტადიაშია.

3.3. ვებსაიტის ნავიგაცია: ლინგვოკულტურული თავისებურებები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების მაღალ დონეზე განვითარებამ და მათმა დანერგვამ ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში წინა პლანზე წამოსწია ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთობის პრობლემები. კომპიუტერის, როგორც მანქანის, ძლიერი მხარეა ლინგვისტური ნიშნებით მანიპულირების უნარი, რომელთაც გარკვეული აზრი აქვთ მინიჭებული.

ინტერნეტმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანისა და კომპიუტერის ურთიერთქმედების ლინგვისტური პრობლემების აქტუალიზებაში. მსოფლიო კომპიუტერულმა ქსელმა წარმოშვა ახალი შესაძლებლობები სხვადასხვა ეთნოკულტურული საზოგადოებების წარმომადგენლების ურთიერთობაში.

ინტერნეტი, როგორც კულტურათაშორის ურთიერთობის სივრცე, მოითხოვს ყურადღებას ადამიანის მიმართ მეცნიერებათა მთელი კომპლექსიდან, მათ შორის ლინგვოკულტუროლოგიისაგან.

ინტერნეტში ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდის სამომხმარებლო ინტერფეისის საშუალებით. ის, როგორც წესი, შეიცავს რიგ სანავიგაციო მენიუს, გრაფიკულ გამოსახულებებს და ტექსტურ ინფორმაციას. ასეთ მასშტაბურ ინფორმაციულ სივრცეში ორიენტაციისთვის მარტივი და მოხერხებული ნავიგაცია

პირველხარისხოვან როლს თამაშობს. ამავე დროს ვებ-გვერდის ინტერფეისის შემქმნელებისთვის არ არსებობს რაიმე სახის ერთგვაროვანი წესები, რომლებიც შეზღუდვადენ ნავიგაციის აგების და მენიუს პუნქტების სახელდების თავისუფლებას. ეს საშუალებას აძლევს განსხვავებული კულტურების წარმომადგენლებს მოცემული ამოცანის რეალიზაციას თავიანთი საკუთარი წარმოდგენებით მიუდგნენ [144].

ყოველ ეთნოსს თავისი ეროვნული ხასიათი გააჩნია, მისი სრული და ზუსტი დაფიქსირება და აღწერა რთული საქმეა. თუმცა არსებობს ეროვნული ხასიათის სტაბილური დომინანტები, რომლის მიხედვითაც არის დანაწევრებული მსოფლიო, და რომელიც თავის ასახვას ჰპოვებს ენაში.

მოდით შევეცადოთ გავაანალიზოთ ვებსაიტის სანავიგაციო კომპონენტების ლინგვისტური გაფორმების ეროვნულ-კულტურული თავისებურებები. ანალიზისთვის მასალად ავიღოთ ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი ვებსაიტები, რომლებიც განეკუთვნება სხვადასხვა კატეგორიას: კომპანიების ინტერნეტ საიტები, ახალი ამბების რესურსები, ინტერნეტ-მაღაზიები, საძიებო სისტემები და კატალოგები.

დავიწყოთ იმით, რომ საიტის ეგრეთწოდებული URL-მისამართები (URL – Universal Resource Locator) ინგლისური სიტყვით აღინიშნება. ეს ეხება, როგორც ბიზნესკომპანიების, ისე ოფიციალურ სამთავრობო ვებსაიტებს. მაგალითად, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერნეტ საიტის მისამართია www.gpb.ge, „gpb“ კი Georgian Public Broadcasting-ის აბრევიატურაა. სამთავრობო საიტებიც მისამართებში ან ინგლისურ სიტყვებს იყენებენ ან ინგლისურ სიტყვათა ჯგუფის აბრევიატურებს. ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ვებსაიტია www.parliament.ge, ფინანსთა სამინისტროსი www.mof.ge, „mof“ – Ministry of Finance, იგივე ეხება სხვა ნებისმიერი სამინისტროს ვებსაიტს.

ინგლისური სიტყვების გამოყენება იმითაც აიხნება, რომ ინტერნეტ-მისამართის დაწერა მხოლოდ ლათინური ანბანით არის შესაძლებელი. ამიტომ იმ ენებისთვის, რომლებიც ლათინურ ანბანს არ იყენებენ, ორი არჩევანია ან ამ ენის სიტყვების ტრანსლიტერაცია მოხდეს, ან გამოიყენონ ინგლისური სიტყვა. ტრანსლიტერაცია არ არის საუკეთესო გამოსავალი, ამიტომაც იყენებენ ინგლისურ სიტყვას. მიგვაჩნია, რომ ეს ინგლისური ენის ძლიერი გავლენის ერთ-ერთი

მაგალითია, რომელიც აუცილებლობითაა გამოწვეული. ასეთი გავლენა სხვა ენებშიც არსებობს, ისეთებშიც კი, რომლებიც ლათინურ ანბანს იყენებენ.

ეროვნულ-კულტურულ დომინანტების შესწავლისას, დასავლეთ ევროპელის მსოფლმხედველობის ფორმირებაში გადამწყვეტია პროტესტანტული ეთიკა. პრიორიტეტი ენიჭება ინდივიდის ინტერესებს, პირადი თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს. ღირებულებათა ეს სისტემა თავისებურად აისახება დასავლური ვებ-რესურსების სტრუქტურაში. ასე მაგალითად, დასავლური კორპორაციული საიტის ერთერთი შემადგენელი სექცია ხშირად არის „ხელმძღვანელთა ბიოგრაფია“ (Management). ამ გვერდზე დაწვრილებით არის წარმოდგენილი კომპანიის ხელმძღვანელობა და მოყვანილია პირადი მიღწევების სია.

ქართველი ვებდოზინერები ძირითადად ორიენტირებულნი დასავლურ ნიმუშებზე არიან. თუმცა კლიენტს ეს ხშირად არ აკმაყოფილებს. ქართულ საიტებში ვხვდებით დასავლური კორპორაციული საიტის ისეთ განუყოფელ პუნქტებს, როგორებიცაა: მომსახურება, კონტაქტი, FAQ (ხშირად დასმული შეკითხვები), მისია, Success Stories (წარმატების ისტორიები) და Info.

ანგლიციზმების გამოყენება ხშირია არა მხოლოდ საშუალო მნიშვნელობის ვებსაიტებზე, არამედ სერიოზული კომპანიების, საინფორმაციო საშუალებებისა და სამთავრობო საიტებზეც. მაგალითად, ხშირად შევხვდებით სექციას *სერვისები* მაშინ, როცა შესაძლებელია დაიწეროს *მომსახურება*.

ინგლისური Contact us-ის შესატყვისად უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება *კონტაქტი*. კიდევ ერთი ვარიანტი მსგავსი სექციისათვის არის *დაგვიკავშირდით*, როგორც ეს კომპანია „მაგთის“ ვებსაიტზეა. ელექტრონული ფოსტის სერვისს, Posta.ge-ს კი ამ პუნქტში *მოგვეწერეთ* უწერია. ამ და სხვა მაგალითების სიმრავლე იმაზე მეტყველებს, რომ ამ სფეროში ტერმინოლოგია არ არის უნიფიცირებული და ხშირ შემთხვევაში ვებდოზინერის ან კონტენტპროვაიდერის კერძო გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რას ჩაწერს სანავიგაციო მენიუს სხვადასხვა პუნქტის აღმნიშვნელ სიტყვად.

FAQ, რაც ინგლისურად იშიფრება როგორც Frequently Asked Questions, ხშირად ასეთივე სახით გვხვდება ქართულ ვებსაიტებზეც. მაგალითად, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ საიტზე www.goodwill.ge. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ასეთი სექცია *კითხვა-პასუხი*-თ აღინიშნება.

ინგლისურენოვან ვებსაიტებზე სანავიგაციო მენიუში ყოველთვის არის პუნქტი About. ქართული კომპანიების საიტებზე ის გამოცემულია არა ერთი სიტყვით *შესახებ*, არამედ ამ კომპანიის დასახელებითურთ. მაგალითად, *მათიკომის შესახებ*, ზოგან გვხვდება *ჩვენს შესახებ* ან *კომპანიის შესახებ*.

საიტის საწყის გვერდზე დასაბრუნებელ ბმულს, ანუ ინგლისურ Home-ს, ქართულში შესატყვისად *მთავარი გვერდი* ან სულაც მხოლოდ *მთავარი* აქვს.

ყველა ვებსაიტზე, რომელზეც შესაძლებელია რაღაცის მოძიება, ეგრეთწოდებული *საკვანძო სიტყვის* (keyword) მეშვეობით, ამ ბრძანების დასაჭერ ბმულს ან ღილაკს *ძიება* ან *ძებნა* აწერია, ინგლისური Search-ის შესატყვისად.

News-ს ქართულ ვებ-სივრცეში *სიახლეები* ან *ახალი ამბები* შეესაბამება. ასეთი პუნქტი გვხვდება საინფორმაციო ვებსაიტებზე ან ისეთი კომპანიების ვებსაიტებზე, რომლებიც მუდმივად ახალ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებელს. მაგალითისათვის, შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოს ბანკის ვებსაიტი www.bog.ge.

Authorization, რაც მომხმარებლის სახელისა და პაროლის შეყვანას გულისხმობს ქართულში შემოვიდა ნეოლოგიზმით *ავტორიზაცია*. შესაბამისად საკუთარი თავის *ავტორიზაციას* ვერ მოახდენ, თუ წინასწარ არ გაქვს გავლილი *რეგისტრაცია*.

ყველა საიტს გააჩნია სექცია, სადაც მომხმარებელს შეუძლია შევიდეს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე პრობლემა გაჩნდა საიტზე ნავიგაციის დროს. ასეთ სექციას ინგლისურ საიტებზე Help ან How to Use ეწოდება ქართულში თითქმის ყველგან გვხვდება *დახმარება*.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშკარად დგას ამ სფეროში ქართული უნიფიცირებული ტერმინოლოგიის აუცილებლობის პრობლემა. ბევრი ქართული საიტი, საძიებო სისტემებიდან დაწყებული და ფორუმებით დამთავრებული, იყენებს ინგლისურ სახელწოდებებს ამა თუ იმ ბმულის აღსანიშნად. ასე მაგალითად, თბილისის ფორუმის საიტზე (www.forum.ge) ქართული ტექსტის გვერდით გვხვდება: Resend Validation Email; Quick Log in; Today's active topics; Mark all posts as read; Delete cookies set by this board და სხვა.

საავტორო უფლების დამადასტურებელი ინგლისურენოვანი წარწერა გვხვდება ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქართული საიტის ბოლო ნაწილში.

მაგალითად, საძიებო სისტემა Internet.ge-ს მთავარ გვერდს ასრულებს შემდეგი წარწერა:

Design by "S-Web Design Studio"


Copyright © 2006 Sanet Ltd

ამავე საიტზე ჩვეულებრივ ძიებასთან ერთად ეგრეთწოდებული keyword-ის – სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის მიწოდებით შესაძლოა ინფორმაციის მოძიება. საძიებო თემათა სახელწოდებები ანგლიციზმების დიდი რაოდენობით გამოირჩევა: *პორტალები, ვებ-ღიზინი* და ა.შ.

ქართული ელექტრონული ფოსტის სერვისის მომწოდებელი საიტების დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია. მათი ქართულობა, მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ მეტწილად საქართველოს მოსახლეობას ემსახურებიან. ყველაზე ცნობილი ელექტრონული ფოსტა ქართულიენოვანი ინტერფეისით, ანუ მოკლედ და „თანამედროვედ“ რომ ვთქვათ ქართული იმეილ-სერვისი, არის Posta.ge.

აქ სხვდასხვა პუნქტების განლაგება ისეთივეა, როგორც ანალოგიურ ინგლისურ საიტებზე (mail.yahoo.com ან www.hotmail.com). გამოიყენება ისეთი ანგლიციზმები, როგორცაა: *ფოლდერი, ფლაგი, POP3, სპამი, ფილტრი*. ისე, როგორც ქართულ სხვა მრავალ საიტზე, აქაც „ლილაკებზე“ ხშირად ინგლისურად აწერია OK, Go, Vote და ა. შ.

ნახაზი 2. Posta.ge-ს ინტერფეისი



ინგლისური Mailing List-ის კალკად ქართულში *დაგზავნის სიები* მოგვევლინა. ხოლო იქ სადაც ინგლისურენოვან საიტზე Subscribe წერია,

ქართულენოვან საიტებზე გზვდება *გამოწერა*, Unsubscribe კი *გამოწერის გაუქმება*. მომხმარებელთა სალაპარაკო სლენგში ინგლისური სიტყვები Subscribe და Unsubscribe გამოიყენება, თანაც ისე, რომ ინგლისურის მცოდნეები მათ ინგლისურ წართმობასთან მიახლოებულად, ხოლო სხვები დამწერლობასთან მიახლოებულად, ქართული ინტერპრეტაციით წართმობენ. რამდენიმე საიტზე შეგვხვდა ანგლიციზმი *ნიუსლეტერიც*.

უთარგმნელად და ტრანსლიტერაციის გარეშე გადმოდის ქართულ ვებ-სივრცეში სიტყვა Guestbook. შესაძლოა „სტუმრის წიგნი“ ან „შთაბეჭდილებათა წიგნი“ ზუსტად ვერ გამოხატავს მოვლენის არსს, თანაც ისინი მეტისმეტად გრძელია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კომპაქტურობას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ინტერნეტში, სადაც დროისა და სივრცის ეკონომია არსებითია, ისინი კონკურენციას ვერ უძლებენ.

ახალი ამბების, ინტერნეტ გაზეთებისა თუ სატელევიზიო მასმედიის ინტერნეტ საიტებზე უახლესი მოვლენების გარდა შესაძლებელია ვიხილოთ საიტზე განთავსებული ძველი მასალები მენიუს იმ პუნქტში, რომელსაც უნიფიცირებულად *არქივი* ეწოდება. გადმოღებულია ინგლისური საინფორმაციო საიტების სტილიც, რომლის დროს მთავარ გვერდზე ინფორმაციების საწყისი რამდენიმე წინადადებაა მოცემული, ხოლო სრულად რომელიმე მათგანის გასაცნობად საჭიროა „დააკლიკოთ“ სიტყვაზე ...More, რომელიც ქართულ საიტებზე გახდა *დაწვრილებით*.

ინტერნეტის ქსელის რეალიებმა ხელი შეუწყო ახალი ცნებების იმპორტს და უკვე არსებული ცნებების გაფართოვებას.

ინგლისური ტერმინის ქართული ინტერნეტის კომუნიკაციურ სივრცეში შემოღწევის საინტერესო მაგალითია მსოფლიო ქსელის ყოველი მომხმარებლისთვის ცნობილი „download“. ვინაიდან ფაილების გადმოტვირთვა თავიდანვე ერთერთი ძირითადი მოქმედება იყო ინტერნეტის მომხმარებლისთვის, საკმაოდ სწრაფად გაჩნდა ვებ-გვერდების ტექსტებში სიტყვები „ჩამოტვირთვა“, „გადმოტვირთვა“, „გადმოწერა“. საიტებზე იმ სექციის აღსანიშნავად, სადაც ფაილების ნაკრებია, რომლებიც განსაზღვრულია სერვერიდან ლოკალური კომპიუტერის მყარ დისკოზე ჩამოსატვირთად, ინგლისური ენა იყენებს მოკლე სიტყვას „downloads“. ხშირად ასეთი პუნქტი გვხვდება ქართული საიტების

სანავიგაციო მენიუებშიც, თანაც თავდაპირველი დამწერლობით. ამგვარად შეიძლება ვისაუბროთ ინგლისურენოვანი ტერმინის თავის საწყისი ფორმით შემოჭრის კიდევ ერთ ფაქტზე, რომელიც პრაგმატული მიზეზის გამო – ვებ-გვერდის სივრცის ეკონომია – აღმოჩნდა უფრო კონკურენტუნარიანი, ვიდრე მისი ნახევრად ქართული ექვივალენტი „ჩამოსატვირთი ფაილები“.

ასეთი პირდაპირი გადმოტანა ქართულთან შედარებით გაცილებით უფრო ფართოდაა გავრცელებული, ლათინური ანბანის მქონე ენებში, კერძო კი გერმანულში, სადაც ინგლისურის აქტიური ზეგავლენა მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან აღინიშნება. ანგლიციზმების გამოყენება, თანაც ხშირად არადაპტირებული ფორმით, ახასიათებთ არა მარტო მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ენას, არამედ ადამიანებს შორის ყოველდღიურ კომუნიკაციასაც. განსაკუთრებით აქტიურად ინგლისურ ნასესხებ სიტყვებს ახალგაზრდობა იყენებს. ამასთანავე ამ სიტყვების დედა ენის სისტემაში ჩართვისათვის გამოიყენება გერმანული სიტყვათწარმოებისა და გრამატიკული მოდელები.

საქართველოში ინგლისური ენის აქტიური ზეგავლენა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულში ხდება უფრო შესამჩნევი, ამიტომაც უამრავი ინგლისურენოვანი ცნების იმპორტის საკითხი საბოლოოდ არ არის „გადაწყვეტილი“. იგივე „download“-ის მაგალითი რომ ავიღოთ, დღეს თანაბარ დონეზე ფუნქციობს ანგლიციზმი (როგორც ჩამოსატვირთი ფაილების ნაკრების უფრო მოკლე დასახელება) და მისი ქართული ექვივალენტები – „ჩამოტვირთვა“, „გადმოწერა“ (საკუთრივ მოქმედების აღსანიშნად).

ანგლიციზმების გამოყენების არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი არის პრესტიჟულობა, რომელიც მათ ქართულ ენაზე მოსაუბრეთა უმრავლესობის მიერ მიეწერება. ასე მაგალითად, ვებ-გვერდის ინფორმაციულ შიგთავსს პროფესიონალები (და მათ კვალდაკვალ რიგითი მომხმარებლებიც) აღნიშნავენ როგორც *კონტენტი*, და არა, დავუშვათ როგორც *ტექსტური შინაარსი*. ჯერ ერთი, *კონტენტი* ყველა სახის ინფორმაციული შინაარსის (გრაფიკა, ტექსტი) მოცულობითი განსაღვრებაა, და მეორეც, *კონტენტი* აღნიშნავს პროფესიული რედაქტორის *კონტენტ-მენეჯერის* მიერ შექმნილ შინაარს.

ქართულში უკვე კარგა ხნის მანძილზე არსებული საერთაშორისო სიტყვები ახალ მნიშვნელობებს იძენენ. მაგალითად, უკვე დიდი ხანია ჩვენთვის ნაცნობია

სიტყვა „სერვისი“, რაც ქართულ ცნობიერებაში ასოცირდება ხარისხიან მომსახურებასთან. ზუსტად ეს სიტყვა მრავლობითი რიცხვის ფორმით გახდა კრებითი აღმნიშვნელი ყველა სახის საინფორმაციო მომსახურებისა, რომელსაც საიტი სთავაზობს: ახალი ამბების გამოწერა, „უკუკავშირის“ ფორმები, ფორუმები, ჩატები, პოსტინგი და ა. შ.

ქართული მსოფლმხედველობის თავისებურებები თავის ასახვას პოულობს ქართული ინტერნეტ-რესურსების მომხმარებელთა კომუნიკაციური ქცევის სპეციფიკაში. ქართველი ინტერნეტ-მომხმარებლები აქცენტს აკეთებენ ინერენტის, როგორც უფასო საინფორმაციო გარემოს, აღქმაზე, ამიტომაც ჯერჯერობით ის ინტერნეტ-პროექტები, რომლებიც ნაწილობრივ ფასიან მომსახურებას სთავაზობს მომხმარებელს, განწირულია წარუმატებლობისათვის.

ინტერნეტი თავდაპირველად არაკომერციული პროექტი იყო, თუმცა დასავლეთში მის კომერციალიზაციას გაგებით ეკიდებიან. ქართველების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების თავიდათავი იმალება ინტელექტუალური შრომის პროდუქტების საკუთრებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულებაში, რაც ახასიათებს ქართველების ეროვნულ ცნობიერებას – იქნება ეს პროგრამული უზრუნველყოფა, ტექსტი თუ მუსიკალური ნაწარმოები. მეორეს მხრივ კი ინტელექტუალური საკუთრების მიმართ შედარებით არა შემწყნარებლური დამოკიდებულების მიზეზი ქართული მოსახლეობის უმრავლესობის დაბალი გადახდის უნარიანობა და შესაბამისად სათანადო გადახდის სისტემების განვითარების დაბალი დონეა.

ვებ-გვერდების განხილვისას ჩვენ შემოვიფარგლეთ საიტის დიზაინის მხოლოდ ერთი კომპონენტით – ვებ-გვერდის სანავიგაციო სტრუქტურით. მიღებული შედეგები მოწმობს იმას, რომ ვებ-გვერდი არის საინტერესო ობიექტი ლინგვოკულტურული ანალიზისათვის, რომელიც დღეს აშკარად არასაკმარისადაა შესწავლილი.

3.4. სპორტის სფეროში გამოყენებული ანგლიციზმები და მათი ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი

მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეული შესაძლებელია გამოიყოს როგორც ქართული ენის განვითარების ცალკე ეტაპი. მრავალი მიზეზის გამო:

- არსებითი ცვლილებები მის ფუნქციურ სტატუსში და ფუნქციური სტილების სისტემაში;
- მისი ურთიერთობა სახალხო-სალაპარაკო ენასთან და სხვა ენებთან;
- ცვლილებები მისი ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, სიტყვათწარმოების, გრამატიკის სისტემაში;
- კომუნიკაციურ-პრაგმატული ხასიათის ცვლილებები და ა. შ.

ლინგვოკულტურული სიტუაციის ერთერთი არსებითი თავისებურება საქართველოში ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე არის ის, რომ ინგლისური ენისა და ქართულ ენაში ახლად შემოსული მრავალი ანგლიციზმის ცოდნა არის ენობრივი კომპეტენციის ერთერთი არსებითი კომპონენტი.

ქართული სპორტული ტერმინოლოგია (იხ. დანართი დ), როგორც ასეთი, მეოცე საუკუნეში დანარჩენი ლექსიკისაგან აშკარად გამოიკვეთა. ეს არა მარტო ქართულს, არამედ თითქმის ყველა თანამედროვე ენას ეხება. ამის მიზეზი არის ის, რომ მეოცე საუკუნეში სპორტი განვითარების მაღალ საფეხურზე ავიდა, გაჩნდა სპორტის ახალი სახეობები. ახალი სპორტული სიტყვების დამკვიდრებას ენაში კი ხელი შეუწყო სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებამ. როდესაც საუბარია ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებზე ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში, საჭიროა 90-იან წლებამდე და მის შემდეგ ნასესხებ სიტყვებს შორის გავავლოთ ზღვარი. 90-იანი წლები ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირი იშლება და ამასთან ერთად მის გარშემო იხსნება, როგორც ტერიტორიული, ისე თვალთ უხილავი საზღვრები. ამ დროს ჩვენში ინტენსიურად იწყებს შემოსვლას დასავლური კულტურა. ეს ყოველივე კი სპორტზეც აისახება. ეს არის დრო, როცა ქართული სახელმწიფო დამოუკიდებლად იწყებს არსებობას, და შესაბამისად ყალიბდება ამა თუ იმ სპორტის მიმდევართა ეროვნული (ანუ საქართველოს) კავშირები და ფედერაციები. სპორტის სახეობის სხვადასხვა ეროვნული ფედერაციები შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრიანდება და ქართველ

სპორტსმენებს საშუალება ეძლევათ საერთაშორისო არენაზე იასპარეზონ, ამჯერად არა საბჭოთა კავშირის (ანუ რუსეთის) სახელით. საერთაშორისო სპორტთან ახლო შეხებას გააჩნია იმის აუცილებლობა, რომ ქართული სპორტული ტერმინოლოგია საერთაშორისოდ მიღებულ ნორმებთან მოსულიყო შესაბამისობაში, და ვინაიდან ინგლისური ენა სხვასთან ერთად სპორტის ენაცაა, ამიტომ საერთაშორისო სპორტულ ტერმინოლოგიაშიც ძირითადად ინგლისურენოვანი ტერმინები მკვიდრდება. ველოსიპედის ხელახალი გამოგონება იქნებოდა, რომელიმე ენის სიწმინდის დამცველს, რაიმე შესატყვისი მოეძია თამაშის სახეობებში ისეთი ტერმინებისათვის როგორცაა, მაგალითად: *დრიბლინგი (dribbling)* ან *დერბი (derby)*. dribble ინგლისურად, სხვა მნიშვნელობებთან ერთად, მეტოქე გუნდის მოთამაშეებს შორის ბურთით სიარულს ნიშნავს და ადვილი არ არის მას ისეთი ქართული შესატყვისი მოუძებნო, რომელიც მოკლე – ერთი სიტყვისგან შემდგარი იქნება და ამავე დროს მოვლენის არსს ნათლად გამოხატავს. თუმცა მონდომებული ადამიანი მოვლენის შინაარსიდან გამომდინარე მაინც მოძებნიდა შესაფერის სიტყვას, მაგალითად „გარღვევა“, მაგრამ ეს სრულიად ზედმეტი, და არასასურველი იქნებოდა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიტყვას „გარღვევა“ მრავალი სემა გააჩნია და *დრიბლინგი* მისი ერთერთი ბოლო მნიშვნელობა იქნებოდა, იმ შემთხვევაში, თუ მის აღსანიშნად გამოვიყენებდით. და მეორეც, თანამედროვე სპორტში ენებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია უნიფიცირებული ტერმინოლოგია, რადგანაც მუსიკის მსგავსად სპორტი, და ასე ვთქვათ, სპორტის, როგორც სანახაობის, ენა ყველასათვის გასაგებია. და რაღა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნის სპორტთან დაკავშირებული ადამიანებისათვის საჭიროა უნიფიცირებული ლექსიკონი.

ქართული სპორტული ლინგვოკულტურა როგორც სუბკულტურული წარმონაქმნი მთლიანობაში განიცდის XX საუკუნის ბოლოს კულტურულ-ენობრივი ტენდენციების ზეგავლენას. გაბატონებული ტენდენციაა სპორტული ტერმინოლოგიის ლექსიკური შემადგენლობის ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვებით გამდიდრება. ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვათა რაოდენობის ზრდას ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ხელს უწყობს ცენზურისა და ავტოცენზურის შესუსტება, ოფიციალური სახალხო მეტყველების მკვეთრი ჩარჩოების არ არსებობა. XX საუკუნის ბოლოს გამოიკვეთა ამერიკელი ნაციის

სოციალურ-პოლიტიკური და გარკვეულწილად კულტურული უპირატესობა, ქართული სპორტის ენა „გამდიდრდა“ ამერიკანიზმებით, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობაში საკმაოდ სწრაფად დამკვიდრდნენ.

ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების უმრავლესობა სპორტულ ლექსიკაში მიეკუთვნება ევრეთწოდებულ პირდაპირ ნასესხებ სიტყვებს და წარმოდგენილია შემდეგი თემატური ჯგუფებით: სპორტული თამაშებისა და სპორტის სახეობების სახელწოდებები (*გოლფი, ბობსლეი*); კონკრეტული სპორტის წარმომადგენელთა სახელწოდებები (*ფლეიმიეკერი, ფორვარდი*); მოძრაობების, ილეთების, მდგომარეობების სახელწოდებები (*პრესინგი, მატჩპოინტი*); სპორტული ინვენტარის სახელწოდებები (*პანჩინგბოლი, ბუცი*); შეცდომების, დარღვევების და სასჯელების სახელწოდებები (*ოფსაიდი, ფოლი*); საასპარეზო სპორტული მოედნების ან მისი ნაწილის სახელწოდებები (*ტრეკი, ფინიში*); პაექრობათა ტიპების და ნაწილების სახელწოდებები (*გიგანტური სლალომი, რაუნდი*).

მეოცე საუკუნეში საქართველოში შემოვიდა სპორტის ახალი სახეობები (*სნოუბორდინგი, ბილიარდი, სერფინგი*), რომლებმაც მალე დაკარგეს ეგზოტიკური კოლორიტი. მათთან ერთად ქართული სპორტის ლექსიკაში შემოვიდა და საკმაოდ მალე იქნა ათვისებული ტერმინოლოგიური მიკროსისტემები, რომლებიც სპორტის ამა თუ იმ სახეობას ემსახურებოდნენ.

ინგლისურ-ამერიკული ენობრივი ექსპანსია თვალნათლივ აისახა სათხილამურო სპორტის სახეობათა ტერმინოლოგიაში (*გიგანტური სლალომი, სპრინტერი*), სადაც გამოჩნდა დიდი რაოდენობით ვიწროპროფესიული უცხოური სიტყვები, დაკავშირებული მოძრაობითი აქტივობის სპეციფიკასთან და ამა თუ იმ სახეობის წესებთან. ტერმინების გარდა ქართული სპორტული ლექსიკა შეივსო რამდენიმე ათეული ინგლისურენოვანი ჟარგონიზმით და სლენგით, რომელთა უმრავლესობამ სწრაფად დაკარგა უცხოური ელფერი და შეთვისებული იქნა ქართული ენის მიერ.

ქართულ სპორტულ ლექსიკაში ახალი სიტყვების ათვისების პირველ ეტაპს ახასიათებს ფორმის ვარიაციულობა, ორთოგრაფიისა და წარმოთქმის არამდგრადობა. ქართული ენისათვის არადამახასიათებელი წარმოთქმისა და ფონეტიკური ნიშნების მქონე სიტყვების გამოჩენა გამონაკლისი კი არ არის, არამედ ძირითადი ტენდენციაა. კერძოდ ნორმად იქცა ქართული ენისთვის

უჩვეულო ბგერათშეხამებები. ქართულ ენაში სპორტული ანგლიციზმების ფონეტიკურ-ორთოგრაფიული ადაპტაციის პროცესში მათი ფორმა სტაბილიზდება, უახლოვდება ენა-რეციპიენტის ნორმებს და შორდება თავის უცხოურ ეტიმონს, რაც ანგლიციზმების ფონეტიკური ადაპტაციის ძირითად პრინციპებს მთლიანად ეთანხმება თანამედროვე ქართულ ენაში.

სპორტული ანგლიციზმების ათვისების სისწრაფე ქართულ ენაში უპრეცედენტოდ მაღალია. ლექსიკურ-სემანტიკურ პლანში სრულიად ათვისებულია, როგორც ადრე ნასესხები ანგლიციზმების დიდი რაოდენობა, რომლებმაც დროთა განმავლობაში ინტეგრირება მოახდინეს ქართული ენის სისტემაში და გახდნენ **სემანტიკურად ავტონომიურები**, ისე ბოლო ათწლეულში ნასესხები სიტყვები.

ქართული ენის სისტემაში ინტეგრირების პროცესში, სპორტული ანგლიციზმები აქტიურად ავლენს სიტყვათწარმოების უნარს. ხდება ახალი სიტყვების ქართული მოდელის მიხედვით წარმოება. დერივაციული აქტივობის მიხედვით პირველ ადგილს იკავებენ ნასესხები არსებითი სახელები. ბევრი სპორტული ანგლიციზმი ქართულ ნიადაგზე წარმოებულს იძლევა. ამგვარად წარმოიქმნება დერივატები, რომლებიც არ გვხვდება ინგლისურში, მის არცერთ ვარიანტში. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სიტყვა *უზგოლიანი*, რომლის მსგავსი შინაარსის სიტყვა ინგლისურში არ არის.

არსებობს სხვადასხვა ფაქტორი, რის გამოც ქართული ენა ითვისებს ახალ ანგლიციზმებს. ქართულ სპორტულ ლექსიკაში ინგლისურენოვანი სიტყვების წილი ყოველთვის დიდი იყო. ინგლისური წარმოშობის სპორტული ტერმინები იმდენად შეერწყა თანამედროვე ქართულს, რომ მათი უცხოური წარმომავლობა არც კი იგრძნობა (სტარტი, ფინიში, რეკორდი და სხვა).

ამას გარდა უცხოური ლექსიკის შემოსვლაზე მოქმედებს რამდენიმე სიტყვიანი ცნების ერთი სიტყვით შეცვლის ტენდენცია ისე, როგორც გრძელი სიტყვების უფრო მოკლე ანგლიციზმებით.

სწორედ ამ მიზეზთა გამო სპორტული ტერმინოლოგია ინგლისური ენიდან ადვილად ივსება ინგლისური ნეოლოგიზმებით. ამ თემატურ ვეგუფში შემაჯავლი სიტყვები შესაძლოა დავაჯგუფოთ რამდენიმე ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმად.

ერთერთი მათგანია ის ლექსემები, რომლებიც ახალი რეალიების სახელდებისთვის კი არ არის ნასესხები, არამედ უკვე არსებული ცნობილი

სპორტული მოვლენების უფრო რაციონალური გამოხატვის მიზნით: *ოვერტაიმი* (დამატებული დრო), *ოფსაიდი* (თამაშგარე მდგომარეობა), *ტრანსფერი* (გუნდიდან გუნდში გადასვლა), *დრაფტი* (მოთამაშის შერჩევა). ესენი ის ერთსიტყვიანი ანგლიციზმებია, რომლებიც ენა-რეციპიენტში არსებულ, ცნობილი სპორტული მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვათშეხამებებს ენაცვლება.

სპორტული ტერმინის სახით, განსაკუთრებით კალათბურთში, ფართოდ გამოიყენება ანგლიციზმი *ოვერტაიმი*, თამაშის ძირადად დროზე დამატებული წუთების აღსანიშნად, რომელიც, როგორც წესი, ფრე ანგარიშის დროს ინიშნება სპორტული ასპარეზობისას. მაგალითად, „ოვერტაიმში ქართველ კალათბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო“. ლექსემას *ოვერტაიმი* (ინგლ. overtime) – მრავალი მნიშვნელობა გააჩნია დონორ ენაში, მათ შორის მეცადინეობის ან მუშაობის დამატებითი საათები, დამატებული სამუშაო დროის ასანაზღაურებელი თანხა. ქართულში იგი შემოდის არასრული სემანტიკური მოცულობით, მხოლოდ დამატებულ დროს აღნიშნავს და ისიც მხოლოდ სპორტულ კონტექსტში.

ფლეი-ოფი (ინგლ. play-off) – სპორტული ტერმინია, რომელსაც ინგლისურ ენაში გააჩნია ორი მნიშვნელობა: 1) გადამწყვეტი შეხვედრა, 2) დამატებითი შეხვედრა თანაბარი ქულების შემდეგ. ქართულ ენაში ეს სიტყვა უფრო მეორე მნიშვნელობით გამოიყენება, რაზეც მიუთითებს შემდეგი მაგალითი: „ამ გამარჯვებით ჩემპიონთა თასის მფლობელებმა ფლეი-ოფში გასვლის შანსები შეინარჩუნეს“ [8]. *ფლეი-ოფთან* ხშირად გამოიყენება შემდეგი კოლოკაციები: *ფლეი-ოფში გასვლა*; *ფლეი-ოფში მოხვედრა*.

ინგლისური სიტყვა play-off სესხების შემდეგ ქართულ პრესაში დეფისით გვხვდება. როგორც ვიცით, დეფისი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა ორი სიტყვის მნიშვნელობა ერთ ცნებას გამოხატავს. ამიტომაც დეფისი ლოგიკურია ინგლისურ ეტიმონში play-off, რადგან არსებობს მორფემები play და off, მაგრამ ჩვენი აზრით ქართულში ასეთ ნასესხებებ სიტყვაში დეფისის გამოყენება არალოგიკური და ზედმეტია. *ფლეი-ოფი* ქართული სპორტის ენაში ერთ მოვლენას, ერთ ცნებას აღნიშნავს და მისი დაყოფა *ფლეი* და *ოფ* ნაწილებად მნიშვნელობის მქონე მორფემებს არ გვაძლევს, რადგან მიღებული ფსევდოსიტყვები ქართულ ენაში არ გვხვდება. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქართულმა ისე, როგორც ყველა სხვა ენამ, ლექსიკონი მრავალი უცხოური ენის სიტყვებით

შეივსო და ეს სიტყვები ქართული ენის სისტემაში არსებული ფონოლოგიური, მორფოლოგიური, თუ ორთოგრაფიული წესების შესაბამისად გადაამუშავა. ამგვარად, სიტყვაში *ფლეი-ოფი*, როგორც სახითაც ამ სიტყვას ქართული პრესის ფურცლებზე ვხვდებით დეფისი არანაირ როლს არ თამაშობს. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ანგლიციზმებზეც, რომლებიც დეფისით იწერება. თუმცა დეფისის არსებობა ანგლიციზმში ეტიმონთან მისი ჯერ კიდევ შენარჩუნებული კავშირის წარმოჩენით შეიძლება გავამართლოთ, თუმცა ნასესხები სიტყვები, რაც უფრო მეტად მკვიდრდება ენაში და ინტეგრირდება ამ ენის სისტემაში, მით უფრო კარგავს ეტიმონის ნიშნებს.

ამავე ჯგუფში შედის სიტყვა *ტრანსფერი* (transfer), რომელის პირდაპირი თარგმანი *გადაცემა, გადაყვანა*. ქართულ და ინგლისურ სპორტულ ტერმინოლოგიაში იგი გამოიყენება მნიშვნელობით „სპორტსმენის გადასვლა ერთი გუნდიდან მეორეში კონტრაქტის საფუძველზე“. მისგან ნაწარმოებია ზედსართავი სახელი *სატრანსფერო*, კოლოკაციით *სატრანსფერო სეზონი*.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიაში ანგლიციზმები დიდი რაოდენობითაა, გვაქვს ქართულ ძირზე ნაწარმოები შემდეგი აქტიურად ხმარებადი სიტყვები: *მცველი, ნახევარმცველი, საჯარიმო, თავდამსხმელი, მსაჯი* და ა.შ. ბევრ ასეთ სიტყვას ინგლისურიდან ნასესხები წყვილი სინონიმის სახით არ გააჩნიათ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპორტული პაექრობების სახელწოდებების უმეტესობა ქართულენოვანია: *ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი*. იგივე თამაშების აღსანიშნავად მრავალი ენა მათ შორის რუსულიც (футбол, баскетбол, волейбол, гандбол) ანგლიციზმებს იყენებს. მაგალითად:

football	ფეხბურთი	футбол
basketball	კალათბურთი	баскетбол
power lifting	ძალოსნობა	пауэрлифтинг

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ქართულშიც არის ინგლისური წარმომავლობის სპორტის სახეობათა სახელწოდებები. ესენია: *გოლფი, ბოქსი* და ა. შ.

ხშირ შემთხვევაში ქართულ ენაში ინგლისურენოვან ნასესხებ სიტყვებთან ერთად იგივე ცნების თუ მოვლენის აღმნიშვნელი ქართული სიტყვებიც თანაარსებობს.

referee	რეფერი	მსაჯი
linesman	ლაინსმენი	გვერდითი მსაჯი
offside	ოფსაიდი	თამაშგარე
fan	ფანი	გულშემატკივარი
half-back	ჰაუბეკი	ნახევარმცველი
forward	ფორვარდი	თავდამსხმელი

მოცემული სიტყვების სემანტიკური ველი თითქმის ერთია. თუმცა ანგლიციზმებს შედარებით უფრო მეტი კონკრეტულობა ახასიათებს. ასე, მაგალითად *ფანი* შესაძლოა იყოს მხოლოდ სპორტული გუნდის, სორტსმენის ან პოპულარული შემსრულებლის გულშემატკივარი. ხოლო *გულშემატკივარს* სემების უფრო ფართო სპექტრი გააჩნია. იგივე შეიძლება ითქვას *ფორვარდზე*, ის მხოლოდ სათამაშო სპორტულ სახეობებში გამოიყენება. თავდამსხმელი კი შესაძლოა იყოს ბოროტმოქმედი, რომელიც გაძარცვის მიზნით მსხვერპლს თავს ესხმის.

სპორტული ანგლიციზმების კიდევ ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი, რომელსაც საერთო სემანტიკური – „აგენტურობის“, ანუ მოქმედი პირის თვისება და საერთო სტრუქტურული ელემენტი სუფიქსი *er* აქვს, მოიცავს ანგლიციზმებს, რომლებიც სპორტსმენტა საქმიანობას აღნიშნავს (*ბაიკერი, ფლეიმიეკერი, რაიდერი, როლლერი, ვოლკიპერი*). ამ სიტყვების ენაში შემოსვლას და შემდომ ათვისებას მსგავსი ტიპის უფრო ადრეულ ეტაპზე ნასესხები სიტყვების არსებობა (*ბოქსიორი, იუნიორი* და ა. შ.) ხელს უწყობს.

ბაიკერები (*biker* – მოტოციკლისტი) – ეს არის ახალგაზრდული მოძრაობა, რომელიც აერთიანებს სამოტოციკლეთო სპორტის მოყვარულებს. სიტყვების *ბაიკერი* და *მოტოციკლისტი* მნიშვნელობები არ ემთხვევა ერთმანეთს. სიტყვას *ბაიკერი* გააჩნია უფრო ვიწრო მნიშვნელობა. ყოველი *მოტოციკლისტი* არ არის ბაიკერი, არამედ სამოტოციკლეთო სპორტის მხოლოდ ის წარმომადგენელი, რომელსაც აქვს ძვირადღირებული მოტოციკლი (*ბაიკი*), და გააჩნია გარკვეული, მხოლოდ ბაიკერებისათვის დამახასიათებელი კულტურული ფასეულობები. ქართული ენის ნიადაგზე წარმოიქმნა ზედსართავი *ბაიკერული*.

უკანასკნელ პერიოდში იმ მოთამაშის აღსანიშნავად, რომელიც ძირითადი ფიგურაა გუნდურ ასპარეზობაში, სულ უფრო ხშირად გამოიყენება სიტყვა *ფლეიმიკერი*. მაგალითად, გვაქვს ასეთი კოლოკაცია *გუნდის ფლეიმიკერი*.

ახალი სიტყვები, რომლებიც სპორტის ნაირსახეობებს აღნიშნავენ (*სნოუბორდინგი, სთრიტ-რეისინგი, სპინინგი, ბობსლეი* და სხვა) ცალკე ლექსიკურ-სემანტიკურ პარადიგმას ქმნის.

კიდევ ერთი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი მოიცავს ანგლიციზმებს, რომლებიც სპორტული ინვენტარის სახელწოდებებს აღნიშნავენ: *სკეიტბორდი, სკუტერი*. ამ შემთხვევაში სესხების ერთერთი მიზეზი იმის მოთხოვნილებაა, რომ შესაბამისი ცნება დაზუსტდეს და დეტალურად წარმოჩინდეს. შესაძლოა სპორტული ინვენტარის ამა თუ იმ ნივთის სახელწოდება უკვე არსებობდეს ქართულში, მაგრამ ეს ხელს ვერ უშლის ახალი უფრო პრესტიჟული სიტყვის შემოსვლას. ამგვარად, ენაში უკვე არსებული და ახლად ნასესხები სიტყვები თითქოს სემანტიკური გავლენის სფეროებს იყოფს ერთმანეთში, ამასთან ეს სფეროები შეიძლება რაღაც წერტილში გადაიკვეთოს, მაგრამ მთლიანად ერთმანეთს არასდროს ემთხვევა. იგივე ეხება სიტყვებს *ბაიკი* (მოტოციკლი) და *სკუტერი*.

კიდევ ერთი სპორტული ინვენტარის სახელწოდებაა *სკეიტბორდი* (skateboard – to skate – სრიალი + board – დაფა) – სპეციალური დაფა საგორაო ბორბლებით. მსგავსი ანგლიციზმია *სნოუბორდი* (snowboard), ამ შემთხვევაში დაფა თოვლზე სრიალებს. ეს სიტყვები ნასესხებია ახალი საგნების სახელდებისათვის.

უნდა ითქვას, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართული ტურნირების, ჩემპიონატების და სხვა პაექრობათა სახელწოდებები ორიგინალის სახით შემოდის ქართულში. ასეთებია მაგალითად, NBA ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი საკალათბურთო ტურნირი. ინგლისურში ის იშიფრება როგორც ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია (National Basketball Association), თუმცა სპორტულ ახალ ამბებში ძირითადად *ენ ბი ეი* გამოიყენება. ეს მარტო ინგლისურ ტურნირებს კი არ ეხება, არამედ იგივე შეიძლება ითქვას გერმანულ *ბუნდესლიგაზეც*.

საინტერესოა, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირების ჯგუფების სახელდება. ის უმეტეს შემთხვევაში ინგლისური ან ნახევრად ინგლისურია. ასე, Group H ქართველი სპორტული ჟურნალისტების მიერ გადმოიცემა, როგორც *ეიჩ-ჯგუფი*.

აშკარად კალკირებულია სპორტული ასპარეზობების სხვადასხვა დონის ამსახველი სიტყვები და ფრაზები: *დასავლეთ კონფერენცია, რეგულარული ჩემპიონატი, პრემიერლიგა, პირველი დივიზიონი*.

ზემოთ განხილული მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული სპორტის ენაში წარმოდგენილი ანგლიციზმების აბსოლუტური უმრავლესობა არსებითი სახელებია. ცალკეულ ლექსებებს სინონიმური ურთიერთობა აქვს წმინდა ქართული წარმოშობის სიტყვებთან, მაგრამ ბევრ ანგლიციზმს ერთსიტყვიანი ქართული სინონიმი არ მოეპოვება, და სხვაგვარად მხოლოდ აღწერითი სიტყვათა ჯგუფით შეიძლება გადმოიცეს.

ზოგადი დასკვნა

არ არსებობს მსოფლიოში ენა, რომელსაც სხვა ენების ლექსიკური რესურსებიდან ნასესხები სიტყვები არ ჰქონდეს ათვისებული. ეს პროცესი არ უნდა იქნეს აღქმული ცალსახად უარყოფით მოვლენად, რადგან ენის ევოლუცია შეუძლებელია უცხოური ნეოლოგიზმებით გამდიდრების გარეშე. ქართულმა ენამ თავის დროზე შესანიშნავად აითვისა სპარსული (*ხალიჩა*), ლათინური (*ნავი*), გერმანული (*ცემენტი*), ფრანგული (*შიფრი*) წარმოშობის უამრავი სიტყვა, რომელთა გარეშეც ჩვენი კომუნიკაციის სრულფასოვნება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის ტენდენციებმა იმძლავრა, რასაც, პირველ ყოვლისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს, იოლი კავშირისა და ურთიერთობისთვის საერთაშორისო ლექსიკონი არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. ამჟამად არის და ყოველთვის იყო საერთაშორისო ენის მოთხოვნილება. ისტორიულად ენები ერთმანეთს ამ როლს ეცილებოდნენ. ამჟამინდელი ლიდერი ამ მხრივ ინგლისურია, სხვა ევროპული ენები მას ჩამორჩება.

მთავარი მიზეზი, რომ სიტყვების სესხება ხდება ინგლისურიდან და არა დავუშვათ ჩინურიდან, რა თქმა უნდა, ინგლისური ენის ამჟამინდელი სტატუსია. თუმცა შესაძლებელია გამოიყოს სიტყვების სესხების ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მიზეზები.

ლინგვისტურ მიზეზებად ითვლება:

1. ენის ლექსიკურ სისტემაში არასაკმარისი რგოლის შევსების აუცილებლობა.
2. სხვადასხვა სფეროში ცნებათა სპეციალიზაციის აუცილებლობა.
3. ენაში უკვე არსებული სიტყვის ომონიმის ან პოლისემიის თავის არიდება.
4. ექსპრესიული საშუალებების შევსების ტენდენცია.

ანგლიციზმებს, ინტეგრაციის საწყის ეტაპზე მაინც, ერთი მნიშვნელობის მეტი სხვა დენოტაციური მნიშვნელობა არა აქვს, ამიტომაც ისინი ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით ტექნიკის სფეროში, უფრო მეტად მოსახერხებელია, ვიდრე პოლისემიური ქართული სიტყვები.

ანგლიციზმებს თავის სინონიმებთან მიმართებაში განსხვავებული კონოტაცია აქვთ. ზოგიერთ სტილისტურ რეგისტრში კი კონკრეტული ანგლიციზმის უგულებელყოფა და მის ნაცვლად სინონიმური სიტყვის გამოყენება წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ანგლიციზმების სესხების ექსტრალინგვისტურ მიზეზებს მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

1. ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც სუპერსახელმწიფოს როლი დღევანდელ მსოფლიოში და ამასთან დაკავშირებული ინგლისური ენის მნიშვნელობის ზრდა.
2. ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მასშტაბი მთელს მსოფლიოში. ფაქტია, რომ ადამიანი უფრო ადვილად მიიღებს ახალ ანგლიციზმს, როცა მას ინგლისური ენის თუნდაც მინიმალური ცოდნა გააჩნია.
3. საერთაშორისო ვაჭრობის, ეკონომიკის, კომუნიკაციების განვითარება და გააქტიურება.
4. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინტერნეტის მზარდი როლი.

ანგლიციზმების ფონოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ინტეგრაციის საწყის ეტაპზე მათ ორთოგრაფიისა და წარმოთქმის არასტაბილურობა ახასიათებთ. სადისერტაციო ნაშრომში მოხდა ანგლიციზმების ადაპტაციის სხვადასხვა ტიპის დადგენა ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეზე და იმ ტენდენციების დაფიქსირება, რაც დღესდღეობით არსებობს. ძირითადი ტენდენციებია:

1. ფონოლოგიური თვალსაზრისით ანგლიციზმების ინგლისური ეტიმონის წარმოთქმასთან მიახლოებული ნიმუშით ადაპტირება.
2. რამდენიმე სიტყვიანი ცნების ერთსიტყვიანი ანგლიციზმით შეცვლა.
3. გრძელი სიტყვების უფრო მოკლე ანგლიციზმებით შეცვლის ტენდენცია.

90-იან წლებამდე ქართულ ენაში შემოსული ანგლიციზმების უდიდესი უმრავლესობა არსებითი სახელები იყო. დღესდღეობით მათ შორის ბევრია ზმნა, რომლებიც ქართული ენის მორფოლოგიური საშუალებებით ადაპტირდნენ. აღსანიშნავია, რომ ბევრი ენისაგან განსხვავებით ანგლიციზმები მორფოლოგიურად ქართული ენის ფლექსიურ სისტემასთან უპრობლემოდ ადაპტირდება.

ადამიანის მოღვაწეობის იმ სფეროების სია, რომლებშიც ინგლისურენოვანი ნასესხები სიტყვები შემოვიდა ძალზედ გრძელია. თუმცა არის რამდენიმე სფერო, რომელიც ანგლიციზმების სესხების დიდი ინტენსივობით გამოირჩევა. პირველ რიგში, ეს არის კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და სპორტის სფერო. ასევე მრავლადაა ანგლიციზმები პოლიტიკის, ეკონომიკის, ვაჭრობის სფეროში. ხშირ შემთხვევაში საინფორმაციო საშუალებები საზოგადოებისთვის ახალი ანგლიციზმების „შემოთავაზების“ ინიციატორებია.

ანგლიციზმების რაოდენობრივი ზრდის დასადასტურებლად ჩატარებულმა კვლევამ, რომლის დროსაც მოხდა 20 წლის სხვაობის ორი სხვადასხვა პერიოდის საგაზეთო მასალის შედარება კომპიუტერული ტექნოლოგიების, სპორტის და ეკონომიკის სფეროებიდან, დაადასტურა, რომ ანგლიციზმების რაოდენობამ ქართულში საგრძნობლად იმატა 1986-დან 2006 წლამდე მონაკვეთში. მიღებული შედეგების შედარებით დადგინდა, რომ ანგლიციზმების ყველაზე დიდი იმპორტიორი ქართულში კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროა, რაც მთელს მსოფლიოში ამ დარგის სწრაფ განვითარებასთანაა დაკავშირებული. თავისთავად ეს პროცესი საქართველოზეც აისახა. კომპიუტერული ინდუსტრიის ლიდერი სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია, ამიტომაც ინგლისური სხვასთან ერთად კომპიუტერის ენადაც იქცა. მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფის აბსოლუტური უმრავლესობა ინგლისურენოვანია.

ყოველივე ზომოთქმულიდან გამომდინარე კომპიუტერთან შეუფერხებელი მუშაობისთვის აუცილებელია ინგლისური ენის საკმაოდ მაღალ დონეზე დაუფლება, ვინაიდან სისტემური შეტყობინებები, ტექნიკური დოკუმენტაცია და პროგრამები ამ ენაზეა. ჩვენი დაკვირვების საფუძველზე გამოვლინდა, რომ მომხმარებლისთვის გადამწყვეტია რეცეპტული უნარ-ჩვევები და ინგლისური ტექსტის გაგების უნარი. ამასთან, სულაც არ არის აუცილებელი კითხვისა და წარმოთქმის წესების ცოდნა. ეს კი არის საკმარისი საბაზი იმისათვის, რომ ამა თუ იმ სიტყვის კერძო ინტერპრეტაცია მოხდეს ქართულად, რასაც ჟარგონიზმების გაჩენამდე მივყავართ.

კომპიუტერულ თემაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტის ანალიზი საშუალებას იძლევა გავაკეთოთ რიგი საინტერესო დასკვნა. ყველაზე მეტად ინგლისურ გავლენას განიცდის ის ლიტერატურა, რომელიც განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის, კერძოდ, პერიოდული კომპიუტერული გამოცემები და

სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებელთა სახელმძღვანელოები. არსებითი კორელაცია ტექსტის ფუნქციასა და მასში ინგლისურენოვანი ერთეულების რაოდენობას შორის არ არის. ნასესხები ლექსიკა ფართოდ გამოიყენება როგორც აღწერით ტექსტებში (ახალი პროგრამული და აპარატული პროდუქტების წარმოდგენა), ისე თხრობით (პროგრამის ინსტალაციისა და გამართვის სახელმძღვანელოები) და არგუმენტაციულ ტექსტებში (ანალიტიკური სტატიები კომპიუტერულ თემაზე).

ქართულენოვანი ვებ-გვერდების სამომხმარებლო ინტერფეისზე დაკვირვებამ, კერძოდ კი სანავიგაციო მენიუს ლინგვოკულტურული თავისებურებების ანალიზმა გამოავლინა კულტურული თავისებურებები, რომელიც ამ სეგმენტში აისახა. ამას გარდა, აქაც იგრძნობა ინგლისური ენის და კულტურის გავლენა, რადგან ვებ-გვერდის სანავიგაციო მენიუს პუნქტების დასახელებები ხშირ შემთხვევაში ანგლიციზმებია.

კიდევ ერთი სფერო, რომელიც ანგლიციზმების სიმრავლით გამოირჩევა სპორტია. ინგლისური ენა სხვასთან ერთად სპორტის ენაცაა, მაშასადამე, ბუნებრივია, ქართული სპორტული ტერმინოლოგია ანგლიციზმების შემოსვლას რომ ვერ აცდებოდა.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. გაზეთი „ახალი თაობა“, 2005 წელი. №1-დან №362-ის ჩათვლით.
2. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 11-17 ივლისი, 2005, გვ. 19; 18-24 ივლისი, 2005, გვ. 23; 4-10 ივლისი, 2005, გვ. 19, მიიღეთ მონაწილეობა ქართული ვინდოუსის შექმნაში.
3. გაზეთი „კვირის პალიტრა“, 27 მარტი – 2 აპრილი, 2006, გვ. 27, ახალი ენერგეტიკული იმედი.
4. გაზეთი „ლელო“, 1986-2006 წლები.
5. გაზეთი „ნავიგატორი“, 2004-2006 წლები.
6. გაზეთი „რეზონანსი“, 2006, № 78 შაბათი, 25 მარტი, ახალგაზრდული დაავადება - ფორუმი და ჩატი.
7. გაზეთი „საბანკო ბიულეტენი“, საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გამოცემა. 2006 წელი. №1-დან №12-ის ჩათვლით.
8. გაზეთი „სარბიელი“, 2006, № 52 ხუთშაბათი, 9 მარტი, იტალიამ გერმანია ისევ გააბურთავა.
9. გაზეთი „თბილისი“, 1986, 15 სექტემბერი, გვ. 8, ბაზრობა – ხარისხის განმსჯელი.
10. გაზეთი „თბილისი“, 1986, 19 სექტემბერი, კომპიუტერი სკოლაში მიდის.
11. გაზეთი „P.S.“ №23 (90), 2000, 12-19 ივნისი, გვ. 8, მსუბუქად ლინგვისტური გასეირნება.
12. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები: რეალისტური თარგმანის პრობლემა. თბილისი: განათლება, 1959.
13. გაჩეჩილაძე გ. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი. თბილისი: განათლება, 1966.
14. გაჩეჩილაძე გ. ესთეტიკური იდეალი და მხატვრული გამოხატვის ფორმები. თბილისი: მეცნიერება, 1985.
15. გვარჯალაძე თ., გვარჯალაძე ი. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მაცნე, 1975.
16. გვარჯალაძე თ., გვარჯალაძე ი. ქართულ-ინგლისური ლექსიკონი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1979.
17. კვაჭაძე ლ. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: განათლება, 1966.
18. ლებანიძე გ. კომუნიკაციური ლინგვისტიკა. თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
19. ლებანიძე გ. კულტუროლოგიის საფუძვლები (ლექციების კურსი). თბილისი: ენა და კულტურა, 2004.
20. მეგრელიშვილი მ. ზმნის ფუნქციურ სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბილისი: განათლება. 1986.
21. ნებიერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1999.
22. ორემბოვსკაია მ., გვარჯალაძე თ., ორემბოვსკაია ტ., ინგლისური ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: ცოდნა, 1964.
23. ჟურნალი „სპორტის სიახლენი“, №48, 30 ნოემბერი – 6 დეკემბერი, 2004.
24. საყვარელიძე ნ. „ულისე“ ქართულად. ლიტერატურული საქართველო, 1984, №18.
25. სერგია ვ. ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: განათლება, 1989.

26. ფანჯიკიძე დ. თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბილისი: განათლება, 1988.
27. ფანჯიკიძე დ. თარგმანის ახალი თეორიები და სტილის ეკვივალენტურობის პრობლემა. თბილისი: განათლება, 1995.
28. ფონიჭუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1974.
29. ქართული პრესის კომპიუტერული არქივი. URL:
<http://www.open.ge/pressa/pressa.htm>, უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 22.08.2008.
30. ქართული შექსპირიანა (ნ. ყიასაშვილის რედაქციით). თბილისი: ხელოვნება, 1959, ტ. I.
31. ქართული შექსპირიანა (ნ. ყიასაშვილის რედაქციით). თბილისი: ხელოვნება, 1964, ტ. II.
32. ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: განათლება, 1989.
33. შანიძე ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ნაწ. I. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1973.
34. ხეცურიანი ნ. ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორია და ენათა შეპირისპირებითი ანალიზი. თბილისი: ენა და კულტურა, 2000.
35. Акуленко В.В. Лексические интернационализмы. Итоги, перспективы, методы исследования. Интернациональные элементы в лексике и терминологии. Харьков, 1980. С. 10-42.
36. Англо-русский лексико-фразеологический словарь. Г. К. Уитфорд, Р. Дж. Диксон. Москва, 1994, 191 с.
37. Андреева В.К., Максимова Т.В. Некоторые тенденции в словообразовании английского языка последней четверти XX века. Языковая личность: проблемы креативной семантики: Сб. науч. тр. к 70-летию И.В. Сентенберг. Волгоград: Перемена, 2000. С. 46-54.
38. Аристова В. М. Англо-русские языковые контакты. Ленинград, 1978.
39. Арнольд И. В. Стилистика английского языка. Москва: Просвещение, 1981.
